

„ა(ა)იპ“ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის

სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

კილაძე მირანდა

ჭვანის ხეობის მეტყველების თავისებურებანი

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი - თალიკო ბერიძე, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი,

პროფესორი

ხიჭაური

2020

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი „ჭვანის ხეობის მეტყველების თავისებურებანი“ ეხება აჭარული ლექსიკის მნიშვნელოვან საკითხს. კვლევის საგანია ჭვანის ხეობის მცხოვრებთა სასაუბრო მეტყველებაზე დაკვირვება და არსებული თავისებურებების გამოყოფა. ცოცხალი სასაუბრო მეტყველების ნიმუშებმა საინტერესო სურათი წარმოგვიდგინა როგორც ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური, ასევე ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური კუთხითაც.

აჭარული, როგორც ქართული ენის სხვა დიალექტები, სწრაფად განიცდის ცვლილებას. ენის განვითარება გვიჩვენებს, რომ ლიტერატურული ერთეულები ყოველდღე მკვიდრდება დიალექტებში, რაც აშკარად გაქრობის მომასწავებელია ცოცხალი, ხალხური სასაუბრო მეტყველების ნიმუშებისა. ამიტომ, დიალექტთა ლექსიკის კვლევა, მათი გამოყოფა, შესწავლა და სისტემატიზაცია მნიშვნელოვანია ლინგვისტური თვალსაზრისით.

თემა საკმაოდ აქტუალურია, რადგან ჩვენი მთავარი მიზანია, სიახლეების მიგნება და მივიწყებული, არქაული ფორმების აღნუსხვა, რაც აქტუალობის განმსაზღვრელია.

ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენეთ აღწერითი, ისტორიულ-შედარებითი, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები, რამაც საშუალება მოგვცა ნათლად წარმოგვედგინა ხეობაში არსებული მდგომარეობა სასაუბრო მეტყველების კუთხით.

სამაგისტრო ნაშრომში, ჩაწერილი მასალის და კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე, წარმოდგენილია დასკვნები, მოყვანილია მაგალითები.

ნაშრომი შედგება 115 ნაბეჭდი თაბახის ფურცელის, ანოტაციის (ქართულ და ინგლისურ ენაზე), შინაარსის, 4 თავის, დასკვნებისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან.

Annotation

Speech Peculiarities of Chvana valley

Miranda Kiladze

Master's Thesis "Speech Peculiarities of Chvana valley" refers to the important issue of Adjarian vocabulary. The subject of the research is to observe the conversational speech of the residents of Chvana valley and to highlight the existing peculiarities. Live speech samples presented an interesting picture phonetically, morphologically, and in syntactic as well as lexical-phraseological terms.

Adjarian, like other dialects of the Georgian language, is rapidly changing. Language development shows that literary units are settled in dialects every day, which is clearly a sign of the disappearance of living, vernacular speech patterns. Therefore, the study of the vocabulary of dialects, their separation, study and systematization is important from a linguistic point of view.

The topic is quite actual because our main goal is to find novelties and to list forgotten, archaic forms, which is the determinant of urgency.

While working on paper, we used descriptive, historical and comparative analysis and synthesis methods, which allowed us to clearly present the situation in the valley in terms of colloquial speech.

In the Master's thesis, based on the analysis of the recorded material and research results, conclusions are presented, examples are given.

The paper consists of 115 printed sheet of A4 format, annotation content (in Georgian and English), 4 chapters, conclusions, and bibliography.

სარჩევი

1. შესავალი -----5 გვ.
2. თავი I - ჭვანის ხეობის მეტყველების ფონეტიკური
თავისებურებანი -----9 გვ.
3. თავი II - ჭვანის ხეობის მეტყველების მორფოლოგიური
თავისებურებანი -----23 გვ.
4. თავი III - ჭვანის ხეობის მეტყველების სინტაქსური
თავისებურებანი -----38 გვ.
5. თავი IV - ჭვანის ხეობის მეტყველების ლექსიკური
თავისებურებანი -----42 გვ.
6. დასკვნები -----74 გვ.
7. გამოყენებული ლიტერატურა ----- 80 გვ.
8. დანართი ----- 81 გვ.

შესავალი

აჭარულ დიალექტს ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართული ენის დიალექტთა შორის. როგორც სხვა დიალექტებმა, აჭარულმაც გარკვეული როლი ითამაშა სალიტერატურო ენის განვითარებასა და ჩამოყალიბებაში. ამიტომაც, ამგვარი გლობალიზაციის პირობებში მასზე ლინგვისტური კუთხით დაკვირვება საინტერესო, მნიშვნელოვანი და აქტუალურია.

აჭარულ დიალექტზე არამარტო აჭარაში (ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის რაიონები), არამედ ჩოხატაურის რაიონის (გურია) სამ სოფელში (ზოტი, ჩხაკურა, ქვაბლა) მეტყველებენ, სადაც ზემო აჭარიდან XX საუკუნის 70-იან წლებში გადასახლებული მოსახლეობა ცხოვრობს. „დღეისთვის აჭარული დიალექტი გურიის გარდა, ისმის საქართველოს სხვა კუთხეებში, სადაც აჭარელთა მასობრივი ჩასახლება მოხდა. აჭარულ დიალექტზე საუბრობენ, ასევე, აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლები, რომლებიც თურქეთის რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში (ინეგოლი, უნია, ფაცა, იზმირი, ამასია, ადანა და სხვა) ცხოვრობენ“ [ნოლაიდელი, 2013.: 3].

თურქული სამასწლიანი ბატონობის გამო აჭარული დიალექტი დიდი ხნის განმავლობაში მოწყვეტილი იყო სალიტერატურო ქართულს. მიუხედავად ამისა, აქაურთა მეტყველებაში მაინც შენარჩუნებულია გრამატიკული წყობაც და ძირითადი ლექსიკური ფონდი.

საქართველოს ერთ-ერთ გამორჩეულ კუთხეში, აჭარაში, სადაც პირველად დაირწა აკვანი ქრისტიანობის, უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ ქართველი ხალხის ეთნიკური ჯგუფი - აჭარლები, რომლებიც ოდითგანვე აჭარულ დიალექტზე მეტყველებდნენ და დღესაც ასე გრძელდება, თუმცა ბევრი ლექსიკური ერთეული დღეს უკვე დავიწყებასაა მიცემული. ენა ხომ აზრთა გაცვლის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა, ის იზრდება, ვითარდება და ამ ზრდა-განვითარებაში მუდმივ ცვლილებას განიცდის. ჯორბენაძე მიუთითებს, რომ „შეუძლებელია, რომ ენა ფუნქციონირებდეს და მასთან ერთად არ იცვლებოდეს დროთა მანძილზე. ეს ცვლილება ენის ტერიტორიული გავრცელების სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა ინტენსივობითა და ნაირსახეობით ხდება. ენის სივრცული ნაირსახეობა დიალექტია.

დიალექტი ძველი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს: „მეტყველებას, წარმოთქმა, გამოთქმა, საუბარი, სამეტყველო მანერა, სტილი“, იგი ენათმეცნიერული ტერმინია და ერთი ენის ფარგლებში პოვნირი მეტყველების ნაირსახეობას გულისხმობს. დიალექტის ზუსტი ქართული შესატყვისი „კილოა“ [ჯორბენაძე, 1989.: 7].

უცხოური საისტორიო წყაროებით ვგებულობთ, როგორც მთლიანი საქართველო, აჭარაც სხვადასხვა დროს სხვადასხვა დამპყრობელთა სარბიელს წარმოადგენდა. ასე გაუძლო საქართველოს უმშვენიერესმა კუთხემ არაბთა, ოსმალთა, სპარსთა შემოსევებს და მოაღწია ჩვენამდე წელგამართული და ამაყი..

აჭარული კილო ერთიანი ქართული ენის ორგანული ნაწილია. როგორც ნოღაიდელი აღნიშნავს: „ქართული ენის ერთ-ერთი უძველესი და უაღრესად მნიშვნელოვანი, ენობრივი თვალსაზრისით მეტად მრავალფეროვანი კილოთაგანია, რომელმაც ქართული ენის სხვა დიალექტებთან ერთად, თავისი წვლილი შეიტანა ქართული სალიტერატურო ენის განვითარებასა და სრულყოფის საქმეში“ [ნოღაიდელი, 2013.: 3].

მართალია, თურქთა სამ საუკუნოვანმა და სხვა დამპყრობთა ბატონობამ აქაურთა სასაუბრო მეტყველებაში დაამკვიდრა ზოგიერთი უცხოური ლექსიკური ერთეული, თუმცა მას ორგანული კავშირი არ გაუწყვეტია როგორც სალიტერატურო ქართულთან, ასევე, მის დიალექტებთან.

ზემოაჭარულის თავისებურებათა გამოვლენას არაერთი ნაშრომი მიეძღვნა. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ მ. ხუბუას შრომა „ზემოაჭარულის ენობრივი მიმოხილვა“, (1932 წ), სადაც ავტორი სრულყოფილად აღწერს ზემოაჭარული მეტყველებისათვის სახასიათო რიგ თავისებურებებს..

აჭარული კილოს შესწავლის საქმეში ჯ. ნოღაიდელის წვლილი ფასდაუდებელია. გამოქვეყნებული აქვს „ნარკვევები აჭარელთა ყოფაცხოვრებიდან“, (1933 წ), და „აჭარა დიალექტოლოგიურად“, (1936), სადაც ხშირად ცალკე აქვს გამოყოფილი ის ენობრივი მოვლენები, რომლებიც ზემოაჭარულისათვის, კერძოდ, „მთის აჭარულისთვის“ იყო დამახასიათებელი.

დიდია აჭარული კილოს შესწავლაში ი. მეგრელიძეს როლი, რომელმაც კრებულში: „იაზიკ ი მიშლენიე“, (1950) არაერთი საკითხი, ჩვენთვის საინტერესო დიალექტის ცალკეულ მოვლენათა შესახებ, წარმოგვიდგინა.

ქ. ლომთათიძესაც აქვს აჭარული დიალექტი შესწავლილი თავის გამოკვლევაში: „ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულსა და აჭარულში“, (1938).

პ. ჯაჯანიძე „აჭარული დიალექტის მორფოლოგიური საკითხები ქედის რაიონის მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით“, (1959, 1960) განიხილავს აჭარის მკვიდრთა (ქედისა და ხულოს რაიონების მცხოვრებთა) მეტყველების თავისებურებებს.

აჭარული დიალექტის ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ა. შანიძეს, არნ. ჩიქოზავას, შ. ძიძიგურს, გ. ახვლედიანს, ვ. თოფურიას, ს. ჟღენტს, და სხვა.

აჭარელთა მეტყველებამ დიდი ცვლილება განიცადა, რესპუბლიკის შიდა თუ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გადასახლებისა თუ ურთიერთობის, სალიტერატურო ენის, საინფორმაციო წყაროთა თუ სხვა მოქმედი ფაქტორების ძლიერი გავლენის გამო, რამაც აჭარულ დიალექტს აქამდე არსებული ლექსიკა სრულად შეუცვალა..

როგორც ვხედავთ, აჭარული დიალექტის შესახებ არაერთი გამოკვლევა არსებობს. გამოცემულია ქართული ენის აჭარული დიალექტის ლექსიკონიც (ნიჟარაძე, 1971), წლების განმავლობაში აჭარული დიალექტის დარგობრივმა კვლევამ უამრავი ახალი ლექსიკური ერთეული წარმოაჩინა. მიუხედავად ამისა, ცალკეულ ხეობათა ენობრივი თავისებურებების შესწავლა მაინც აქტუალურია.

როგორც შ. ნიჟარაძე აღნიშნავს, აჭარული დიალექტი მრავალმხრივ საინტერესო და საყურადღებოა, კერძოდ:

ა) აჭარული კილო ფონეტიკურ-გრამატიკული და ლექსიკური თვალსაზრისით უახლოვდება როგორც ქართული ენის დასავლურ, ისე აღმოსავლურ დიალექტებს. ეს სიახლოვე განსაკუთრებით ხელშესახებია, ერთი მხრივ, მესხურთან და იმერხელთან, ხოლო, მეორე მხრივ, გურულთან.

ბ) აჭარულში დადასტურებულია ლექსიკური არქაიზმების საკმაოდ დიდი დაფენება, ეს ძირითადად იმან განაპირობა, რომ თურქთა ასიმილაციური პოლიტიკის გატარების შედეგად დიდი ხნით მოწყვეტილი აღმოჩნდა მშობლიური ქართული ენისგან, მისი დიალექტებისგან.

გ) აჭარული კილოს თავისებურებათა შემაპირობებელ გარემოებათაგან ხაზი უნდა გაესვას იმ ისტორიულ ფაქტსაც, რომ მასში შეიმჩნევა ჯერ კოლხურის და შემდეგ ზანურის სუბსტრატის კვალი.

დ) აჭარული დიალექტის ხანგრძლივად უცხო ენობრივ გარემოცვაში მოქცევამ მასში წარმოაჩინა ენათმეცნიერულად საინტერესო ლექსიკური მასალა [ნიჟარაძე, 1971:6].

საკვლევ მასალად წარმოდგენილია ზემო აჭარის, ჭვანის ხეობის მცხოვრებთა ცოცხალი მეტყველების ნიმუშები. შეგროვებულ მასალაში წარმოდგენილია ცოცხალი საუბრის დროს ჩაწერილი ფრაზები, დიალოგები, ანდაზები, თქმულება-გადმოცემები, მოცემულია, აგრეთვე, წეს-ჩვეულებათა, სასოფლო-სამეურნეო და საოჯახო საქმიანობათა აღწერა.

ჩვენი კვლევის ობიექტი, ჭვანის ხეობის მეტყველების თავისებურებანი, ყურადღებას იქცევს: ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური კუთხით.

ხეობის მეტყველება განსაკუთრებით საინტერესო და მრავალფეროვანი აღმოჩნდა ლექსიკის კუთხით. საანალიზო ტექსტებში გამოიკვეთა არქაული და ზანური ლექსიკური ერთეულები, საკუთრივ დიალექტიზმები და უცხო ენის გავლენის გზით დამკვიდრებული ლექსიკური ერთეულები. აქაურთა სასაუბრო მეტყველებაში ისმის ხატოვანი სიტყვა-თქმებიც და ეს ყველაფერი ერთად გვიქმნის წარმოდგენას, თუ რა გზა გაიარა ჭვანის ხეობამ და ზოგადად, ზემოაჭარამ.

აჭარული კილოს შესწავლას საკმაოდ ბევრი კვლევა და შრომა მიეძღვნა, მაგრამ ვფიქრობთ, მისი სრულყოფილად დამუშავება ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ცალკეულ ხეობათა სასაუბრო მეტყველებაზე დაკვირვება და ანალიზი დაგვეხმარება აჭარული დიალექტის საფუძვლიანად შესწავლასა და სხვა დიალექტებთან მიმართების დადგენაში.

I თავი

ჭვანის ხეობის მეტყველების ფონეტიკური თავისებურებანი

საზოგადოდ, ქართული ენის დიალექტები ხასიათდება მდიდარი ფონეტიკური მოვლენებით. ამ მხრივ საინტერესოა აჭარული დიალექტი, რომელიც ძირითადად დასავლურ დიალექტთა წრეს განეკუთვნება, მაგრამ რიგი სპეციფიკური მოვლენებით საკმაოდ განსხვავდება როგორც დასავლურ, ისე განსაკუთრებით, აღმოსავლური დიალექტებისაგან [ნიჭარაძე, 1961.: 26].

ჭვანის ხეობის მეტყველება გამოირჩევა ფონეტიკური პროცესების მრავალფეროვნებით. ჩვენ მიერ შეგროვებული მასალა გვიჩვენებს, რომ ფართოდაა გავრცელებული ასიმილაცია, დისიმილაცია, ბგერის დაკარგვა, გაჩენა, გადასმა, შენაცვლება და სხვა ფონეტიკური პროცესები.

ასიმილაცია: ხეობის მეტყველების განსაკუთრებულ თავისებურებას წარმოადგენს **ხმოვანთა სრული, რეგრესული ასიმილაცია**, რასაც ჩაწერილი ტექსტები გვიჩვენებს. განსაკუთრებულ მაასიმილირებელ ძალას იჩენს „უ“, რომელიც სრულად იმსგავსებს პრევერბისეულ „ა, ე, ი და ო“ ხმოვნებს.

აუ-უუ: ხალხს სიცილი **უუტყდა** (აუტყდა); **უუსლელობა** (აუსვლელობა) ზათი დიეტყობოდა სახლს; მემთევრს **გუუმარჯოს** (გაუმარჯოს); **გუუტყევიანი** (გაუტყევიანთ) აქავრობაო; ვერ **გუუმჟღავნა** (გაუმჟღავნა); ვედარ **გუუძლო** (გაუძლო); დედამისმა **გუუდეღდა** (გაუდეღდა); **გუუდგა** (გაუდგა) გზას; ვინ **გუუჩერდება** (გაუჩერდება) მაგას; **გუუშვით** (გაუშვით) ცოდვაა; მივხტი თოფი **გუუწევს** (გაუწევს) მეთქი; ლომი **გუუყრია** (გაუყრია); სახურავი **გუუდუძრია** (გადაუძრია) ქარს; **გუუდუხტა** (გადაუხტა) პალკონიდან; ფეხი **გუუსლიპინდა** (გაუსლიპინდა); ზოგი **გუუტანელებიც** (გაუტანელებიც) არიან; **გუუდუხტა** (გადაუხტა) პალკონიდან; ვერ **გუუძლებს** (გაუძლებს); **გუუჭირდა** (გაუჭირდა); შენ მტერს **გუუსწორდიო** (გაუსწორდიო); **დუუშალა** (დაუშალა) ხელი; **დუუძახა** (დაუძახა) ზისუნახავს; ამათ რამე არ **დუუნახიან** (დაუნახავთ); იმას **დუუყურე** (დაუყურე), კაი ამბავს მოგიყვება; ჩორი ხახაშო, **დუუძახებდენ** (დაუძახებდენ); მამამის **დუუძახეთ** (დაუძახეთ) ამოვდესო; ოქრო **დუუმარხია** (დაუმარხავს) ვინცხას; **დუუყრიდენ** (დაუყრიდენ)

ახორი კარებ; არ **დუუკარქავს** (დაუკარგავს) ჭკვა ამას; **დუუშვა** (დაუშვა) წვიმა; **დუუნახიან** (დაუნახავთ) ბადვი: მეზობლებს სიცილი **დუუწყიან** (დაუწყიათ); ღამე **დუუძახია** (დაუძახია); **ჩუურევდა** (ჩაურევდა) ანაი; **ჩუუხტა** (ჩაუხტა) დუღარე წყალში; თითი არ **წუუკარებია** (წაუკარებია); **წუუკრა** (წაუკრა) თავი; **წუუხსნა** (წაუხსნა) თავი.

ორმაგი ასიმილაციის ფორმა დასტურდება შემდეგ ფორმებში: სახურავი **გუდუუძრია** (გადაუძრია) ქარს; **გუდუუხტა** (გადაუხტა) პალკონიდან.

ოუ-უუ: ნალბიან ჭადს **გამუუცხოზს** (გამოუცხოზს); ჩემი სახლისკენ **გამუუქნევია** (გამოუქნევია); მემრე **გამუუხედიან** (გამოუხედიათ) ბედავრაი; პალკონზე **გადმუუკიდიანო** (გადმოუკიდიანო); **გადმუუგდო** (გადმოუგდო) ვაშლი; ყველას არ **მუუწევდა** (მოუწევდა); სოინი **მუუსტრა** (მოუსწრო) დრომ; ილლა **მუუწევს** (მოუწევს) ხელი გაქანება; გარეთ გასლა **მუუნდა** (მოუნდა); წამალი არ **მუუხტა** (მოუხტა); დედეზე თავი **მუუჭრია** (მოუჭრია); **მუუარს** (მოუარს) მისი ავამტყოფობა; იძახიან, ახლა **მუუნდენ** (მოუნდათ) სოფელიო; ვეღარ **მუუხვია** (მოუხვია); მოსასხამის ერთი ყური ქოხ ქვეშ **მუუმწერიეს** (მოუმწერიეს); მოსასხამის გაძრობა **მუუწევდა** (მოუწევდა); **მუუხჩია** (მოუხჩია) მგელი; ვინმემ არ **მუუსმინა** (მოუსმინა); თურქეთში **მუუწადინებიან** (მოუწადინებიან) წასლა; კაცი ხელ ვერ **შამუუცდენდა** (შემოუცდენდა); სახლს **შამუუარეს** (შემოუარეს); ნაფოტი **შამუუდვა** (შემოუდო) ქოხს ქვეშედან; **შამუუგდია** (შემოუგდია) გზაზე.

ეუ-უუ: ერთს **შუუხტებოდი** (შეუხტებოდი), ასული იყავ; ქვა შეიქნია და თავი **შუუშვირა** (შეუშვირა); კაცი კაცს ძლივს **შუუცილდებოდა** (შეუცილდებოდა); ეს ამბავი ამ წამოსულებს **შუუტყიან** (შეუტყვიათ); ახლაც **შუუჭამიან** (შეუჭამიათ) ყველამფერი; **შუუბრალებელი** (შეუბრალებელი) იყო; ჭკვა **შუუბრუნდა** (შეუბრუნდა); **შუურიგდენ** (შეურიგდენ) ახალ მოყვარეებს; **შუუწუხდა** (შეუწუხდა) გული; რამეს არ **შუუშინდებოდა** (შეუშინდებოდა).

იუ-უუ: რომ **მიუუახლოვდენ** (მიუახლოვდენ), გამოვდენ ხალხი გარეთ; **მიუუხდენელი** (მიუხვდენელი) ბაღნები მყავს; მისთვის **მიუუციან** (მიუციათ) დასამალათ; საცერი **მიუუტანა** (მიუტანა); მაგათი **მიუუგნებელი** (მიუგნებელი)

ადგილი არ არი ზათი; ყურადღება არ მუუქცევია (მიუქცევია); მუუსწრო (მიუსწრო) ბოლოს ირმამ და დეიკავა.

„უ“ ხმოვანი სრულად იმსგავსებს ზმნისწინისეულ „ა, ე, ო“ ხმოვნებს იმ შემთხვევაშიც, თუ მათ შორის სუბიექტური I პირის „ვ“ ნიშანია ჩართული. ასეთ შემთხვევაში პირის ნიშანი იკარგება და ორი „უ“ მოიყრის ერთად თავს: ამუუწონე (ამოვუწონე) თოფი და ვზეპე; დაწოლიხან დუუყრიდით (დავუყრიდით) საქონელს; უუკრეფდით (ავუკრეფდით), ჩუუყრიდით (ჩავუყრიდით) ბაგაში და წამოვდოდით; რანა დუუმალო (დავუმალო), მათთვის ვაკეთებ სხვისთვის ხომ არა; გავსუსულდი და დუუყურე (დავუყურე); დუუბიქსეთ (დავუბიქსეთ) კარები; დუუძახე (დავუძახე), ბაღნებო მიყურეთ-მეთქი; ვიფიქრეთ და შუუთანხმდით (შევუთანხმდით).

ასიმილაცია სრული და რეგრესულია, როცა „ე“ ხმოვანი გავლენას ახდენს „ა“ ხმოვნზე და აქცევს „ე“ ხმოვნად:

აე-ეე: მეზობელს გაეცინა (გაეცინა); შეშინებული გაეღვიძა (გაეღვიძა); გამოი და დეენახვე (დაენახე) ამასო; ნაღვარევი იმიტომ დეერქვა (დაერქვა), რომე სამჯერა დაღვარული; რაღას დეეწევოდი (დაეწევოდი).

ზოგჯერ „ე“ ხმოვანი გავლენას ახდენს „ო“ ხმოვანზე და აქცევს „ე“ ხმოვნად:

ოე-ეე: მეეწონა (მოეწონა) მუხამედას გამბედაობა; გლახაა და მეერიდონა (მოერიდო) უნდა; ჭვირთიცი რაითნა მეეტანა (მოეტანა) კაცს, თუ არა ცხენით.

მცირე რაოდენობით, მაგრამ გვხვდება შემთხვევები, როცა „ა“ ხმოვანი გავლენას ახდენს „ე“ ხმოვანზე და აქცევს „ა“ ხმოვნად:

ეა-აა: ფანარიი შაანათა (შეანათა); შაახტა (შეახტა) ზრუგში; სავამტყოფოში შააგდეს (შეაგდეს); შაატანა (შეატანა) ხელი.

ჭვანის მეტველებისათვის დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს პრევერბისეული (ა,ე) და ზმნის ქცევის ნიშნის (ი) ხმოვნების სრული ასიმილაცია, როცა მათ შორის ობიექტური პირის პრეფიქსებია, ასე რომ, I და II ობიექტური პირის ნიშნები „მ-, გ-, -გვ“ ვერავითარ დაბრკოლებას ვერ ქმნის ასიმილაციისთვის. მათი მომდევნო „ი“ იმსგავსებს ზემოთ დასახელებულ „ა, ე“ ხმოვნებს და ადგილი აქვს დისტანციურ ასიმილაციას.

ა+ი > ი-ი: წილოსანი დურსუნ დედემ **იმიშენა** (ამიშენა) სახლი; **იმიხდება** (ამიხდება) ოცნება; მერე სახში **იმიყვანეს** (ამიყვანეს).

გა+ი > გი-ი: რამდენიხანია არ **გიმილია** (გამილია) სახლი კარები; **გიმიტობდა** (გამიტობდა) ხელ-ფეხს; **გიგვიხარდა** (გაგვიხარდა) ჩვენც; არც **გიგვირეცხა** (გაგვირეცხა) და არც დიგვილაგა; მეგონა **გიმინათებს** (გამინათებს) ახლა სახეში მეთქი.

და+ი > დი-ი: ტანი **დამიწიე** (დამიწიე) და მე მოვწყვიტავო; **დიგვიძახა** (დაგვიძახა), მოით ბაღნებო აქაო; არც გიგვირეცხა და არც **დიგვილაგა** (დაგვილაგა); რაცხა საჭმელი გვქონდა, ისიც **დიგვიკლიტა** (დაგვიკლიტა) სარძიეში; **დიგისლიპინდება** (დაგისლიპინდება) ფეხი და ჩამუარდები; არ **დამიჯერეს** (დამიჯერეს).

ჩა+ი > ჩი-ი: ტკბილევლობას **ჩიგიყრიდენ** (ჩაგიყრიდენ) და გაგატანდენ თაში; რაცხაფერ **ჩიმიტვალეს** (ჩამიტვალეს) ის წელი; გული ნასკებში **ჩიმივარდა** (ჩამივარდა); რომ **ჩიმიყვანეს** (ჩამიყვანეს), ფეხი გასივდა მორივით. ოდი კარებს **ჩიგიკეტავ** (ჩაგიკეტავ); არ **ჩიგიშვებ** (ჩაგიშვებ) ჰადმეო.

წა+ი > წი-ი: მეორე დღეს **წიმიყვანეს** (წამიყვანეს) ციგით; მეორეთ ბაღნები აღარ **წიგვიყვანეს** (წაგვიყვანეს); ხანდახან **წიმიჟდება** (წამიჟდება) გული; ერთს **წიმიკითხავდენ** (წამიკითხავდენ) და ვზეპირობდი.

გარდა სრული ასიმილაციისა, ჭვანის მეტყველებაში დასტურდება **ხმოვანთა ნაწილობრივი, კონტაქტური ასიმილაციის** შემთხვევებიც:

აი-ეი: ეიმსო (აივსო) ხალხი სოფელში; ბაბუაჩემიც იქ **გეიზარდა** (გაიზარდა); კოლტაშის გაქნევა იყო, ზეიდან **გეიქნევი** (გაიქნევი); იმდენი ხნის ნაბამ საქონელ გამუშვებდენ და ვერ **გეიარდენ** (გაიარდენ ანუ გაივლიდენ); ერთი დედაბერი გამოვდა მეგრემ გარეთ და ყველამფერი **გეიგონა** (გაიგონა); **დეიჭუჭკოდენ** (დაიჭუჭკობდენ) ხალხი ვახშობიხან; ი ხომ ყველას არ მუუწევდა, ერწამალაი **დეილევოდა** (დაილევოდა); მუხი **დეილია** (დაილია) და საჩქართ ბარში ჩაი და ყავრი მუხი ამეიტაიო; ბაბოი რომ ლოცვას **დეიწყობდა** (დაიწყობდა), უსულით გევიარდით; **დეიბადა** (დაიბადა) ნუგზარ პავლოვიჩი; მუუსტრა დრომ და **დეინგრა**

(დაინგრა); ჰაიდუ წევდეთ ახლა, რომე მალე დეიშლება (დაიშლება) სეირობაო; გამუა ბერწიშვილი, ჩეიხლიბვის (ჩაიხლიბება) იგერიქ; ნამეტარი ჩეიკეტა (ჩაიკეტა) გზა; ციგით არ წეიყვანეს (წაიყვანეს); წამეიკრავს ფეხს, წეიქცევა (წაიქცევა); რაცხაის წაღებას შეძლებ, წეიღე (წაიღე).

ოი-ეი: დანიშნულებს ამეიყვანდენ (ამოიყვანდენ); ახლა იმდენი რაცხა გამეიგონეს (გამოიგონეს); ყავრი თავზე ვინცხამ ქვა გამეიქნია (გამოიქნია); პირზე გადმეიხურე (გადმოიხურე); დილა იალუმზე, გამეიდარა (გამოიდარა) თუ არა წევედით ერთათ; მაშინაც ამფრათ გამეიქცენ (გამოიქცენ) ხალხი სოფელში; მეიშვამთევრებდენ (მოიშვამთევრებდენ) და ჩამოვდოდენ ბარში სამსე გვარდაებით; წამეიკრა (წამოიკრა) ფეხი.

თანხმოვანთა ასიმილაცია: ჭვანის მეტყველებაში ძირითადად ფიქსირდება თანხმოვანთა ნაწილობრივი ასიმილაციის შემთხვევები, რომელიც კონტაქტურია და იშვითად – დისტანციურიც, შეიძლება იყოს რეგრესული ან პროგრესული:

კდ > კტ: „კ“ მკვეთრი ბგერა გავლენას ახდენს „დ“ მჟღერზე და აქცევს „ტ“ მკვეთრად: შიშისგან კტებოდა (კვდებოდა); ამტონი კტარები (მკვდრები) მოკტენ (მოკვდნენ) და მეზოლოლზე ვერ ჩევედი.

გც > ქც: „გ“ მჟღერი ბგერა „ც“ ფშინვიერთან მეზობლობაში იქცევა „ქ“ ფშინვიერ ბგერად: რიშვეთს არ მიცემ, მოსავალს არ მოქცემს (მოგცემს); ფეხ თუ გაადგამ გარეთ, ქცემ (გცემ) და იცოდეო.

გყ > ქყ : „ყ“ ბგერამ „გ“ დაიმსგავსა სიყრუის მიხედვით და აქცია „ქ“ ბგერად: მემთევრი თუ ქყავს (გყავს) კაია და თუ არა მაგიც სამებნელია; მოქყყავს (მოგყყავს) ფატყუმაი და თმებს იგლიჯავს.

გჭ > ქჭ: „ჭ“ ბგერამ „გ“ მჟღერი ბგერა დაიმსგავსა სიყრუის მიხედვით და აქცია „ქ“ ბგერად: რა ქჭირს (გჭირს) ნენევო, დაცინა ბაღვმა; ნუ მფწვნი, თვარა სახში რომ მიგიყვან შექჭამო (შეგჭამო).

გფ > ქფ: „ფ“ მჟღერი „ფ“ შვინვიერთან მეზობლობაში იქცა „ქ“ ფშინვიერ ბგერად: მაქფრათ (მაგფრად) არ მიინდა, ტანი დიმიწიე და მე მოვწყვიტავო.

ფტ > პტ: „ტ“ მკვეთრი ბგერის „ფ“ შვინვიერზე ზეგავლენის შედეგად არის მიღებული „პ“ მკვეთრი ბგერა შემდეგ ფორმებში : **კამპეტი** (კანფეტი) მიყვარს და ყველთვინ მაქ ჯიფეში; მემრე თქვეს ხალხმა, ახლა **დევპანტოთ** (დავიფანტოთ), წასლის დრო მუაწიაო.

ღჩ > ხჩ : „ჩ“ ყრუ ბგერა გავლენას ახდენს „ღ“ მჟღერზე და აქცევს „ხ“ ყრუ ბგერად: ზოგი სახში მუშაობდა ზოგი **ბახჩაში** (ბაღჩაში).

დ > ტ: **დავბტით** (დავბვდით) ზოგმა ზეიდან ზოგმა დარიდან; მაშინ **ავატყოფობაც** (ავადმყოფობაც) არ იყო განა; **სკლატში** (სკლადში) ვიყავ სალამომდი; ამდონი ხნის ვარ და ვითამ კილო ზროხა ავათ **გამბტარა** (გამბდარა) და იმა ვქაქანებ და იმა ვდერდობ; დედინაცვალი ძეს რომ **გამობტიდა** (გამობდიდა), იმა დიგვისხემდა ჩინკოში.

ბ > ფ : **ჯიფიები** (ჯიბეები) გადაფრეწილი ქონდა.

პ > ფ : საშვაოებში **ცეფი** (ცეპი) გააკეთეს და ისე ჩამოვდენ.

მხ > ფხ: ნადინა გექნა, რომ ის ძელები ხარის გზაზე **ფხართით** (მხრით) ჩამეგეტანა.

დისიმილაცია: ჭვანის ხეობის მეტყველებაში ვხვდებით **თანხმოვანთა დისიმილაციის** შემთხვევებსაც, თუმცა ნაკლები სიხშირით.

დისიმილაცია მოუდის „რ“ ბგერას ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტებში და „ჯერ“ ნაწილაკდართულ სახელებში, რომელთა ძირში (ფუძეში) არის „რ“ ბგერა: ახლანდელი ძლები ბევრს **ტარტალებენ** (ტარტარებენ); ზოვლი ხმამაღალი **ხარხალი** (ხარხარი) იცოდა; **რამითჯელ** (რამითჯერ ანუ რამდენჯერ) გითხარ სახში ეგდო; **ერთჯელ** (ერთჯერ) თავჟდომარემ დიგვიდახა.

ხმოვანთა დისიმილაციიდან ყურადღებას იქცევს ისეთი შემთხვევები, როდესაც დისიმილაცია მოუდის პრევერბისეულ „ა“ და „ე“ ხმოვანს ფუძისეულ ხმოვნებთან: ჰა წევდეს და რაფერ **გიერთოს** (გაერთოს) იმის დერდშია მარტო; **დიესიენ** (დაესივნენ) ხალხი; ბაბოსთან დამაბეზღეს და ბაბომ ჩამოვდა, **დიერთყანა** (დაერთყა უნდა) ჩემზე; ამდენი ხნის უუსლელობა ზათი **დიეტყობოდა** (დაეტყობოდა) სახლს; ზოგი შიდეთლს **დიემზგავსებოდა** (დაემზგავსებოდა) და ასე ერთობოდენ; პაწაი ხანი გევდოდა, კიდევ ისე **დიემუქრებოდა** (დაემუქრებოდა); დიდი მოზდილაი ქვა ჩემ ფეხებთან **დიეცა** (დაეცა); პური ნახევარი **შიეჭამა** (შეეჭამა); ყველას არ **შიედლო**

(შეედლო) ჩამოსაქნევ ხერხზე მუშაობა; **შიესიენ** (შეესიენ) ხიებს; ვინცხას **ჩიეტევა** (ჩაეტევა), იმას ვითხოვ ცოლათო; ზრუგში ეკალი **წიესო** (წაესო); დანარჩენზე ხელი არ **წიეკარებია** (წაეკარებინა).

ხმოვანთა დისიმილაციას ადგილი აქვს სახელებში, როდესაც მრავლობითი რიცხვის „ებ“ **ფორმანტის** „ე“ და **ფუძის ბოლოკიდური** „ე“ იყრიან ერთად თავს: ძნელი **დღიები** (დღეები) გამევიარე; ახორს **კიბიები** (კიბეები) ქონდა; **კილდიებზე** (კლდეებზე) დავძრებოდი; იმა გარდაი **საქმიები** (საქმეები) კიდე ბევრი იყო; **ხიებს** (ხეებს) ამევეფარეთ.

ჩაწერილ ტექსტებში დასტურდება **მეტათეზისის** შემთხვევებიც: დედაბერს ყიაში **კილტიები** (კლიტეები) ქონდა **შემბული** (შებმული); ლამაზი ფუსკულები ქონდა **შემბული** (შებმული); მემრე **ვათვარიელე** (ვათვალიერე) და ვეღარ დევნახე; წიგნი მაგას არ ახსოვს და **რეველი** (რვეული); სიმინდის ღერეტები აჭრანა **მანგალით** (ნამგლით); გუდუუხტა **ბლენეთაში** (ბნელეთაში) პალკონიდან. ნასოფლარს იყო **დამგზავსებული** (დამსგავსებული).

სუბსტიტუცია: ჭვანის ხეობის მეტყველებაში გავრცელებულია თანხმოვანთა და ხმოვანთა ბგერათმონაცვლეობა: ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში დასტურდება ხმოვანთა შენაცვლების შემთხვევები : მუატყვილე **ვითამ** (ვითომ) მეძინა; სახში ბაისახანია არ **ეესულვარ** (ავსულვარ) და მენატრება; **ფენჯერასთან** (ფანჯარასთან) მოღალული დაჟდა; ყველამ გამეიქცა **აქით** (აქეთ); ვინ იცის **რამდონი** (რამდენი) ხნის ამბავია; **ამდონი** (ამდენი) გაძლება თუ მქონდა შვილო შენი ჭირიმე არ მეგონა: პირზე გადმეიხურე, რომ არ **გიცნან** (გიცნონ).

აქაურთა მეტყველებაში ხშირია თანხმოვანთა შენაცვლების შემთხვევები:

ბ > ვ: არვის არ **ვებნევი** (ვეუბნები) მომემსახურეთ მეთქი.

ვ > ბ: თმებიც **დეიბარცხნა** (დაივარცხნა) და მიემზადა.

ვ > მ: ხე-ტყე **სამსე** (სავსე) იყო; ფუტკარი ძნელი **მოსამლეღია** (მოსავლეღია); მემრე ბაბოი გახტა **მოსამლეღი** (მოსავლეღი).

კ > ყ: შორს ისრიდენ **ყოლტაშს** (კოლტაშს); ხელში **წყეპლიც** (წყეპლიც) უჭირავს; **ყართოფს** (კარტოფილს) ვრგავთ გამოსულზე; **ყართოფს** (კარტოფილს) პრახი რაფერ დიემართებოდა.

მ > გ: **გზითევი** (მზითევი) რაითნა გეყიდა, ფარა არ იყო.

ნ > ლ: **ლემსის** (ნემსის) ყურწში გაგამრუნვებდა.

ნ > რ: ლემსის **ყურწში** (ყუნწში) გაგამრუნვებდა.

პ > ბ: სახში **ლამზაი** (ლამპა) ავანთეთ.

რ > ლ: **ბულკა** (ბურკა) რომ არ აქ, იგირის ხუმრაც მაქ.

ს > ზ: ამფერი ხეცები ვის **დიემზგავსენ** (დაემსგავსნენ) არ ვიცი.

ხ > ღ: **ოჯალით** (ოჯახით) გამყოფონ და გახარონ.

ჰ > ს: ფარა **ჰად** (სად) იყო; **ჰაითკენ** (საითკენ) წავსულიყავ აღარ ვიცოდი; **ჰადამდე** (სადამდე) იქნება ასე, ვინ იცის.

აფრიკატიზაცია: ხეობის მეტყველებას ახასიათებს აფრიკატიზაცია, თუმცა აღნიშნული ფონეტიკური მოვლენა არ გვხვდება დიდი სიხშირით:

ზ > ძ: ღვარი რომ წამუა, **აძანძარებს** (აზანზარებს) ყველამფერს; **ძრუგი** (ზურგი) მტკივა, მარა კიდე ლოცვას ვეკიდები.

ჟ > ჯ: დედიკომ **მეიპაიჯა** (მოიპატიჟა) სახში; **გედეიპაიჯებენ** (გადაიპატიჟებენ) ერთმანეთთან ხალხს.

ტ > ჭ: ძრუგში **ჭვირთი** (ტვირთი) ქონდა მოკიდული; **დავჭვირთე** (დავტვირთე) და მევტაი.

ტ > წ: **სწუმარი** (სტუმარი) უყვარს მემთევრს.

ჭვანის ხეობის მეტყველებაში ადგილი აქვს აფრიკატიზაციის საპირისპირო მოვლენას, **დეზაფრიკატიზაციას:**

ძ > ზ: **ზროხა** (ძროხა) ავათ გიმიხტა; **ნიზლავზე** (ნიძლავზე) თამამობდენ; **თეზო** (თეძო) გალურჯებული ქომდა.

წ > ტ: თლათ ეილო **სტავლაზე** (სწავლაზე) ხელი; სოინი **მუუსტრა** (მოუსწრო) დრომ და დეინგრა კოლექტივი; თველზე თოვლი **მუუსტრობს** (მოუსწრობს); **გავასტრათ** (გავასწროთ) სახლში.

ჯ > ჟ: თეთრ წვერაი, ყაბალახიანი დედეი **იჟდა** (იჯდა); **დაჟდა** (დაჯდა) ციცი და დეიწყო ტირილი.

ბგერის დაკარგვა: ხეობის მეტყველებაში ფართოდაა გავრცელებული ბგერის დაკარგვის შემთხვევები. განსაკუთრებული სიხშირით იკარგება „რ“ „მ“ და „ვ“ თანხმოვნები:

იკარგება „რ“ თანხმოვანი როგორც სიტყვის თავში, ისე სიტყვის შუაში: **მგვალი** (მრგვალი) სუფრა გვქონდა; მაქვერ მემთევრზე პივით **სადლეგბელოს** (სადლეგრბელოს) იტყვოდენ; **არცეთი** (არცერთი) არ დამხტეს აქ; ჩემი **ძალი** (რძალი) წამალ ჭამს; ახლანდელი **ახალგაზდობა** (ახალგაზრდობა) სხვანაირია; ხეირიანი და **ჯამთელი** (ჯანმრთელი) აღარ **გეიზდება** (გაიზრდება); **თველზე** (რთველზე) თოვლი მოგისტრობს; იმათ **გააგბელეს** (გააგრბელეს) ძებნა; **დევხჩონა** (დევხრჩონა ანუ უნდა დავიხრჩო), წყალი მინდა; იმფო მეტათ ტაიებთან **ვიზდებოდით** (ვიზრდებოდით); კაი **მოზდილი** (მოზრდილი) დათვის ბოკვერი იყო; **მოზძანდი-მეთქი** (მოზრძანდი-მეთქი) ვუთხარ; **ძეს** (რძეს) გამოხტიდა; **ბილი** (რბილი) ხორცი მოვჭარ; **დავჩით** (დავრჩით); ხიზარჯები კაი ჭამას და **გასამჯელოს** (გასამრჯელოს) ითხოვენ; შიკრიკი გვყავდა და იმან **გაგვაფთხილა** (გაგვაფრთხილა).

ქვემოთ მოყვანილმა მაგალითებმა დაადასტურა, რომ „მ“ იკარგება ყოველთვის სიტყვის თავკიდურა პოზიციაში : **ჭადი** (მჭადი) დევკავე ხელში; ტკბილეულობას ჩიგიყრიდენ და გაგატანდენ **თაში** (მთაში); **თლათ** (მთლად) საიეთები და ჭალები გაკერძოვდა; დედინაცვალს არ უნდოდა **ზისუნახავის** (მზისუნახავის) წყევანა; იმ შენი **შობელის** (მშობელის) ჭირიმე , ვინაც გიმღერა ნანაო; **შიერი** (მშიერი) იყო ხალხი; ამდენი **კლელობა** (მკვლელობა) ჰა იყო მაშინ; **მამთილთან** (მამამთილთან) და უმფოს კაცებთან ვერ დაჟდებოდი; **ზარეულობა** (მზარეულობა) ჩემზე არ იყო; **ზისაქციელი** (მზისაქციელი) დავთესე და ვერ იხეირა; **ნახველები** (მნახველები) მოდიან; რომ დარწმუნდა **კტარია** (მკვდარია) დედაბერიო, ჩამოდრა ჭირიდან; **შვიდობა** (მშვიდობა)

მოქცეს ღმერთმა; ჩუუხტა **დულარე** (მდულარე) წყალში; სხვა **თავრობა** (მთავრობა) მოვდა.

იკარგება „ვ“ : რომელცხა მემთევრთან რომ მეშვამთევრე არ ამოსულიყო, ის მემთევრი დაჩაგრულათ **ითლებოდა** (ითვლებოდა); ი გოგო **მოკდა** (მოკვდა); არ **დამხდეს** (დამხვდეს) აქ; **წასლის** (წასვლის) დრომ მუაწიაო; ტუფლი **გამრა** (გამვრა); თურქეთში მუუწადინებთან **წასლა** (წასვლა); **მივძრებოდი** (მივძვრებოდი); **მივაგზანეთ** (მივაგზავნეთ) რეჯებაი; ზოვლი უშნო **ასასლელაი** (ასასვლელი) ქონდ მეორე სართულზე; მისი შვილის **კლელი** (მკვლელი) ერთხან მიეკლანა.

აქაურთა მეტყველებაში დაფიქსირდა **„ლ“-ს** დაკარგვის შემთხვევა **სახლ-** ფორმაში: წევით **სახში** (სახლში); იმ **სახში** (სახლში) შევდა დასამალათ; იმ **სახში** (სახლში) სტუმარი მერ მიმყავდა.

სპეციფიკურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს **„ი“** თავსართთან (იქნება ეს ქცევის ნიშანი თუ ვნებითის საწარმოებელი) პრევერბისეული ხმოვნის დამსგავსების შემდეგ **„ი“-ს** უკვალოდ გაქრობა I პირის ფორმებში: **გევიხდე** (გავიხდე) ყველგან და არვინ არ ჩანდა; **გევიქეცი** (გავიქეცი) მოსამებნათ; იალუმზე **გევიქეცოდით** (გავიქეცოდით) სათამაშოთ; **დევიწყეთ** (დავიწყეთ) ყველამ ძებნა; წევდოდით, ფიჩხ **მევიტანდით** (მოვიტანდით); ჯარი **მევიხადე** (მოვიხადე); **მევიწყენდით** (მოვიწყენდით) უშუქობაში; ამ ტუფლს ახლა **წევიღებ** (წავიღებ) და ვინცხა ჩიეტევა, იმას ვითხოვო.

ქვემოთ მოყვანილ **„ვიდ“** ფუძიან ზმნებში იკარგება ძირისეული **„ი“** ხმოვანი : ვინცხას საშვალევა გექონდა **ევიდოდით** (ავიდოდით) თაზე; დედიკომ გაალო კარი და **გევიდა** (გავიდა); დედიკომ დატია საჭმელი და **შამოვიდა** (შემოვიდა); ნელ-ნელა ჩაკიბა და **წევიდა** (წავიდა); ზაფხულში ტყეში **წევიდოდა** (წავიდოდა).

დაკარგულია **„ო“** გათხოვება ფორმაში: **გათხვება** (გათხოვება) ჩათინი საქმე იყო; **გათხვებას** (გათხოვებას) შენ ვინმე არ გკითხევდა.

ბგერის გაჩენა : ბგერის დაკარგვის საპირისპირო პროცესია ბგერის გაჩენა, რაც ასევე ფიქსირდებ ჭვანის ხეობის მეტყველებაში. ჩვენ მიერ ჩაწერილ ტექსტებში დასტურდება **„მ, ნ, რ, ლ, და ვ“** ბგერების განვითარება.

ვითარდება „მ“ ბგერა: ყველამფერი (ყველაფერი) გეიგონა; მემრე (მერე) ვათვარიელე და ველარ დევნახე; მივამწყნარებ (მივაწყნარებ); ამოვდოდით ყანიდან შემცივნებული (შეცივებული).

ვითარდება „ნ“ ბგერა : ზამთარში სიცივეს ვერ უძლებს, შეფუთონა (შეფუთონა); გაატანეს მილინცია (მილიცია) შვახევეში; შამოვდენ შემცივნებული (შეცივებული) ხალხი.

ვითარდება „რ“ ბგერა : დედაბერი გამოვდა მეგრემ (მეგემ) გარეთ; ვინცხაი ურცხო (ურცხო) კაცი იარებოდა ცხენით; გიგვიშვი ბებიავო მეხვერწენ (მეხვეწენ).

ვითარდება „ვ“ ბგერა : ბარში რანა ჩევტანოო იტყვოდენ (იტყოდენ); მარტო იმ ციცას ენახვება (ენახება); საქმე არ ილევოდა (ილეოდა); საცოდვათ (საცოდვად) ცხოვრობდა ხალხი.

ვითარდება „ლ“ ბგერა: ჭყინტლი (ჭყინტი) რომ მოვდოდა, იმა დავფშნიდი; რამდენჯელ მახსოვს დიგვითოვლა (დაგვითოვა) მოსატეხ ყანაზე.

აქაურთა მეტყველებაში ფიქსირდება ასევე აჭარული დიალექტისთვის დამახასიათებელი სრულხმოვნობის შემთხვევებიც: ქვას და კილდეს (კლდეს) ეყურებოდეს; კილდეებსაც (კლდეებსაც) გადათხრიან; რამეს აღარ უგავან კიბილები (კბილები); თიბილი (თბილი) საჭმელი; თიბილ-თიბილი (თბილ-თბილი) ხორციანი თუჯაი; ხობოსაც (ხბოსაც) მუაგანვებდი.

ანალოგია: უმცროსის ანალოგიით არის მიღებული: „უმფოსი“ და თოთხმეტის ანალოგიით არის მიღებული „თუთხმეტი“, რომლებიც ასევე, ჭვანის ხეობის მეტყველებაში ფიქსირდება.

ამდენად, მოპოვებულმა მასალამ გვიჩვენა, რომ ჭვანის ხეობის მეტყველებისათვის ისევე, როგორც ზოგადად, აჭარული დიალექტისათვის ყველაზე მეტად დამახასიათებელია რეგრესული, სრული ასიმილაცია. მაგ.: გუუმარჯოს (გაუმარჯოს); დუუძახა (დაუძახა); მუუნდა (მოუნდა); მუუხვია (მოუხვია); შუუშვირა (შეუშვირა); მიუუსწრო (მიუსწრო); მიუუტანა (მიუტანა); გეეცინა (გაეცინა); მეეწონა (მოეწონა).

„უ“ ხმოვანი სრულად იმსგავსებს პრევერბისეულ „ა, ე, ო“ ხმოვნებს მაშინაც, როცა მათ შორის სუბიექტური I პირის „ვ“ ნიშანია ჩართული. ასეთ შემთხვევაში სუბიექტური პირი იკარგება და ორი „უ“ იყრის ერთად თავს. მაგ.: **ამუუწონე** (ამოვუწონე); **დაუყრიდით** (დავუყრიდით); **შუუთანხმდით** (შევუთანხმდით).

დასტურდება შემთხვევები, როცა „ა“ ხმოვანი გავლენას ახდენს „ე“-ზე და სრულად იმსგავსებს: **შაანათ** (შეანათა); **შაახტა** (შეახტა).

აქაურთა მეტყველებისათვის დამახასიათებელია პრევერბისეული (ა,ე) და ზმნის ქცევის ნიშნის (ი) ხმოვნების სრული ასიმილაცია, იმ შემთხვევაშიც, როცა მათ შორის ობიექტური პირის (მ, გ, გვ) პრეფიქსია. მაგ.: **იმიყვანეს** (ამიყვანეს); **გომილიმა** (გამილიმა); **დიგვილაგა** (დაგვილაგა); **ჩიგიშვებ** (ჩაგიშვებ); **წიგვიყვანეს** (წაგვიყვანეს); **წიმიყვანეს** (წამიყვანეს).

გარდა სრული ასიმილაციისა, ხმოვანთა ნაწილობრივი ასიმილაციის შემთხვევებიც დასტურდება ჭვანის მეტყველებაში. მაგ.: **კტებოდა** (კვდებოდა); **მოქცემს** (მოგცემს); **ქყავს** (გყავს); **ქჭირს** (გჭირს); **დევპანტეთ** (დავიფანტეთ); **დავხტით** (დავხვდით); **სკლატი** (სკლადი); **ფხარი** (მხარი).

იშვიათად, მაგრამ გამოიყოფა „რ“ თანხმოვნის დისიმილაციის შემთხვევებიც. მაგ.: **ატარტალეხენ** (ატარტარეხენ); **ხარხალი** (ხარხარი); **ერთჯელ** (ერთჯერ).

ხმოვანთა დისიმილაციიდან საყურადღებოა პრევერბისეული „ა“ და „ე“ ხმოვნების ფუძისეულ ხმოვნებთან დისიმილაციის შემთხვევები. მაგ.: **გიერთო** (გაერთო); **დიესიენ** (დაესიენენ); **დიემზგავსებოდა** (დაემსგავსებოდა); **ჩიეტევა** (ჩაეტევა); **წიესო** (წაესო).

ხმოვანთა დისიმილაციის შემთხვევები გვხვდება სახელეშიც. მაგ.: **დღიები** (დღეები); **კიბიები** (კიბეები); **საქმიები** (საქმეები).

დასტურდება თანხმოვანთა მეტათეზისის როგორც დისტანციური, ისე კონტაქტური გადასმის შემთხვევები. მაგ.: **შემზული** (შებმული); **რეელი** (რვეული); **ბლენეთაში** (ბნელეთაში).

აქაურთა მეტყველებაში გავრცელებულია თანხმოვანთა და ხმოვანთა ბგერათმონაცვლეობაც. მაგ.: **ვითამ** (ვითომ); **რამდონი** (რამდენი); **მოსამლელი**

(მოსავლელი); **გზითევი** (მზითევი); **ლემსი** (ნემსი); **ყურწში** (ყუნწში); **ყოლტაშს** (კოლტაშს).

აფრიკატიზაციის მაგალითებია ფორმებში: **აძანძარებს** (აზანზარებს); **მეიპაიჯა** (მოიპატიჟა); **ჭვირთი** (ტვირთი); **სწუმარი** (სტუმარი).

დადასტურდა დეზაფრიკატიზაციის შემთხვევები შემდეგ მაგალითებში: **ზროხა** (ძროხა); **თეზო** (თემო); **გავასტრათ** (გავასწროთ); **დაჟდა** (დაჯდა).

ფიქსირდება ბგერის დაკარგვა როგორც სიტყვის თავში, ასევე ფუძეში. მაგ.:

ხშირია „რ“-ს დაკარგვის შემთხვევებ: **მგვალი** (მრგვალი); **ახალგაზდობა** (ახალგაზრდობა); ძე (რძე); **ბილი** (რბილი); „მ“ : **ჭადი** (მჭადი); **შობელი** (მშობელი); **შიერი** (მშიერი); **სხალი** (მსხალი); **ნახველები** (მნახველები); „ვ“ : **მოკდაო** (მოკვდაო); **გაძრა** (გაძვრა); **წასლა** (წასვლა); **დამხდეს** (დამხვდეს); იკარგება „ლ“ „სახლ“ ფორმაში. მაგ.: წვევით **სახში** (სახლში).

სახასიათოა ჭვანის ხეობის მეტყველებისთვის „ი“ თავსართთან ზმნისწინისეული ხმოვნის დამსგავსების შემდეგ „ი“-ს გაქრობა I პირის ფორმებში. მაგ.: **გევხარეთ** (გავიხარეთ); **გევქეცით** (გავიქეცით); **მევხადე** (მოვიხადე).

ფიქსირდება „ი“ -ს დაკარგვის შემთხვევებიც **„ვიდ“** ფუძიან ზმნებში. მგ.: **ევდოდით** (ავიდოდით); **გევდა** (გავიდა); **შამოვდა** (შემოვიდა).

ქვემოთ მოყვანილ მაგალითში დაკარგულია „ო“ ხმოვანი : **გათხვება** (გათხოვება).

საანალიზო ტექსტებში წარმოდგენილია ბგერის გაჩენის შემთხვევებიც მაგ.: „მ“ ბგერა: **ყველამფერი** (ყველაფერი); **მემრე** (მერე); „ნ“ ბგერა: **შეფუთნო** (შეფუთო); **მილინცია** (მილიცია); „რ“ ბგერა: **ურცხო** (უცხო); **ვეხვერწე** (ვეხვეწე); „ვ“ ბგერა: **იტყვოდენ** (იტყოდენ); **ენახვება** (ენახება); „ლ“ ბგერა: **ჭყინტლი** (ჭყინტი); **დიგვითოვლა** (დაგვითოვა).

როგორც საკვლევი მასალიდან ირკვევა, ჭვანის მეტყველებაში დაცულია **სრულხმოვნობა**. მაგ.: **კილდეს** (კლდეს); **კიბილები** (კბილები); **ხობოსაც** (ხბოსაც).

დასტურდება **ანალოგიის** შემთხვევებიც. მაგ.: **„უმფოსი“** (უმცროსი); **„თუთხმეტი“** (თოთხმეტო).

II თავი

ჭვანის ხეობის მეტყველების მორფოლოგიური თავისებურებანი

ჭვანის ხეობის მეტყველება მორფოლოგიური თავისებურებების კუთხითაც საინტერესო სურათს გვიჩვენებს. სახელთაგან განსხვავებული შემთხვევები დასტურდება არსებითში, ზედსართავსა და ნაცვალსახელში. თავისებურებები იჩენს თავს ზმნის წარმოებაში, გამოიყო ზმნიზედა, კავშირი, თანდებული და ნაწილაკი განსხვავებული ფორმით.

ხმოვანფუძიანი სახელი როგორც საკუთარი, ასევე საზოგადო სახელობით ბრუნვაში დაირთავს „ი“ ბრუნვის ნიშანს. აღნიშნული მოვლენა სახასიათოა ზოგადად, აჭარული დიალექტისათვის: **ხატიჯე-ი** (ხატიჯე) ბოროტი იყო; **ხანუმა-ი** (ხანუმა) მოდის; **უმიანა-ი** (უმიანა) ჰაცხა ბახჩიდან გამუარდა; **მუედინა-ი** (მუედინა) არ დეისახლება; მივაგზანეთ **რეჯება-ი** (რეჯება); არ დატიეს **ფატყუმა-ი** (ფატყუმა); მივეით მე, **შირინა-ი** (შირინა) და **რამაზა-ი** (რამაზა); პირველ რიგში **ნენე-ი** (ნენე) მეგვითხე; **ანა-ი** (ანა) წინდებს ქსოვდა; **ბაბო-ი** (ბაბო) მეძებს გამწარებული; **მამიკო-ი** (მამიკო) გააგზანა; შალბანა **ემია-ი** (ემია) იჟდა კიბეზე; თიებზე **ხომკაკალა-ი** (ხომკაკალა) მოვდოდა; მისი **ციცა-ი** (ციცა) უმნო იყო; **ტურაბელელა-ი** (ტურაბელელა) რასძალა მალლა იყო; **ზისაქციელა-ი** (მზისაქციელა) დავთესე; მივაგზანეთ **რეჯება-ი** (რეჯება); **პაწა-ი** (პაწა) საყანე მიწა გვექონდა; **ყველა-ი** (ყველა) ამბობს მავნებელიაო; იმდონი **მაშინა-ი** (მაშინა) ბათუმ არ იქნება; ათასი **ხირთიმურთა-ი** (ხირთიმურთა) ჩამოზიდეს; **ცოტა-ი** (ცოტა) იყო ალაფი; სახში **ლამბა-ი** (ლამბა) ავანთეთ.

ქართული ენის სხვა კილოსთვისაც არის სახასიათო აღნიშნული მოვლენა. ბ. ჯორბენაძეს მიაჩნია, რომ „ფშაურში სახელობითი ბრუნვის „ი“ ნიშანი სრული სახით არის წარმოდგენილი: ვაჟა-ი, ქალა-ი და მისთ.“ [ჯორბენაძე, 1989.: 245]. ხოლო მთიულურ-გუდამაყრულში „ი“ დაერთვის „ა“ ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ ორ და მეტმარცვლიან სახელებს: ხმალა-ი, ივანა-ი, წერწენა-ი, სარეკელა-ი. აღნიშნული შემთხვევები დასტურდება ქართული ენის სხვა დიალექტებშიც: მიწა-ი, დრო-ი, ლობია-ი, უმთავრესად მაშინ, როცა სახელი წინადადების ბოლოკიდურ პოზიციამია

[ჯორბენაძე, 1989.: 280]. რაც შეეხება მოხეურს, აქ მხოლოდ „ა“-ზე გათავებული სახელები დაირთავენ „ი“-ს: გუდა-ი, რა-ი, ძალა-ი [ჯორბენაძე, 1989.: 266]. კახურ დიალექტში კი დასტურდება: ელენე-ი, დრო-ი, ცხოვრება-ი, და მისთ. ფორმები [ჯორბენაძე, 1989.: 322].

გურულში ხმოვანფუძიან სახელებთან გვხვდება სახელობითი ბრუნვის „ი“ ნიშნის დართვის შემთხვევები, ოღონდ ერთმარცვლიან სახელებთან: ძმა-ი, და-ი, ქვა-ი, ტბა-ი [ჯორბენაძე, 1989.: 523]. ასევე „ი“-ს დართვის შემთხვევები დასტურდება ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებთან იმერულ დიალექტშიც: რიყე-ი, ცა-ი, დრო-ი, წყარო-ი, ღვინო-ი [ჯორბენაძე, 1989.: 458].

„ი//ე“ გვხვდება სახელობითი ბრუნვის ნიშნად ხმოვანფუძიან საკუთარ ან მასთან ფუნქციით გატოლებულ საზოგადო სახელებთან, ამიტომ სამცხურში გვხვდება: შოთა-ე, პეტრე-ე, მამა-ე, ხოლო ჯავახურში „ი“: შოთა-ი, სანო-ი, მამა-ი, ძალო-ი [ჯორბენაძე, 1989.: 385].

რაც შეეხება იმერხელ დიალექტს, სახელობითი ხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელებში გვხვდება „ე“ ნიშნის დართვის შემთხვევები: ანა-ე, ბაბა-ე, გიდელა-ე [ჯორბენაძე, 1989.: 580]. სხვა ქართული ენის დიალექტებში ხმოვანფუძიან სახელებზე სახელობითი ბრუნვის „ი“ ნიშნის დართვა არ ფიქსირდება.

როგორც ვხედავთ, ხმოვანფუძიან სახელებთან სახელობით ბრუნვაში „ი“ ნიშნის დართვა ქართული ენის დიალექტების უმრავლესობისთვის სახასიათოა.

ხშირია შემთხვევები, როდესაც თანხმოვანფუძიან სახელებთან დაკარგულია მიცემითი ბრუნვის „ს“ ნიშანი, რომელიც წინადადებაში შეიძლება იყოს პირდაპირი ან ირიბი დამატება: პირდაპირი დამატება: **წამალ** (წამალ-ს) ჭამს ჩემი ძალი; **მატყლ** (მატყლ-ს) ართევდი და ქსოვდი; ღამე **კოცონ** (კოცონ-ს) ანთობენ; **შერბეთწყალ** (შერბეთწყალ-ს) ჩაასხამენ; **კარტ** (კარტ-ს) ვთამაშობდი; **მუხლებ** (მუხლებ-ს) ვბანდი; **ყველამფერ** (ყველამფერ-ს) იქ ვრგევდი; **ბოსტან** (ბოსტან-ს) დავთესავთ; **ბაღნებ** (ბაღნებ-ს) ვატყვილებდი; **საქონელ** (საქონელ-ს) წეიყვან; **საჭმელ** (საჭმელ-ს) აჭმევდენ და გააჩერებდენ.

ირიბი დამატება: **სახლ** (სახლ-ს) ვინმე არ პატრონობს; **ბაჯანად** (ბაჯანად-ს) ვეხმარებოდი და არ მეცალა; სხვის **ველოსიპედ** (ველოსიპედ-ს) ვეკიდებოდი დადამებამდი; **სოფელ** (სოფელ-ს) საფთხე ემუქრება; **რძალ** (რძალ-ს) დუუმახე და არ მომხედა.

ხეობის მეტყველებისთვის დამახასიათებელია ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული „ს“ ფორმანტის დაკარგვის შემთხვევებიც: **პურ-ი** (პურ-ის) ფქვილს ვერ ვყიდულობდით; **პურ-ი** (პურ-ის) კაკალი დააპნია; **ოდ-ი** (ოდ-ის) კარებს ჩიგიკლიტავ; **წიფლ-ი** (წიფლ-ის) ქერეჭ ჭამდა ხალხი; **ყავრ-ი** (ყავრ-ის) მუხი ამეიტაიო; გუუყარა **ვალინკ-ი** (ვალინკ-ის) ნაჭრებში ფეხი; რამდენი ხანია არ გიმიღია **სახლ-ი** (სახლ-ის) კარები; **ჭად-ი** (მჭად-ის) ქერეჭინა აჭამო ერთ კვირას; ილლა მუუწევს **ხელ-ი** (ხელ-ის) გაქანება; **ყან-ი** (ყან-ის) ნაპირში; **არდმ-ი** (არდმ-ის) ღელის ღარდიებში; **სოფლ-ი** (სოფლ-ის) ბოლოს საციხველაი ქვია; ჩევდა **ღელ-ი** (ღელ-ის) პირზე წყლის დასაღევათ; **ყავრ-ი** (ყავრ-ის) თავზე ვინცხამ ქვა გამეიქნია; წყვიტეს **ყურ-ი** (ყურ-ის) ძირში; ბევრ ახალგაზდას კიდე ვაჯობებ **თოფ-ი** (თოფ-ის) სროლაში.

ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც „ა“ ხმოვანფუძიანი სახელები მოქმედებით ბრუნვაში არ იკვეცენ „ა“ ხმოვანს და „თი“ ბრუნვის ნიშნის ნაცვლად წარმოდგენილი არიან „ით“ ნიშნით, თუმცა ჭვანის ხეობის მეტყველება ასეთი ფორმების პროდუქტულობით ნაკლებად გამოირჩევა: ანაი გამეგვეკიდებოდა **ლაფერა-ით** (ლაფერა-თი); ამ სახლის ძელები სულ ხელის **რანდა-ით** (რანდა-თი) არის გარანდული.

ვითარებით ბრუნვაში **ად/დ** ბრუნვის ნიშნის ნაცვლად წარმოდგენილია **ათ/თ** ფორმა. ასეთი ფორმების გავრცელებას სისტემური ხასიათი აქვს ჭვანის მეტყველებასა და ზოგადად, აჭარულ დიალექტში: **დაჩაგრულ-ათ** (დაჩაგრულ-ად) ითლებოდა; ჩალუმიათი კაცი ჩათინ საქმესაც **იოლ-ათ** (იოლ-ად) გააკეთებს; **ლამაზ-ათ** (ლამაზ-ად) დეელაპარიკე და მოგიყვება რაცხა გინდა; **კარგ-ათ** (კარგ-ად) სწავლობს; გევქე **მოსაძებნ-ათ** (მოსაძებნ-ად); იქ დააპირეს წასლა **სამუშაო-თ** (სამუშაო-დ); სულ **ბედნიერ-ათ** (ბედნიერ-ად) ცხოვრობდენ; ხალხი **სათითაო-თ** (სათითაო-დ) გააფრთხილე; იმ სახში შევდა **დასამალ-ათ** (დასამალ-ად).

გვხვდება შემთხვევები, როდესაც სახელი მოქმედებითი ბრუნვის ნაცვლად წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვის ფორმით: სარძიეში შევძრებოდით **უჩუმარაი** (უჩუმარად); გეიქცენ **უჩუმარაი** (უჩუმარად); გეიქცენ **უჩუმარაი** (უჩუმარად); სულა **ადვილაი** (ადვილად) ააშენებ სახლ; **ტყვილაი** (ტყვილად) თავი არ გააცვეთიო.

აქარულ დიალექტს ახასიათებს საკუთარ და საზოგადო სახელებზე წოდებითი ბრუნვის „ვ/ო“ ნიშნის დართვა, შესაბამისად, ჭვანის ხეობაშიც ფიქსირდება ანალოგიური შემთხვევები: ერთი მაგარი საქმე მაქ **რეჯებო** (რეჯებ); **რემზო** (რემზი) წევით სახში; ერთი დღეა და რამიზაი მიძახის **მევლუდავ** (მევლუდ) მოი აქაო; **მუხამედავ** (მუხამედ) რაცხაში ჩავყაროთ ე ფუტკარი; უძახდენ, **ჯემალავ** (ჯემალ) გამოიო და არ გამოდიოდა; **დედიკოვ** (დედიკო) ჰადაა ნენეი; დიდ საჩიჩელზე დავჯექ **ნენევ** (ნენე) და იმან ამომახტუნვა; ძმის ქალმა დიმიძახა, **ძიავ** (ძია) მოი აქაო; **ბებიავ** (ბებია) მაი არ არის, სხვა ციცი გყავს შენო.

აქაურთა მეტყველებაში სალიტერატურო ენისაგან განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს **ებ-იანი** მრავლობითის წარმოებისას „ე“ ხმოვანფუძიანი სახელები. მრავლობით რიცხვში ორი „ე“ იყრის ერთად თავს, შემდეგ კი დისიმილაციის გზით ვლბულობთ ასეთ ფორმებს: **კილტიები** (კილტეები) ქონდა შებმული; ახორს **კიბიები** (კიბეები) ქონდა; რა დამავიწყებს იმ **დღიებს** (დღეებს); **დარიებში** (დარეებში) ვუყურებდით ხომარ გადავარდაო; ვარიოლა **ხიებს** (ხეებს) ველარ მოჭრი; **კილდეებზე** (კლდეებზე) დავძრებოდი; წისქვილის შენობის ხელა **პლაკიებს** (პლაკეებს) აგორვებდა.

ქვემოთ მოყვანილი მაგალითები „ე“ ხმოვანფუძიანი სახელების მრავლობითი რიცხვის წარმოების ანალოგიით არის მიღებული: **სერიებზე** (სერებზე) წევდოდენ და სურათებს გედეილებდენ; **მთიებში** (მთებში) მარხავდენ ოქროს; ერთჯელ **უსტიები** (უსტები) გყავდა, ქოხს რომ ვაშენებდით.

ზედსართავი სახელი ჭვანის ხეობის მეტყველებაში რაიმე განსაკუთრებული სპეციფიკურობით არ გამოირჩევა, თუმცა აქაც ვხვდებით გარკვეულ თავისებურებებს.

„ძალიან“ ზედსართავი სახელის ნაცვლად ფართოდაა გავრცელებული „ზოვლი“ ფორმა. მაგ.: **ზოვლი** (ძალიან) წყალი მოწყურდა ამ ბაღს; **ზოვლი** (ძალიან) ფინთი

დარჩა ჩვენთვის; **ზოვლი** (ძალიან) უშნო ასასლელაი ქონდენ მეორე სართულზე; **ზოვლი** (ძალიან) ჭკვიანი და დაგნებული იყო და ა.შ.

„ასეთის“ ნაცვლად „ამფერი“, ხოლო „ისეთის“ ნაცვლად კი „იმფერი“ ფორმებია წარმოდგენილი: ბევრს არ ჯერა **ამფერი** (ასეთი) რაცხაების; მანამდე არ მქონდა **ამფერი** (ასეთი) ამბავი გაგონილი; **ამფერი** (ასეთი) სიბლაცვე დემემართაო; **ამფერი** (ასეთი) მპატიებელი ხალხი ცხოვრობდა მთიებში; **ამფერი** (ასეთი) ბევრი გვარის ხალხი არცეთ სოფელში არ არის; აქ **იმფერი** (ისეთი) მუზევირი ხალხი ცხოვრობს; **იმფერი** (ისეთი) ქიზარი და უგუტეხელი ნენეი იყო, რომე აქეთ გვიყვირა; **იმფერი** (ისეთი) მოტეხილობა მქონდა, ხელი ვერ წააკარა; **იმფერი** (ისეთი) გახარებული იყვენ, გედემეკოჭენ; **იმფერი** (ისეთი) ხიდი ააშენეს, რომ ორი მანქანა გეიარს ერპირაი; რადიოც არ გვქონდა, **იმფერი** (ისეთი) დრო იყო.

„უფროს“ ნაცვლად ხშირად გვხვდება „უმფო“ და „იმფო“ ფორმები. მაგ.: ახალგაზდობა ადრე **უმფო** (უფრო) კაი იყო; ერთი წლის იქნებოდა ან **უმფო** (უფრო) ნაკლების; **უმფო** (უფრო) მეტად საშვამთევროთ ასული ახალგაზდა ქალები ეხმარებოდენ მემთევრებს; **იმფო** (უფრო) მეტი სამა და სიმღერა იყო; შვამთობა ახლა **იმფო** (უფრო) იციან; **იმფო** (უფრო) მეტი რიდი იყო; **იმფო** (უფრო) ავნერვიულდი.

თავისებურებები იჩენს თავს **ნაცვალსახელებშიც**. ხშირია შემთხვევები, როდესაც ჩვენებით „ეს“ და „ის“ ნაცვალსახელებს მოკვეცილი აქვთ თანხმონითი ნაწილი და წინადადებაში წარმოდგენილია მხოლოდ ხმონითი ნაწილი. მაგ.: დეიკავა ე (ეს) ტუფლი ხელში ბიჭმა; ე (ეს) შოფერი ბაღვი მიემწყრა მანქანაში; ე (ეს) ხორციანი თუჯაი ავწი და სარძიეში, კუჩხეში დავმალე; ე (ეს) რომ გეიგონეს, გეიქცენ უკან; რაცხაში ჩავყაროთ ე (ეს) ფუტკარი; ი (ის) გოგო მოკდა; ი (ის) ცხენი გაქრა; ი (ის) ხომ ყველას არ მუუწევდა; ი (ის) ბაღვი ხეირიანი და ჯამთელი აღარ გეიზდება; მოთხარა და წეილო ი (ის) ოქრო; ი (ის) ხე წეილო ჩემმა ძმამ და გადააგდო წყალში.

„მაგი“ ნაცვალსახელის ნაცვლად გავრცელებულია „მაი“ ფორმა: **მაი** (მაგი) ცხოვრებას ვერ იქს, ბლაცვია; შენხელა ჭადს ჭამს **მაი** (მაგი) ფალავანი; შენი იყოს **მაი** (მაგი) ყართოფაიც; **მაი** (მაგი) ხე წეილეთ და შორს, წყალში გადააგდეთო; ნებით **მაი** (მაგი) მაგაზე წამყოლელი არ არისო.

„ამას“ და „იმას“ ნაცვალსახელების ნაცვლად წარმოდგენილია „ამა“ და „იმა“ ფორმები: **ამა** (ამას) ვერ შევჭამო; **ამა** (ამას) წყვიტეს ყური ძირში; ჭყინტლი რომ მოვდოდა, **იმა** (იმას) დაფუშნით; **იმა** (იმას) მოვლა და ყური თხვევა უნდა; **იმა** (იმას) მისი დედო ახლავს.

„ვილაცა“, „რალაცა“ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების ნაცვლად ხშირად გვხვდება „ვინცხა“ და „რაცხა“ ფორმები: **ვინცხაი** (ვილაცა) რომ ძროხას დაკლევდა, უჩერეთი დადგებოდა; იმა მემრე პატრონობს **ვინცხაი** (ვილაცა); **ვინცხას** (ვილაცას) ქესუმათნა გაატანო; **ვინცხამ** (ვილაცამ) ქვა გამეიქნია; მაყარი **რაცხა** (რალაც) საჭმელს მეითხოვდა; **რაცხა** (რალაცა) სახლი შეხტა გზაში; მოგეჩვენა **რაცხა** (რალაცა).

„ვინცხა“ და „რაცხა“ ფორმები შეიძლება შეგვხვდეს „ვინც“ და „რაც“ მიმართებითი ნაცვალსახელების ნაცვლადაც: **ვინცხაი** (ვინც) შორს გეიქნევდა, ის იყო გამარჯვებული; ზენგილი მეშვამთევრე **ვინცხაი** (ვინც) იყო, საკლავსაც დაკლევდა; **ვინცხაი** (ვინც) დიგიჯერებს, წეიყვია; **რაცხა** (რაც) შიგვიძლია, ყველამფერს ვაკეთებთ.

გვხვდება „ამდონი“ და „იმდონი“ ნაცვლად „ამდენი“ და „იმდენი“ ფორმებისა: **ამდონი** (ამდენი) გაძლება თუ მქონდა, შენი ჭირიმე შვილო, არ ვიცოდი; **ამდონი** (ამდენი) ნამცხვრები მაშინ ჰა იყო; **ამდონზე** (ამდენზე) მივხახანდი, კილო რაღა მინდა; **იმდონი** (იმდენი) ყეზა მაქ გამოვლილი; ახლა **იმდონი** (იმდენი) რაცხა გამეიგონეს.

ზმნასთან დაკავშირებულ მოვლენებს რაც შეეხება, აქაც მთელი რიგი თავისებურებები იჩენს თავს. III ირიბი ობიექტური პირის ფორმა „ჰ“ თავსართების გარეშეა წარმოდგენილი: ძრუგში ჭვირთი **ქონდა** (ჰქონდა) მოკიდული; ნათქვამი **ქონდა** (ჰქონდა) წიმიყვაით და არ ვიწუწუნებო; ყველამფერი მათ იციან, რომ **კითხო** (ჰკითხო); მისი თავი კიდე პაწაი **გონია** (ჰგონია); ახლა **გონია** (ჰგონია) მაგას რამეს არ გავაკეთებ და ვიქნები ბეგის ბაჯანალივით წამოწოლილი.

III სუბიექტური პირის ფორმებთან „ნენ“ ბოლოსართის ნაცვლად გავრცელებულია „ენ“ ბოლოსართი: მე ზრუგში მოკუჭუჭანებული **მზიდევდენ** (მზიდავდენენ); ღობეზე **დაკიდევდენ** (დაკიდავდენენ) თელახარშილას, **გაახმობდენ** (გაახმობდენენ) და **შეინახავდენ** (შეინახავდენენ); საშვაოებში ცეფი გააკეთეს და ისე **ჩამოვდენ** (ჩამოვიდენენ); იალს **მორეკავდენ** (მორეკავდენენ); ენჯამი **მეიშვამთევრებდენ**

(მოიშვამთევრებდნენ) და ჩამოვდოდენ (ჩამოვიდოდნენ) ბარში; თამაშობდენ (თამაშობდნენ) კუტი ლამბაზე; გაადრობდენ (გაადრობდნენ) წიფელას ტყავს, დანაყავდენ (დანაყავდნენ) და იმა ჭამდენ (ჭამდნენ) ; თაზე ჩემთან მეგრელები მოვდენ (მოვიდნენ); დადიანები წაყვებოდენ (წაყვებოდნენ) დედოფალს და იმ ღამე იქ დარჩებოდენ (დარჩებოდნენ) ; გაკვეთილებ მიტარებდენ (მიტარებდნენ).

გარდაუვალ ზმნაში მესეამე პირის მრავლობითი რიცხვის გამოსახატავად ხშირად „ენ--ნ“ სუფიქსებია გამოყენებული „თ-ს“ ნაცვლად: საჭმელიც უჭირდენ (უჭირდათ), საქონელი ყავდენ (ჰყავდათ) ბევრი და ამით პაწაი ცხოვრობდა ხალხი; ფქვილი არ ყოფნიდენ (ჰყოფნიდათ) და ნახევარზე შიერი იყო ხლხი; ისე ეშინოდენ (ეშინოდათ), კილდიებში გამოქვაბულის თხრა დეიწყეს; ავძრებოდი ზვინზე და ეშინოდენ (ეშინოდათ) ემედენი არ გადმუარდესო; ახლა მუუნდენ (მოუნდათ) სოფელიო; ბაღნებიც ეყოლენ (ეყოლათ); ეგონენ (ეგონათ) ვიტყვილებოდი; გაუტყევებიან (გაუტყევებიათ) აქავრობაო; ღმერთმა გამჩენელმა შვილებით, ოჯალით, გამყოფონ (გამყოფოთ) და გახარონ (გახაროთ); გინდებან (გინდათ) დეიჯერეთ, გინდებან (გინდათ) არა; იქაც ეზარებიან (ეზარებათ) გასლა; ახლა მუუნდენ (მოუნდათ) სოფელიო.

ხეობის მეტყველებაში ვხვდებით თემის ნიშნის გამოყენებასთან დაკავშირებულ თავისებურებებსაც. „ავ“ და „ამ“ თემისნიშნების ნაცვლად ზმნაში წარმოდგენილია „ევ“ და „ემ“. ავ-ევ : კლასობანას დავხაზევდი (დავხაზავდი); მოკონევდი (მოკონავდი) და ზამთარში იმას აჭმევდი საქონელს; თოვლში ჩავფლევდით (ჩავფლავდით); მარტვაი დავხვეტევდი (დავხვეტავდი); გავკვალევდი (გავკვალავდი) თოვლს; ფაფას გავაკეთებდით და ამოვფაფევდით (ამოვფაფავდით); ვინცხაი რომ ძროხას დაკლევდა (დაკლავდა), უჩერეთი დადგებოდა; რიზინა ქალაბნებს შეკერევდენ (შეკერავდნენ); რაფერ მოკლევდი (მოკლავდი) კაცს; გოდორს ვზიდევდი (ვზიდავდი); დაცხუნებამდი ამოვზიდევდი (ამოვზიდავდი); გადაჭიმევდენ (გადაჭიმავდნენ) პალატას.

გვაქვს შემთხვევები, როდესაც „ებ“ თემისნიშნის ნაცვლად „ევ“ არის წარმოდგენილი: დაკიდევდა (დაკიდავდა) მის ალიგზე; ღობეზე დაკიდევდენ (დაკიდავდნენ).

ამ-ემ : იმა **დიგვისხემდა** (დაგვისხამდა) ჩინკოში, ბაღნებ აჭამეთო; **ასხემდენ** (ასახამდენ) ძაფზე; ის **დგემდა** (დგამდა), ის წევდა, ის იყო უმფოსი; საღამომდე **ვასხემდი** (ვასხამდი) ჟვერს; არ **დაგვარტყემდა** (დაგვარტყამდა).

პირველ თურმეობითში „ავ“ და „ამ“ თემისნიშნისანი ზმნები გვხვდება „ია“ დაბოლოებით: იმხელაზე **დუურტყია** (დაურტყამს), ათი წუთი ფალავანი ზეზე აღარ ამდგარა; შკაფის თავზე **დუუმალაია** (დაუმალავს); ამფერი რამე სიცოცხლეში არ **დამინახია** (დამინახავს); დურსუნას ქალს **დუუბარია** (დაუბარავს) ეზო-კარი.

სალიტერატურო ენისგან განსხვავებით საანალიზო ტექსტებში დადასტურდა შემთხვევები, როდესაც უთემისნიშნო ზმნები თემისნიშნით არიან წარმოდგენილი: ნიგოზ **დატეხედენ** (დატეხდენ); ათ გოდორ თუთუნ **შევატეხევი** (შევატეხდი); მერე ჩალას **ავჩეხავდით** (ავჩეხდით); **ჩაკბეჩავდა** (ჩაკბეჩდა) ერთს, მერე გეიქნევდა; გოგო ადგილზეა, ყანას **ფხიკავსო** (ფხეკსო); ჭადს **მოვზილავდი** (მოვზელდი).

ზმნისწინს რაც შეეხება, შეიძლება ითქვას, რომ რაიმე განსაკუთრებული თავისებურებით არ ხასიათდება. „შე“ ზმნისწინის ნაცვლად გვხვდება „შა“ და „შემო“ ზმნისწინის ნაცვლად „შამო“ : მემრე **შავა** (შევა) სკაში; **შახტა** (შეახტა) ზრუგში; ფანარი **შანათეს** (შეანათეს); ბოხჩას სებ ბაღვს **შატანიებდენ** (შეატანიებდენ) სახში; **შამეიყვანეს** (შემოიყვანეს); მასობაში დედაბერი **შამოვდა** (შემოვიდა); სახლს **შამოუარეს** (შემოუარეს).

საინტერესო სურათს გვიჩვენებს **ზმნიზედასთან** დაკავშირებული თავისებურებებიც. ყურადღებას იქცევს ადგილის ზმნიზედები, რომელებიც სალიტერატურო ქართულში მიცემითი ბრუნვის თანდებულისანი ფორმით არიან წარმოდგენილი, ხოლო ხეობის მეტყველებაში უთანდებულო ფორმებით გვხვდება. **მაგ.**: ვინ იცის რამდენი დღე იარა **ბათუმ** (ბათუმში) ჩასლამდე; ახლა ყველაი **ბათუმ** (ბათუმში) გარბის; **ნაღვარევ** (ნაღვარევში) ამოვდენ; გადააშპა წინდა-ქალაზნითაი **ჭვანას** (ჭვანაში); **ჭვანას** (ჭვანაში) ვსწავლობდი; **წყაროთას** (წყაროთაში) აბლაი მყავდა; **რაგვთას** (რაგვთაში) ვინცხას რომ ბიჭი მუუკლა, იმ კაცთან მიიყვანა.

„აქ“ და „იქ“ ადგილის ზმნიზედების ნაცვლად გვხვდება „აგზე“, „იგზე“, „აქში“ და „იქში“ ფორმები: არცეთი არ დამხდეს **აგზე** (აქ); **იგზე** (იქ) საცერია და მომიტაი; **იგზე**

(იქ) ერთი უსნო მოსახვევია; სანამ არ ჩეიპარებოდა **იგზე** (იქ) ვიყავით; არ ეტევა **აქში** (აქ) მაგის ფეხი; ჰაცხა ნახულობს ადგილს, **იქში** (იქ) შედის; მანამდე არ შავა **იქში** (იქ).

მერეს ნაცვლად დასტურდება „**მემრეს**“ გამოყენების შემთხვევები. მაგ.: **მემრე** (მერე) ფაფას გავაკეთებდით; **მემრე** (მერე) ვათვარიელე და ველარ დევნახე; **მემრე** (მერე) ხიზარჯებინა გეჟირავებია; **მემრე** (მერე) მევლუდს აკითხვებდენ; იმის **მემრე** (მერე) ვინ იცის რამდენი ხანი გევდა; იმა **მემრე** (მერე) პატრონობს ვინცხაი; **მემრე** (მერე) ყანაში ვისაქმებდი პაწას; **მემრე** (მერე) იქ დეიწყებდენ ხუმრობას.

საანალიზო ტექსტებში ასევე დასტურდება დროისა და ვითარების გამომხატველი ზმნიზედები, რომლებიც საინტერესო და მრავალფეროვან სურათს იძლევიან: **ბაისახანია** (დიდი ხანია) აღარ ყოფილა ძველებური მხიარულობა; სახში **ბაისახანია** (დიდი ხანია) არ ევსულვარ; დედინაცვალმა **მაშინათველაი** (მაშინვე) დამალა ეს გოგო; **ფეშინათველაი** (მაშინვე) მეორე ფიშეკი ჩავდე და გევექეცი მისკენ; **ხანჯელ** (ზოგჯერ, ხანდახან) გუუფუჭდებოდენ მორეკილი იალი, კაი მორეკილი რომ არ იქნებოდა; **ამწახანებაი** (ამ ბოლო დროს) გაზარმაცდა ხალხი და აღარ არის იმფერი მხიარულობა; **ყველთვინ** (ყოველთვის) შრომაში ვართ; **პაწახანს უკან** (ცოტახნის შემდეგ) დედიკოს გარეთ გასლა მუუნდა; **უსულით** (ჩუმად) სერსახედზე გედევხედე; **ერწამალაი** (უცებ) გამეიწისქვილებენ; ყველას არ მუუწევდა, **ერწამალაი** (უცებ) დეილევოდა; ბაღნები გამოგვეკიდენ **უჩუმარაი** (ჩუმად).

არანაკლებ საინტერესოა **თანდებულის** გამოყენებასთან დაკავშირებული თავისებურებებიც. „**გამო**“ თანდებულს ხშირად ენაცვლება „**მგონე**“ და „**გულობაი**“ ფორმები. მაგ.: შიში **მგონე** (გამო) ხმას არ ვიღებდი; უწყლობი **მგონე** (გამო) ველარ იზდება ხილი დიდვანი; ამი **გულობაი** (გამო) არ მყავს; სიზმრი **გულობაი** (გამო) ხომარ მოვშლით სოფელსო; ბაბას ვათანი არნა გააბეგლუგო ქალაქის **გულობაი** (გამო).

„**თვის**“ თანდებულის ნაცვლად სისტემურად გვხვდება „**თვინ**“ ფორმა. მაგ.: გევემზადე მეორე **დღისთვინ** (დღისთვის); ცალკე **კოლექტივისთვინა** (კოლექტივისთვის) დეგემზადებია ცალკე კიდე **შენთვინ** (შენთვის); **საქონელისთვინაც** (საქონელისთვისაც) კაი იყო; ბაღნებს ჰაზირი აქვან **ღობისთვინ** (ღობისთვის) ლარტყები; მეიტანდენ **პალატისთვინ** (პალატისთვის) ხიებს; ზოგი ბიშს

აცხოვდა **ერიშტისთვინ** (ერიშტისთვის); დეიწყობდენ თათარიკს **ქორწილისთვინ** (ქორწილისთვის); კტრების **სულისთვინ** (სულისთვის) რაცხა გააკეთე; ყაიმაღ **მისთვინ** (მისთვის) შეინახევდა; ნებისმიერი **სტუმრისთვინ** (სტუმრისთვის) ჩემი მეიდან ოდის კარი ღია იყო; **ზამთრისთვინ** (ზამთრისთვის) შეშასაც იქ დავპაჭკევდით.

„**მდე**“ თანდებულის ნაცვლად ხშირად გამოიყენება „**მდი**“ ფორმა : ვინახსეთ **საღამომდი** (საღამომდე); დილიდან **საღამომდი** (საღამომდე) თოვლში ლიჟებით ვცურევდი; **გათენებამდი** (გათენებამდე) ვთამაშობდი; სოფლის ბოლოში **ჩასლამდი** (ჩასვლამდე); **აქამომდი** (აქამდე) ასჯერ გავაშენებდი; **დაღამებამდი** (დაღამებამდე) არ ავწევდი ბოსტნიდან თავს.

ხშირად არის გამოყენებული „**გან**“ თანდებულიანი ნათესაობითის ნაცვლად „**დან**“ თანდებულიანი მოქმედებითის ფორმები. მაგ.: **სხლიდან** (სხლისგან) ხარდალს გავაკეთებ; ქუმასაც ვაკეთებდი **თხილიდან** (თხილისგან), ხაპი **კაკლიდან** (ხაპი კაკლისგან) და **ნიგვზიდან** (ნიგვზისგან); **ხიდან** (ხისგან) გაკეთებული მგვალი სუფრა გვქონდა; **წურუხიდან** (წურუხისგან) გაკეთებული ჭადი არ იყო გემრიელი.

აქაურთა მეტყველებაში **კავშირი** რაიმე განსაკუთრებული თავისებურებით არ გამოირჩევა. „**მაგრამ**“ კავშირის ნაცვლად სისტემურად გვხვდება „**მარა**“ და შედარებით იშვიათად „**ამა**“ ფორმა : გავკუჭდებოდი, **მარა** (მაგრამ) ვეფერს ვერ ვებნევოდი; ჰაითკენ წევსულიყავ აღარ ვიცოდი, **მარა** (მაგრამ) ახლა დავბერდი; ფეხი ვერ გევთბე, **მარა** (მაგრამ) არვის არ ვებნევი მომემსახურეთ-მეთქი; იარაღებით მევემზადეთ, **მარა** (მაგრამ) არ დარჩა საჭირო; ქალაქში არიან წაბარგული, **ამა** (მაგრამ) ახლა რომ ვირუსებია დაჭორტეს პროდუქტი და ყველამ გამეიქცენ აქით; ცურვა ვიცოდი, **ამა** (მაგრამ) ლიჟები არ მივარგოდა.

„**რომ**“ კავშირს ენაცვლება „**რომე**“ და ეს შემთხვევაც საკმაოდ ხშირია. მაგ.: იმდენი ინახსეს ბაღნებმა, **რომე** (რომ) ლელევინი გახდენ; თოვლში ჩავფლევდით, **რომე** (რომ) არ გახმეს ფიჩხმაო; ხატიჯემ უთხრა, **რომე** (რომ) მე ის გოგო აღარ მყავს, მოკდაო; იმიტომ მუატყვილა, **რომე** (რომ) ლამაზი იყო; ნენემ მითხრა, **რომე** (რომ) ამ დღეებში ტყეში ხე ხომარ მოგიჭრიან და მოგიტანიანო.

„**თორემ**“ კავშირის ნაცვლად გვხვდება „**თვარამ/თვარა**“ : ფუტკარი ძნელი მოსამლელია, **თვარა** (თორემ) მე რასძალა მინდოდა გემეშენებია; წვევით სახში, **თვარა** (თორემ) ამ ნაწვიმარზე შენ ცხენსაც გადავადებთ თავდადლო; ბაღვო ნუ მფწკნი, **თვარა** (თორემ) სახში რომ მიგიყვან, შექჭამ; საშვალა და ვერ მოჭრი, **თვარამ** (თორემ) ახლა იმფერი სტანოკებია, სულ ადვილაი ააშენებ სახლ.

საანალიზო ტექსტებში დასტურდება **ნაწილაკის** გამოყენებასთან დაკავშირებული თავისებურებებიც. „**თურმე**“ ნაწილაკის ნაცვლად გვხვდება „**მეგემ/მეგრემ**“ ფორმა. მაგ.: გეიტანა ეზოში **მეგემ** (თურმე) და ქერი დააპნია დედინაცვალმა; წადი საცერი მომიტაი ახლაო, დედაბერმა უთხრა **მეგემ** (თურმე); ბიჭმა ნახა **მეგემ** (თურმე) ეს ტუფლი; **მეგემ** (თურმე) ამ ნენეს ესმის; **მეგემ** (თურმე) ამ დედაბრის ყოფილა ეს სახლი; **მეგემ** (თურმე) მეზოლოლი კიარა, ოქრო დუუმარხია ვინცხას; **მეგემ** (თურმე) ე თლა პაწაი ბადიში გამიეკიდა დიდვანებ; ცხენს რომ მუაჭენებდა, **მეგრემ** (თურმე) ფეხსაცმელი გაძრა; **მეგრემ** (თურმე) დიემალეს უკანა ოდაში.

ჭვანის ხეობის მეტყველებას ახასიათებს „**უნდა**“ ნაწილაკის შერწყმა სახელებთან და ზმნებთან, რაც არა მარტო ხეობის, არამედ ზოგადად, აჭარული დიალექტისათვის დამახასიათებელ საერთო მოვლენას წარმოადგენს. მაგ.: **ნეკერინა** (ნეკერი უნდა) მოგეტება; **თხილამური** (თხილამური უნდა) ქონოდა ილლა; **საქონელი** (საქონელი უნდა) გამუახამო; ბარში **რანა** (რა უნდა) ჩევტანოო იტყვოდენ; **მკაცრათნა** (მკაცრად უნდა) მიექცე; **არნა** (არ უნდა) გეეთხვებია; ისე გაპერლიალებული **არნა** (არ უნდა) იყოს ჩემი სახლი-კარი; **მუნჯივითნა** (მუნჯივით უნდა) ყოფილიყავ; წამლის **ფოთლებინა** (ფოთლები უნდა) მიეკრიფა; ზამთარში სიცივეს ვერ უძლებს, **შეფუთონა** (შეფუთო უნდა); სიმინდის ღერეტები **აჭრანა** (აჭრა უნდა).

„**კილამ**“, „**კილამის**“ ფორმები გვხვდება „**ლამის**“, „**თითქმის**“ ნაწილაკის ნაცვლად. მაგ.: ფეხი **კილამ** (ლამის) წამეკვარ დარესთან; **კილამ** (ლამის) მომჭრეს ფეხი, მარა ღმერთს მადლობა გადავრჩი; **კილამის** (ლამის) გული ამოგვასკდა; **კილამის** (ლამის) მანაც გადაყვა.

ამრიგად, როგორც საანალიზო ტექსტებმა გვიჩვენა, ჭვანის ხეობის მეტყველება საინტერესო სურათს იძლევა მორფოლოგიური თვალსაზრისით. დადასტურდა „**ი**“

ბრუნვის ნიშანი ხმოვანფუძიან სახელებთან სახელობით ბრუნვაში: ხანუმა-ი; შირინა-ი; ანა-ი; ბაბო-ი; ყველა-ი; პაწა-ი; ლამბა-ი.

ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც პირდაპირ და ირიბ დამატებებს დაკარგული აქვთ მიცემითი ბრუნვის „ს“ ნიშანი: წამალ (წამალ-ს); კოცონ (კოცონ-ს); კარტ (კარტ-ს); მუხლებ (მუხლებ); სახლ (სახლ-ს; ბაჯანალ (ბაჯანალ-ს).

ნათესაობითი ბრუნვის ფორმებში ხშირად იკარგება ბრუნვის ნიშნის თანხმობითი ნაწილი : ოდ-ი (ოდ-ის) კარებს; წიფლ-ი (წიფლ-ის) ქერეჭი; ყავრ-ი (ყავრ-ის) მუხი; ღელ-ი (ღელ-ის) პირზე ; ყავრ-ი (ყავრ-ის) თავზე; ყურ-ი (ყურ-ის) ძირში; თოფ-ი (თოფ-ის) სროლაში.

დასტურდება შემთხვევები, როდესაც მოქმედებით ბრუნვაში „ა“ ხმოვანფუძიანი სახელები არ იკვეცებიან და „თი“ ბრუნვის ნიშნის ნაცვლად წარმოდგენილი არიან „ით“ ნიშნით: ლაფერა-ით (ლაფერა-თი); რანდა-ით (რანდა-თი).

როგორც საანალიზო მასალამ გვიჩვენა, ად/დ ნიშნის ნაცვლად ვითარებით ბრუნვაში დადასტურებულია ათ/თ ფორმა: დაჩაგრულ-ათ (დაჩაგრულ-ად); იოლ-ათ (იოლ-ად); ლამაზ-ათ (ლამაზ-ად); კარგ-ათ (კარგ-ად).

ხშირად სახელი მოქმედებითი ბრუნვის ნაცვლად წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვის ფორმით: ადვილაი (ადვილად); ტყვილაი (ტყუილად); ძნელაი (ძნელად).

დასტურდება საკუთარ და საზოგადო სახელებთან „ვ/ო“ ბრუნვის ნიშანი წოდებით ბრუნვაში : რეჯებო (რეჯებ); რემზო (რემზი); მევლუდავ (მევლუდ); მუხამედავ (მუხამედ); ჯემალავ (ჯემალ) ; დედიკოვ (დედიკო).

ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც „ე“ ხმოვანფუძიან სახელებთან ებ-იან მრავლობითში ორი „ე“ იყრის ერთად თავს. შემდეგ დისიმილაციის შედეგად მიღებულია „იე“ ფორმა: კილტიები (კლიტეები); კიბიები (კიბეები); დღიებს (დღეებს); დარიებში (დარეებში). მსგავსი ფორმების ანალოგიით არის მიღებული ფორმები: სერიებზე (სერებზე); მთიებში (მთებში).

რაც შეეხება ზედსართავ სახელს, აქაურთა მეტყველებაში „ძალიან“ ფორმის ნაცვლად დასტურდება „ზოვლი“ ფორმა.

„ასეთი“ და „ისეთი“ ფორმების ნაცვლად გვხვდება „ამფერი“ და „იმფერი“ ფორმები.

„უფროს“ ნაცვლად გვხვდება „უმფო“ და „იმფო“ ფორმები.

თავისებურია ნაცვალსახელის წარმოებაც. „ეს“ და „ის“ ნაცვალსახელების ნაცვლად დასტურდება „ე“ და „ი“ ფორმები.

„მაგი“ ნაცვალსახელის ნაცვლად გვხვდება „მაი“: შენხელა ჭადს ჭამს მაი (მაგი) ფალავანი; შენი იყოს მაი (მაგი) ყართოფაიც.

„ამას“ და „იმას“ ხშირად ენაცვლება „ამა“ და „იმა“ ფორმები.

„ვინცხა“ და „რაცხა“ ფორმები დასტურდება „ვილაცა“, „რალაცა“ ფორმების და „ვინ“ და „რა“ მიმართებით ნაცვალსახელების ნაცვლად.

„ამდენი“ და „იმდენი“ ფორმებს ენაცვლება „ამდონი“, „იმდონი“.

საანალიზო ტექსტებმა გვიჩვენა არაერთი საინტერესო თავისებურება, რომელიც უკავშირდება ზმნას. ხშირად „ჰ-“ პრეფიქსის გარეშე გვხვდება III ირიბ ობიექტური პირის ფორმები : ქონდა (ჰქონდა); კითხო (ჰკითხო); გონია (ჰგონია).

სისტემურად არის გავრცელებული „-ენ“ სუფიქსი „-ნენ“ სუფიქსის ნაცვლად III სუბიექტური პირის ფორმებთან: მზიდევდენ (მზიდავდნენ); დაკიდევდენ (დაკიდავდნენ); გაახმობდენ (გაახმობდნენ); შეინახავდენ (შეინახავდნენ).

გარდაუვალ ზმნაში მესამე პირის მრავლობითი რიცხვის „ენ-ნ“ სუფიქსებით არის წარმოდგენილი: მუუნდენ (მოუნდათ); ეყოლენ (ეყოლათ); ეგონენ (ეგონათ); გაუტყვევებინ (გაუტყვევებიათ); გამყოფონ (გამყოფოთ).

„ავ“ და „ამ“ თემისნიშნის ნაცვლად ზმნებში გავრცელებულია „ევ“ და „ემ“-იანი ფორმები: დავხაზევდი (დავხაზავდი); მოვკონევდი (მოვკონავდი); ჩავფლევდით (ჩავფლავდით); დიგვისხემდა (დაგვისხამდა); აასხემდენ (აასხამდნენ).

„ებ“ თემისნიშნის ნაცვლად „ევ“ გვაქვს მაგალითებში: დაკიდევდა (დაკიდავდა); დაკიდევდენ (დაკიდავდნენ).

„ავ“ და „ამ“ თემისნიშნისანი ზმნები პირველ თურმეობითში წარმოდგენილია „ია“ დაბოლოებით: **დუურტყია** (დაურტყამს); **დუუმალაია** (დაუმალავს).

ხეობის მეტყველებაში უთემისნიშნო ზმნები თემისნიშნისანი ფორმით დასტურდება: **შევატეხევი** (შევატეხდი); **ავჩეხავდით** (ავჩეხდით); **ჩაკბეჩავდა** (ჩაკბეჩდა).

„შე“ და „შემო“ ზმნისწინის ნაცვლად გავრცელებულია „შა“ და „შამო“ ფორმები: **შაატანიებდენ** (შეატანინებდნენ); **შამოვდა** (შემოვიდა).

ზმნიზედას რაც შეეხება, მიცემითი ბრუნვის თანდებულისანი ფორმები ხშირად უთანდებულოდ გვხვდება: **ბათუმ** (ბათუმში); **ნაღვარევ** (ნაღვარევში).

„აგზე“, „იგზე“, „აქში“ და „იქში“ ფორმებია გავრცელებული „აქ“ და „იქ“ ზმნიზედების ნაცვლად.

„მერეს“ ნაცვლად სისტემურად არის გავრცელებული „მემრე“ : **მემრე** (მერე) ვათვარიელე და ველარ დევნახე.

აქაურთა მეტყველებაში დადასტურდა შემდეგი სპეციფიკური ფორმები: **მაშინათველაი**; **ფეშინათველაი**; **ხანჯელ**; **უსულით** და სხვა.

ხეობის მეტყველებაში გამოვლინდა თანდებულთან დაკავშირებული თავისებურებებიც. „გამო“ თანდებულის ნაცვლად დასტურდება „მგონე“ და „გულობაი“ ფორმები: უწყლობი **მგონე** (გამო); ამი **გულობაი** (გამო).

გვხვდება „თვინ“ ფორმა „თვის“ თანდებულის ნაცვლად: **პალატისთვინ** (პალატისთვის); **ერიშტისთვინ** (ერიშტისთვის); **ქორწილისთვინ** (ქორწილისთვის).

„მდე“ თანდებულს ენაცვლება „მდი“: **გათენებამდი** (გათენებამდე) ვთამაშობდი.

გავრცელებულია „დან“ თანდებულისანი მოქმედებითის გამოყენება „გან“ თანდებულისანი ნათესაობითის ნაცვლად; **ხიდან** (ხისგან) გაკეთებული მგვალი სუფრა გვექონდა; **წურუხიდან** (წურუხისგან).

კავშირი ჭვანის ხეობის მეტყველებაში განსაკუთრებული სპეციფიკურობით არ ხასიათდება. „მაგრამ“ კავშირს ენაცვლება „მარა“ და „ამა“ ფორმები.

„რომ“ ფორმას ენაცვლება „რომე“ : თოვლში ჩავფლევდით, რომე (რომ) არ გახმეს ფიჩხმაო.

„თვარამ/თვარა“ დასტურდება „თორემ“ კავშირის ნაცვლად: ბაღვო ნუ მფწკნი, თვარა (თორემ) სახში რომ მიგიყვან, შექჭამ; საშვაოა და ვერ მოჭრი, თვარამ (თორემ) ახლა იმფერი სტანოკებია, სულ ადვილაი ააშენებ სახლ.

„თურმეს“ ნაცვლად გვხვდება „მეგემ/მეგრემ“ : მეგემ (თურმე) ე თლა პაწაი ბადიში გამიეკიდა დიდვანებს; მეგრემ (თურმე) ფეხსაცმელი გაძრა.

სისტემური ხასიათი აქვს „უნდა“ ნაწილაკის შერწყმას სახელებთან და ზმნებთან: წამლის ფოთლებინა (ფოთლები უნდა) მიეკრიფა; შეფუთონა (შეფუთო უნდა); სიმინდის ღერეტები აჭრანა (აჭრა უნდა).

დასტურდება „თითქმის“, „ლამის“ ნაწილაკის ნაცვლად „კილამ“, „კილამის“ ფორმები: ფეხი კილამ (ლამის) წამეკვარ დარესთან; კილამის (ლამის) გული ამოგვასკდა.

III თავი

ჭვანის ხეობის მეტყველების სინტაქსური თავისებურებანი

ჭვანის ხეობის მეტყველებაში თავს იჩენენ სინტაქსური თავისებურებებიც. განსაკუთრებით საინტერესოა მსაზღვრელის და საზღვრულის ურთიერთობის შემთხვევები. კერძოდ, აქაურთა მეტყველებაში მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა ძირითად პრეპოზიციურია :

მემრე იწყობოდა სიხლეთი საქმე; ლამაზი ფუსკულები ქონდა შებმული; არ ვიცი ნადური სიმღერები; ჩალუმიანი კაცი ჩათინ საქმესაც იოლათ გააკეთებს; ზეთუნახავი გოგო დეისვა გვერდით; დიდი მეზოლოლი იყო ჩამოსხმული გზის გვერდზე; მთვარიანი ღამე იყო.

საანალიზო ტექსტებში იშვიათად, თუმცა დასტურდება მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციური წყობის შემთხვევებიც : დახდა ცხენი მოკაზმული; დავანახე ხორცი ჩაყავრუმებული.

მსაზღვრელს, რომელიც I ან II პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელით არის წარმოდენილი, მიცემით ბრუნვაში მოკვეცილი აქვს ბრუნვის „ს“ ნიშანი : ჩემ კაცს (ჩემს კაცს) ვებნევი; ჩემ ცხენს (ჩემს ცხენს) გეყვან, დავაბამ და მემრე შენსასაც გაგაყვანიებო; ამ ბიჭს ჩემ გოგოს (ჩემს გოგოს) მივათხვებ; რამდენს ვნახსობდით ჩემ ეზოში (ჩემს ეზოში) ბაღნები; ჩემ სიცოცხლეში (ჩემს სიცოცხლეში) არ მოვშლი აქავრობას; ნეტაი ჩამახედა შენ თავში (შენს თავში); ჩამოი და შენ მტერს (შენს მტერს) გუუსტორდი.

როდესაც წარმოდგენილია სუბსტანტიური მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა, ასეთ მაგალითებში მსაზღვრელს ხშირად მოკვეცილი აქვს ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმომვითი „ს“ ნაწილი: შეინახავდენ საქონლი საჭმელათ (საქონლის საჭმელად); გაზაფხული პირი (გაზაფხულის პირი) რომ მოვდოდა, იმდენი ხნის ნაბამ საქონელს გამუუშვებდით; პური ფქვილს (პურის

ფქვილს) ვერ ვყიდულობდით; იელი ყვავილს (იელის ყვავილს) რომ ჭამენ, იქიდანა თაფლი მაწყენარი; რამითჯელ ღელი პირზე (ღელის პირზე) საბძლები, სკლატები, წისქვილები წეილო სელგარმა; ყანი ნაპირში (ყანის ნაპირში) დააჟდუნვეს ჩოხაზე და უთხრეს, აქედან არ გიექანოო; ჩემმა ქირვიშვილმა (ქირვის შვილმა) მაჩუქა კაი ლეკის ლიყები.

სალიტერატურო ენისაგან განსხვავებით, როდესაც მსაზღვრელად გვხვდება რიცხვითი სახელი, საზღვრულთან და შემასმენელთან რიცხვში შეწყობის რამდენიმე შემთხვევას გვიჩვენებს:

I. მსაზღვრელი რიცხვითი სახელია, საზღვრული მხოლოდით რიცხვშია, შემასმენელი კი მრავლობით რიცხვში დგას: თუთხმეტი კაცი შეგროვილიყვენ (შეგროვილიყო), მარა სახში შესლას ვერცეთი ვერ ბედავდენ (ბედავდა).

II. მსაზღვრელი რიცხვითი სახელია, საზღვრულიც და შემასმენელიც მრავლობით რიცხვშია: იმფერი ღორი იყო, სამი თუ ოთხი მილინციელები ცავდენ (მილიციელი ცავდა) და ისინიც მუატყვილა.

III. მსაზღვრელი რიცხვითი სახელია, საზღვრული მრავლობით რიცხვში დგას, შემასმენელი კი მხოლოდით რიცხვშია წარმოდგენილი : მეორე ოთახში ბევრი ნამცხვრები (ნამცხვარი) იყო.

ქვემდებარე, რომელიც წინადადებაში წარმოდგენილია ერთზე მეტი სიმრავლის გამომხატველი სახელით, შემასმენელს ითანხმებს მხოლოდით რიცხვში, თუმცა ჭვანის ხეობის მეტყველებაში ეს წესი დარღვეულია და შემასმენელი მრავლობით რიცხვში დგას: გამოვდენ (გამოვიდა) ხალხი გარეთ; რა იციან (იცის) ხალხმა ვინ არის; მემრე თქვეს (თქვა) ხალხმა, ახლა დევპანტოთო; ყაბალახს მოცეკვავე ხალხი ენჩული იხურვენ (იხურავს) ახლაც; დეიჭუჭკებოდენ (დეიჭუჭკებოდა) ხალხი ვახშობიხან; გამეიქვენ (გამოიქცა) ხალხი სოფელში; ყველაი ამას უყურებდენ (უყურებდა); ყველაი სოფელში გამეიქცევიაო (გამოიქცევაო); შეწუხდენ (შეწუხდა) ყველაი და დაინტერესდენ (დაინტერესდა).

აქაურთა მეტყველებაში შემასმენელი მრავლობით რიცხვშია მაშინაც, როდესაც ქვემდებარედ წარმოდგენილია ორცნებიანი კომპოზიტი, რომლის მნიშვნელობაც

შემადგენელ ფუძეთა ჯამს უდრის: ერთ სოფელში გაჭირვებული ცოლ-ქმარი ცხოვრობდნენ (ცხოვრობდა).

საანალიზო ტექსტში ფიქსირდება მაგალითი, როდესაც მრავლობითში მდგარ ქვემდებარესთან შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი მხოლოდით რიცხვშია შეთანხმებული, რაც ეწინააღმდეგება სალიტერატურო ქართულის ნორმებს: ახლანდელი ბაღნები სხვანაირი (სხვანაირები) არიან.

გვხვდება შემთხვევები, როდესაც სუბიექტი გარდაუვალ ზმნებთან II სერიაში სახელობითი ბრუნვის ნაცვლად მოთხრობით ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი:

შევდა რეემეთლი ბაბომ (ბაბო) ახორში; ალაპარაკდა ხალხმა (ხალხი); პაწახანში ერთმა გუდიანმა ნენემ (ერთი გუდიანი ნენე) მოვდა ვაშლი ძირში; ამასობაში დედაბერმა (დედაბერი) შეახტა ფეხზე; ამ ბაღვმა (ეს ბაღვი) გუდიდან რომ გამოძრა და გეიქვა, რაცხა სახლი შეხტა და იმ სახში შევდა დასამალათ; ბაღანამ (ბაღანა) რომ დარწმუნდა კტარია დედაბერიო, ჩამოძრა ჭერიდან; დანარჩენმა ქალებმა (დანარჩენი ქალები) გამოგვეკიდნენ.

ამდენად, საანალიზო ტექსტში ჭვანის ხეობისთვის დამახასიათებელი არაერთი სინტაქსური თავისებურება გამოვლინდა. ძირითადად დადასტურდა მსაზღვრელ-საზღვრულთა პრეპოზიციური წყობა: სიხლეთი საქმე; ლამაზი ფუსკულები ; ნადური სიმღერები.

გამოვლინდა მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციური წყობის მაგალითებიც: ცხენი მოკაზმული; ხორცი ჩაყავრუმებული.

I და II პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელით წარმოდგენილი მსაზღვრელი წარმოდგენილია მიცემითი ბრუნვის „ს“ ნიშანის გარეშე: ჩემ სიცოცხლეში (ჩემს სიცოცხლეში); შენ თავში (შენს თავში).

გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც სუბსტანტიურ მსაზღვრელს მოკვეცილი აქვს ნათესაობითი ბრუნვისნიშნისეული „ს“ : გაზაფხული პირი (გაზაფხულის პირი); პური ფქვილს (პურის ფქვილს); დელი პირში (დელის პირში).

რიცხვითი სახელის მსაზღვრელად გამოყენებას რაც შეეხება, აქ მსაზღვრელის საზღვრულთან და შემასმენელთან შეწყობის სამი სახე გვაქვს: მსაზღვრელი რიცხვითი სახელია, საზღვრული მხოლოდით რიცხვშია, შემასმენელი კი მრავლობით რიცხვში დგას; მსაზღვრელი რიცხვითი სახელია, საზღვრულიც და შემასმენელიც მრავლობით რიცხვშია; მსაზღვრელი რიცხვითი სახელია, საზღვრული მრავლობით რიცხვში დგას, შემასმენელი კი მხოლოდით რიცხვშია წარმოდგენილი.

დასტურდება შემთხვევები, როდესაც კრებითი სახელით წარმოდგენილ ქვემდებარესთან შემასმენელი მრავლობით რიცხვში დგას: მემრე **თქვეს** (თქვა) **ხალხმა**, ახლა დევპანტოთო; **ყველაი** ამას **უყურებდენ** (უყურებდა).

საანალიზო ტექსტში ფიქსირდება შემთხვევა, როდესაც შემასმენელი მრავალცნებიანი კომპოზიტით წარმოდგენილ ქვემდებარესთან მრავლობით რიცხვში დგას: **ცოლ-ქმარი ცხოვრობდენ** (ცხოვრობდა).

ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც სუბიექტი დგას მოთხრობით ბრუნვაში გარდაუვალი ზმნის II სერიის ფორმებთან: შევდა რეემეთლი **ბაბომ** (ბაბო) ახორში; ალაპარაკდა **ხალხმა** (ხალხი); პაწახანში **ერთმა გუდიანმა ნენემ** (ერთი გუდიანი ნენე) მოვდა ვაშლი ძირში.

IV თავი

ჭვანის ხეობის მეტყველების ლექსიკური თავისებურებანი

ჭვანის ხეობის მეტყველება განსაკუთრებით საინტერესო და სახასიათოა ლექსიკის კუთხი. საკვლევ მასალაში გამოიყო არქაული ფორმები, ზანური ელემენტები, საკუთრივ ლექსიკური დიალექტიზმები, უცხო ენიდან შემოსული ლექსიკური ერთეულები, ხატოვანი სიტყვა-თქმები და ანდაზები.

არქაული ფორმები

აჭარული კილოს ლექსიკურ ფონდში ერთ-ერთ თვალსაჩინო ფენას წარმოადგენს ძველი ქართულის ლექსიკა. აჭარულმა შემოინახა ბევრი არქაული სიტყვა იმ მნიშვნელობით, რაც მათ ძველ ქართულში ჰქონდათ და სიტყვები, რომლებიც თანამედროვე ქართულსა და სხვა დიალექტებში ან სულ არ გვხვდება, ანდა რამდენადმე განსხვავებული სემანტიკა აქვს [ნიჟარაძე, 1971: 32-33].

ჭვანის ხეობის მეტყველების ნიმუშებში დადასტურებული ლექსიკური ერთეულები შევადარეთ სულხან-საბა ორბელიანის, ი. აბულაძის და შ. ნიჟარაძის სალექსიკონო მასალებს, რამაც მოგვცა შემდეგი სურათი:

ალაფი - პირუტყვის საკვები : ზოგჯელ **ალაფი** არ გვითავდებოდა და გვეშინოდა საქონელი შიერი არ დაგვჩესო. შდრ.: სულხან-საბა: საფენელი და ჭურჭელი. ი. აბულაძის ლექსიკონის მიხედვი „ალაფი“ იგივეა, რაც ნატყუნავი, ნაძარცვი, ნადავლი. ალ. ლლონტის ლექსიკონში ფშაურში „ალაფი“ მეფქვილეს აღსანიშნავად გამოიყენება.

ალიგი - ადგილი: ჩვენც ზუსტათ მუუყევით გარეგნობა იმ დედესი და მეზოლოდის **ალიგიც**. შდრ.: ალ. ლლონტი: ადგილმდებარეობა. სულხან-საბა: დასადგომი ანუ დასადებელი. შდრ.: ი. აბულაძე: ბილიკი, გზა, კვალი.

ბაგა - ფიცრით მოჭედილი ადგილი ბოსელში, სადაც პირუტყვის საკვები იყრება: მირში გაჩეჩებული თუ რაცხა ქონდენ, იმას უუკრეფდი ძროხებს, ჩუყურიდი **ბაგაში** და წამოვდოდი სახში. შდრ.: შ. ნიჟარაძე: ახორის ნაწილი; დაბმული საქონლისთვის საკვების ჩასაყრელი. სულხან-საბა: პირუტყვთა საზრდელთა დასადებელი ადგილი; ბადე ეწოდების სახლსა შინა მოდაბლო სარკმელთა; ბაგად ითქმის ახალი ვენახი. ი. აბულაძის მიხედვით „ბაგა“ აღნიშნავს ბოსელს ან გომს.

ბადიაი - ჩაღრმავებული, დიდი: დიდი ბადიაი ფახირის საინი. შდრ.: სულხან-საბა: დიდი ჯამი.

ბერწი - უშვილო ძროხა: ბერწი ძროხ დამჩა და არ იწველებოდა. შდრ.: სულხან-საბა: არამშობელი. შდრ.: ი. აბულაძე: ბერწი- უშვილო.

ბეჩი - სულელი, უჭკუო, შეიძლება იყოს გიჟი: ვინმეც არ **გაბეჩტეს**, ჰაიდან დეისტავლა ამ ნენემ ეს ამბავიო. შდრ.: სულხან-საბა: გაშტერებული. ალ. ლლონტი: ლენჩი, მოსულელი. შ. ნიჟარაძე: სულელი, უჭკუო, შტერი, გამოუცდელი.

გამყლავნება - ამბის გამხელა, საიდუმლოს გათქმა: შვა დღე რომ გადაცილდა, ზოვლი წყალი მოწყურდა ამ ბაღვს, მარა ვერ **გუუმყლავნა**, რახან ნათქვამი ქონდა წიმცივით და არ ვიწუწუნებო. შდრ.: სულხან-საბა: გამხილება.

დაპოქსვა - დაბინძურება, დაჭუჭყიანება: ტყეში წვედით სოკოზე და ტალახი იყო, დევპოქსეთ თლათ, რამეც ვერ ვნახეთ. შდრ.: შ. ნიჟარაძე: დაჭუჭყიანება. ალ. ლლონტი:

პოქსი - (გურ.) ობი; (ზ. აჭარ.) ჭუჭყი, წვირო, მწიკული. სულხან-საბა: **პოქსი**- ობი.

კაპანი - სახიფათო ქვა-ღორღიანი ხრამი: გიდელაში რომ ჩევედით, მემედამ მითხრა, ჭო აქ ზოვლი უშნო **კაპანია**, აგზე მეიცაი, ჩემ ცხენს გევეყან დავაბამ და მემრე შენსასაც გაგაყვანიებო. შდრ.: სულხან-საბა: ქვა ღორღი. ალ. ლლონტი: (მესხ.) კლდოვან-ღორღიანი ნიადაგი, ქარაფი; კლდოვანი გზა. ი. აბულაძესთან „კაპანი“ აღნიშნავს ვიწრო ადგილს ან გზას.

კარაპანი - სახლის წინ მიდგმული სასაწყობე ფართი: აქ წინ **კარაპანი** მქონდა მიდგმული და მანქანის გზა რომ გამუარუნის მუუშალა და დავანგრიე. შდრ.: სულხან-საბა: არდგმულ, არდგმული სახლი. შ. ნიჟარაძე: სახლის წინამო, რომელიც გადახურულია და ასრულებს „სარაიას“ დანიშნულებას.

კურცხალი - ცრემლი: ემეტირა და კურცხლები მომდიოდა, ბაბუს რომ ვუსმენდი.
შდრ.: ალ. ღლონტი: 1. (მესხ.) ახლად გათიბული ყანა, ნაწვერალი. 2. (გურ.) ცრემლი.
სულხან-საბა: კრცხალი. ნაწველარი.

კლიტე - გასაღები: კისერში კილტიები ქონდა შემზული. შდრ.: ი. აბულაძე: საკეტი,
ბოქლომი. სულხან-საბა: არს გასაღებელი, ხოლო მოქლონი დასაკეტელი კართა.

კისერი - კეფა: საღამოს ამ კოროჭელმა გლებმა მის ბიჭს თოკი მუაბა კისერზე და
რაგვთაში ვინცხას რომ ბიჭი მუუკლა, იმ კაცთან მიიყვანა. შდრ.: სულხან-საბა: ქედი
და ყელი. ი. აბულაძე: ყელი.

ლაფერა/ი - ხის ბრტყელი და გრძელი კოვზი: თელი დღე ეზოში სილაში ნაგორვები
შეფჩიტებოდით სახში და ანაი გამეგვეკიდებოდა ლაფერაით, მარა ეპკედი არ
დაგვარტყემდა. შდრ.: შ. ნიჟარაძე: პატარა, ხის ბრტყელი ნიჩაბი, რომელსაც იყენებენ
კარაქის ასაღებად. სულხან-საბა: ბრტყელი კოვზი, საჭმლის გასაყოფი.

ლარტყა - მრგვალი, გათლილი ხე, რომელიც გამოიყენება ღობისთვის ან სახლის
სახურავისთვის: ახლა გამოსული მოვდა ბაღნებ ჰაზირი აქვან ღობისთვის ლარტყები,
დირეგები, სარები. შდრ.: შ. ნიჟარაძე: თხლად დათლილი ან სიგრძივ გაპობილი ხე.
სულხან-საბა: ბრტყელი ლატანი.

ლეშხი - ტყის უხეში ბალახი, გამოიყენებოდა პირუტყვის საკვებად: ზაფხულში
ტყეში წევდოდით, ლეშხს, რაცხა ამფერს მოვჭრიდით და მევტანდით. ღობეზე
დაკიდევდენ თელახარშილას, გაახმობდენ და შეინახავდენ საქონლი საჭმელათ.
შდრ.: შ. ნიჟარაძე: მცენარეულის ძალამიცემული ნორჩი ტოტი, შტო, ფოთოლი.
სულხან-საბა: ჟვავი, წვიმაში ნახე.

ნეკერი - ნორჩი ხის ტოტი, რომელსაც ახლად გაღვივებული კვირტები აქვს,
გამოიყენება პირუტყვის საკვებად: ნეკერინა მოგეტება, მოკონევდი და ზამთარში იმას
აქმევდი საქონელს. შდრ.: ნიჟარაძე: ნორჩო შტო, ყლორტი ხისა. სულხან-საბა: ხის
კუკური, ზამთარ წარმოჩენილი.

ნაფოტი - შეშის ძალიან პატარა ნატეხი: მუხამედას თავიდან გუუჭირდა, მარა მაინც
წამოწია ქოხი და ნიშნათ ხის პაწაი ნაფოტი შამუუდვა ქოხს ქვეშედან. შდრ.: სულხან-
საბა: ხეთ ანახეთქი, ანათალი.

ნამსხმანი - ადამიანის სხეული, ორგანიზმი: ვყვიროდით, მარა არსაიდან არ ისმოდა მისი ხმა. შიშისგან **ნამსხმანი** მეწვოდა. შდრ.: ნიჟ: ადამიანის სხეული, ტანი. შდრ.: ი. აბულაძე: იოგი.

ნარცხი - ნახარში, რომელიც შედგება ძირითადად ხილის ან ბოსტნეულის ნარჩენებისგან, შეიძლება ქატოს ან ღერდილის ნახარშიც იყოს, კვებავენ პირუტყვს: **ნარცხს** ვაგროვებდით და ვუხარშავდით, რომე არ გამშრალიყვენ ძროხები. შდრ.: შ. ნიჟარაძე: ხილის, ბოსტნეულის ნარჩენების, ან მორჩვის ნახარში, რომელიც პირუტყვის საუკეთესო საკვებად ითვლება, განსაკუთრებით მეწველ საქონელს ამღევენ. შდრ.: ალ. ლლონტი: (ქიზიყ.) შთამომავალი; (ხევსურ., თუშ) ჭურჭლის ყოველგვარი მონარეცხი. სულხან-საბა: ნარეცხი.

ნაფუზარი - ნაფუძარი, ნაკვეთი: ბევრი **ნაფუზარიც** წეილო და წალეკა ღვარმა. ღმერთს მადლობა, ხალხი არ მოყოლია როისმე. შდრ.: სულხან-საბა: ნაფუძარი, ნასახლარი.

ნალია - ბელელი: **ნალიაში** ავძვერ და დევმალე სიმინდებში, იქ ვიყავ თელი ღამე. შდრ.: ალ. ლლონტი: (გურ., აჭარ., ლეჩხ.) სასიმინდე. სულხან-საბა: საღომე სახლი, ფაცხა.

ჟვერი - ფოთოლი. ძირითადად ხის ფოთოლს ნიშნავს, თუმცა შესაძლოა ბალახეულიც იგულისხმებოდეს: **ჟვერს** წამეველებდი, რაცხა გაჩიჩტებოდა ძირში, ავწევდი, არ გავაიოლებდი და მუყურიდი თავს საბძელში. შდრ.: ალ. ლლონტი: (გურ., ქვ. იმერ.) ცუდი ბალახი ერთად სქლად ამოსული, ფოთლოვანი ბუჩქნარი; (აჭარ.) მცენარის ფოთოლი საზოგადოდ. (ლეჩხ.) ბრგე, დიდი, ახოვანი. სულხან-საბა: ჟუერი.

ფიჩხი - ხის წვრილი ტოტი, რომელსაც აგროვებდნენ და პირუტყვს კვებავდნენ: წევდოდით, **ფიჩხს** მევტანდით, თოვლში ჩავფლევდით, რომ არ გახმეს ფიჩხმაო. შდრ.: სულხან-საბა: შტოედი შეშა.

ფათერი - მკითხავი, მარჩიელი: იმ ფათირს უთქვამს დაკოჭილიაო. შდრ.: ნიჟარაძე: მარჩიელი, მკითხავი, მისანი. სულხან-საბა: ბაბლი.

ქეჩხო - ცხვრის ტყავისგან დამზადებული უხელებო მოსასხამი, რომელიც საწვიმარის ფუნქციას ასრულებდა: თუ გაწვიმდებოდა, **ქეჩხოებს** წამევეხურავდით და

დევეპანტოდით სახლებში. შდრ.: ალ. ღლონტი: (გურ.) უბრალო ტყავის პარკი, ჩანთა ზურგზე მოსაკიდი ან მხარზე გადასაკიდი, რომელშიც საგზაოს ინახავდნენ. შ. ნიჟარაძე: (აჭარ.) ცხენის ან თხის ტყავი. შდრ.: სულხან-საბა: მოქნილი ცხვრის ტყავის ბეწვიანი.

ქერეჭი - გამომცხვარი მჭადის ან პურის ქერქი, გარეკანი: ჭადი ქერეჭი გვენატრებოდა და შივრები ვიყავით. შდრ.: შ. ნიჟარაძე: ქერქი მჭადისა, პურისა, ხისა. სულხან-საბა: ფრთე ბუზთა, მკალთა, პეპელათა და მისთანათა.

ღრუ - დიდი ხვრელი: დედამისი პალკონიდან გადმეგდო, წყალნადენ თოვლის ღრუში ჩიეგდო. შდრ.: სულხან-საბა: ღრუ არს ქვეყანათა შინა შეხვრეტელ სოროს მსგავსი. ი. აბულაძესთან „ღრუ“ ფულუროს აღნიშნავს.

წაკატი - წერაქვი: ერთი იყო წაკატი მოვპარე მამიკოს და ჭალას მივადექ, ვთხრიდი, ოქრონა მენახა ვითამ. შდრ.: შ. ნიჟარაძე: წერაქვი. სულხან-საბა: წალკატი, ორ-წვეროსანი წერაქვი.

ჭინკა - მისტიური არსება, ჯუჯა ავისული: თურმე ბატონიანი ხე მოგვიჭრია და ჭინკაები ყოფილან, ისინი იქნევდენ ქვას. შდრ.: სულხან-საბა: ნერადინი, ქაჯი, ჰაერის მცველი.

ხარდალი - ყურძნის წვენი: მიერეზე კარქათ მეისხამს და სხლიდან ხარდალს გავაკეთებ და გამოგიგზანნი შენც, გაინტერესებდა ზათი რაფერიანო. შდრ.: შ. ნიჟარაძე: ყურძნის დაუდულარი წვენი. ალ. ღლონტი: (გურ.) პატარა ტიჭორა, კუპრიელი, (ქართ., კახ., აჭარ.) მდოგვი. შდრ.: სულხან-საბა: მდოგვი.

ხავიწი - საჭმელი, რომელიც მზადდება მჭადის ფქვილისა და კაიმალისგან, ხავიწს ამზადებენ როგორც საქართველოს აღმოსავლეთ ასევე ქვეყნს დასავლეთ ნაწილში და კერძის ბევრი ვარიაცია არსებობს: ჯერ კაიმალსაადულებ და მერე ჩაყრი ჭადიფქვილს, მოაშუშვებ და გაკეთდება ხავიწი. შდრ.: ალ.ღლონტი: საჭამადი. სულხან-საბა: ფქვილი ერბოთ მგბარი.

ხოშორი - მსხვილი: ამ არჩიხანაში გასაპევდენ ორ ხოშორ, ნედლ სოჭს და გაამწკაპებდენ ქვაბებს. შდრ.: სულხან-საბა: წვრილისა და სხვილის საშუალო.

როგორც მაგალითებმა აჩვენა, ხეობის მეტყველებაში არქაიზაციის კვალი ჯერ კიდევ ცოცხალია და დავიწყებას არ არის მიცემული ძირძველი ქართული ენის ლექსიკური მარაგი.

ზანურის ელემენტები

აჭარულში შეიმჩნევა ზანურის სუბსტრატის კვალი. ეს ბუნებრივიცაა, გურულის მსგავსად, აჭარული შეჭრილია შავი ზღვის სანაპიროზე, სადაც ზანთა უწყვეტი მოსახლეობა იყო. აჭარლებისა და გურულების შეჭრით გათიშულია მეგრული და ჭანური მოსახლეობა [ნიჟარაძე, 1971: 48].

ხეობის მეტყველებაში დადასტურდა შემდეგი ზანიზმები:

ბადიში - შვილიშვილი: **ბადიშებს** წევყვან და წევალ სოფელში. შდრ.: სულხან-საბა: შვილის-შვილი.

ბლორინი - ძლიერი ხმით ტირილი: ლამაზათ დევნახე კაი მოვსილი დათვის ბოკვერი იყო, ამუუწონე თოფი და ვზეპე. ერთი **დეიბლორინა** და გაგორდა. შდრ.: ალ. ლლონტი (გურ., აჭარ.) ბღავილი, ყვირილი.

გოროხი - ძნელად დასამუშავებელი ბელტი, მიწა: **გოროხიან** მიწას ძლივს ვთოხნიდი, ახლა გაადვილდა, ტრაქტორი აკეთებს ყველამფერს. შდრ.: სულხან-საბა: მიწა გასატყორცნი. ალ. ლლონტი: მიწის გამხმარი ბელტი, უბალახო.

კერე-კუჩხე - კუთხე-კუნჭული: ყველა **კერე-კუჩხეში** წყალია მიყვანილი. შ.ნიჟარაძე: **კუჩხე**- ეზო, კარ-მიდამო, კუთხე.

ქუნცხი - ბუჩქი, ეკალ-ბარდი: დიდი ნაძვის ძირში, **ქუნცხებში** შემძრალიყო და ეკლებში ჩავარდნილიყო და ველარ გამოსულა. შდრ.: ალ. ლლონტი: (ლექხ.) ქურდი.

ხოშკაკალა - სეტყვა: ჩურუგაში რომე ბევრხან ყურადები წევდოდა, მემრე უცბაი რომ ავიდარი მეიშლებოდა და გასორატდებოდა, თიებზე **ხოშკაკალი** მოვდოდა, მაშინ იცოდა სელგარმა წამოსლა. შდრ.: ალ. ლლონტი: მსხვილი სეტყვა, ხორხოშელა.

წაკინტლვა - წაჩხუბება: რაცხა **წაკინტლულან** და ზისუნახავს რომ ელანდებოდა, იმ დედაბერმა მოვდა მეგრემ და დუუმახა ზისუნახავს -გამოი და დეენახვე ამასო. შდრ: ნ. ახვლედიანი: ჩხუბი, წაჩხუბება.

ჯირეკი - ხის კუნძი: მე თიდან ჩამუედი, გევედი აქ ლელეში რომე **ჯირეკზე** დახვევლია ფუტკარი. შდრ.: ღლონტი: ჯირეკი, კუნძი, ხის მოზრდილი მორი.

საკუთრივ ლექსიკური დიალექტიზმები

საკუთრივ ლექსიკური ერთეულები ჭვანის ხეობას და ზოგადად, ზემოაჭარულ დიალექტს საკმაოდ მრავლად მოეპოვება:

ბერწიშვილი - 1-2 წლის ფური ხბო: ახორს კიბიები ქონდა და გამუა **ბერწიშვილი** ჩეიხლიბვის იგერიქ, გამუა მეორე წამეიკრავს ფეხს წეიქცევა, თაკარა გაკეთდა ერთმანეთზე. შდრ.: ნიჟ: ერთი წლის გამოზამთრული ხბო.

ბოხრიკი - მოზრდილი ხბო: მემრე მემრე ფერმაში დეეწყეთ მუშაობა, 42 სული **ბოხრიკების** ფერმა იყო. შდრ.: ალ. ღლონტი: მსხვილფეხა საქონელი გამხდარი.

ბაისახანია - ბევრიხანია/დიდიხანია: **ბაისახანია** აღარ ყოფილა ძველებური მხიარულობა, რა დამავიწყებს იმ დღიებს. შდრ.: ნიჟ: **ბარსამხან** - დიდი ხნის განმავლობაში, ხანგრძლივად, დიდხანს.

ბაისამი/ბარსამი - ბევრი: **ბარსამ** ტყეშიც აქვან შემოდგმული სკები. ეიდა ესომ გარბის ჰაცხა ნახულობს ადგილს, იქში შედის. იმა მემრე პატრონობს ვინცხაი. შდრ.: შ. ნიჟარაძე: ბევრი, მრავალი.

ბოლკო - ხის მორის ნაწილი: ხის მორის ნაჭერი: ზეიდან შეშის **ბოლკვები** დიეყარა. შდრ.: ღლონტი: ბორკო- (გურ.) ხის მორის ნაჭერი, რომელზედაც დგამენ ჭურჭლს. ნიჟ: სქელი ფიცრის გადანაჭერი.

გადაზავება - გადაცვენა, გადავარდნა სიმაღლიდან: დარეა შაღბანა ემიას სახლ იქიდან და არ **გადაზავდნ** ბოხრიკებმაო. შდრ.: ნიჟ. გადაცვენა.

გასუსულება - გაჩუმება: **გასუსულდით** ბაღნებო. რაცხას ლაპარიკობენ და გეეგონო. შდრ.: ნიჟ: გაყუჩება, დადუმება, განაბვა.

გაფიათება - ფართოდ გაღება: ე ხორციანი თუჯაი ავწი და სარძიეში კუჩხეში დავმალე. კარებიც **გავაფიათე**, რომ ხორცის სუნი არ ცემოდენ. შდრ.: ნიჟ: გაღება, ღიად დატოვება, ფართოდ გაღება კარის.

გაქუშტვა - გატყავება: პაწახან დავჯექი, მევსვენე და მემრე **გავქუშტე** კარგათ, რაცხა ბილი ხორცები ქონდა ავაჭარ. შდრ.: ნიჟ: გაქიშტვა- 1. კანის აცლა, ხის კანის გამრობა; 2. გაყვლეფა, წაგლეჯა, გამვალტყავება.

გამოსხრიკება - დადევნება, გაკიდება: მეგემ ე თლა პაწაი ბადიშიც **გამიესხრიკა** დიდვანებს. შდრ.: ალ. ლლონტი: გამოდევნება. ნიჟ: დევნება, დევნით გაყოლება.

გაწარბული გზა - ვიწრო, საფეხმავლო გზა: პაწაი **გაწარბული გზა** იყო, კაცი კაცს ძლივს შუუცილდებოდა. შდრ.: ალ. ლლონტთან და შ. ნიჟარამესთან გვხვდება **გაწარბვა** - გაკვალვა, ხაზის გაყვანა თოხით, წალდით, სადაც უნდა გავიდეს გზა, რუ და მისთ. აქედან: **გაწარბული** გაკვალული.

დაბესება - ნიძლავის დადება: **დემებესე**, ვინცხაი წააგებს, იმას მუუწევს თივის ამოტანა. შდრ. ნიჟ: დანაძლევება.

დაჭორტვა - მარაგის კარგად გავსება: ახლა რომ ვირუსებია, **დაჭორტეს** პროდუქტი და ყველამ გამეიქცენ აქით.

დაშხლეკილი - შიშველი : ისე მეც არ მომწონს რასძალა, **დაშხლეკილი** რომ დადიან ციციები მარა თქმას აზრი არ აქ.

დაკონწლილი - დახუნძლული, კარგად მსხმოიარე: შეიხედა რომ რას ხედავს, **დაკონწლილია** დიდვანი ვაშლები. იფიქრა, რომე სანამ ანაი დიმინახავს, ევალ და მოვწყვეტ ამ ვაშლსაცო. შდრ.: ნიჟ: იგივეა, რაც დაზეწნილი. დაზეწნილი - დახუნძლული, ბლომად მსხმოიარე.

დაბიქვა - კარის დაკეტვა რაიეს მიბჯენით: ესენი შევყარეთ ოდაში, ადემთან და **დუუბიქვით** კარები. შდრ.: შ. ნიჟარამე: „ბიქვის“ მიბჯენით კარის გადაკეტვა, გადარაზვა.

დახელვა - შეშინება: ერთი დღეა და რამიზაი მიძახის მევლუდავ გამეიქე ჩქარაო.
დევხელე რა იქნა მეთქი, წამევეცი კალოში და გევეცი. შდრ.: ალ. ლლონტი: (ფშ.)
პოვნა. ნიჟ: დაფრთხოზა, დაფეთეზა.

დაგნებული - მშვიდი, დალაგებული: დაგნებული შეიძლება იყოს ადამიანი ან
ამინდი: ზოვლი ჭკვიანი და **დაგნებული** კაცია. შდრ.: ნიჟარაძე: 1. საფქვადად
მომართული; 2. გად. დალაგებული, მწყობრი, დაწყობილი ლაპარაკი, გონებამახვილი
საუბარი.

დაჟღვერთეზა - ადამიანის ან ნებისმიერი სხვა სულიერისა თუ უსულო საგნის ძირს
დაცემა უცაბედად ან სხვისი ძალის გამოყენებით: შაატანა ხელი და ერწამალაი
დააჟღვერთა ძირში ფალავანი ოსმანამ. შდრ.: ნიჟ: დაჟღვერტეზა - დანარცხეზა,
ერთბაშად, მოწყვეტით ძირს დაგდება, დახეთქეზა.

ეიდა - ჰოდა/ხოდა: **ეიდა** ამ გოგომ პური კაკალი, იგინი მიაკალიზა ვითამ მოკრიფა.
შდრ.: ნიჟ: სტყვის მასალა შეწყვეტილი თხრობის გაგრძელებისას.

ერწამალაი - უცებ: მაღაზიებში ავერი არ მოდიოდა. ი ხომ ყველას არ მუუწევდა,
ერწამალაი დეილევოდა. შდრ.: ნიჟ: ერთწამალაი-ერთ წამს, ერთი წუთით, მყის,
ანაზდად.

თართქალი - ახალი, ნორჩი. უფრო ხშირად მცენარეზე იტყვიან: **თართქალი** ხორცი
იყო და მალე მეიხარშა. შდრ.: შ. ნიჟარაძე: ახალი, ნორჩი ბოსტნეული ხახვი, ნიორი...
ან ბალახეული მცენარე.

კუჭუჭანა - მდგომარეობა, როცა ადამიანს ზურგში შემოისვამ და ისე ატარებ:
დიდვანები მუშაობდენ და მე ზრუგში **მოკუჭუჭანებული** მზიდევდენ.

კობერი - დაფშვნილი სიმინდის ტარო: **კობერს** მოვხარშავთ და იმასაც ვაჭმევთ
საქონელს. შდრ.: შ. ნიჟ.: გაფშვნილი ტარო სიმინდისა.

კვენდლი - თხილის ნორჩი წნელი, რომელიც მარტივად დრეკადია, გამოიენება
ღობეზე სარის მისამაგრებლად: ღობეს **კვენდლით** ღობვენ, მუხს არ ხმარობენ. შდრ.:
შ. ნიჟარაძე: შქერის ნედლი და მოქნილი წნელი, რომელსაც იყენებენ ღობეზე სარის
დასაკრავად.

ლურთხი - ძალიან სველი, გაწუწული: დანარჩენი ბაღნებიც **ლურთხი** გახტენ. შდრ.: ნიჟ: გაწუწული, ტალახში ამოსვრილი.

მოთაღრე - ერთ ქოხში მცხოვრები ორი მემთეური ერთმანეთის მოთაღრეები არიან: ზოგ ქოხში ორი მემთევერეი იყო და ისინი ერთმანეთისთვის **მოთაღრეები** იყვენ. შდრ.: შ. ნიჟარაძე: ყანის მოსაზღვრე.

მეგემ - თურმე: ახლა რომ გორიკულს უძახიან, ზუსტად იმ ადგილზე, ერთი სახლის ყავრი თავზე რომ თხა შუუხტებოდა და ევლოდა, იქიდან ყველა სახლის ყავრი თავს მეთარდა **მეგემ**. შდრ.: შ. ნიჟარაძე: თურმე, მგონია.

მზისაქციელა - მზესუმზირა: **ზისაქციელა** დავთესე და ვერ იხეირა, ჩიტებმა შიმიჭამეს. ნეტაი რაცხა გედემეფარებია ზეიდან. შდრ.: ალ. ლლონტი: მზისუმზირა მცენარეა.

მოყაჟირება - გულის მოჯერება, მობეზრება: კარგათ რომ **მეიყაჟირეს** ჩემი გინება, ავდექ ნელა და შამევეტაი ზოზინით ჩემი თიბილ-თიბილი ხორციანი თუჯაი. შდრ.: ალ. ლლონტი: გულის მოჯერება, გაძლომა. შდრ.: ნიჟარაძე: მობეზრება, მოყირჭება.

ნახსობა - მოუსვენრობა, თამაში: თაზე იმდენ ვნახსობდით, ჭამაც გვავეიწყდებოდა. შდრ.: ნიჟ: ნახსი- ნავსი, თარსი; მოუსვენარი, ანცი, ონავარი.

ნენეი - ბებია: სოფელში **ნენევ** საქმიებს რა გამოლევს, მარა ჯამთელობაც არი. შდრ.: ნიჟარაძე: ბებია, დიდედა. შდრ.: დედა (ქვემო აჭარა), ბებია (ზემოაჭარა).

პლაკე - დიდი ქვა, ლოდი: სახლ ზეიდან მოშპა პლაკე და გული გიგვისკდა, სახლებ შვაში ჩეირბინა. შდრ.: ნიჟ: სალი, ფრიალო (კლდე, ქვა), პიტალო.

რავარცხა - როგორღაც: ჰეფეიჯაზე უგორვია მანქანას, **რავარცხა** ჩასულა ბოლოში და გაჩერებულა. შდრ.: ნიჟ: როგორღაც, რაღაცნაირად.

სარძიე - რძის პროდუქტების შესანახი ოთახი, გაიგივებულია სამზარეულოსთანაც: რაცხა საქმელი გვექონდა, ისიც დიგვიკლიტა **სარძიეში**. შდრ.: შ. ნიჟარაძე: იაილის უკანა მზარეს გამოყოფილი პატარა ოთახი, სადაც ინახავენ რძის პროდუქტებს.

ტურაბეღელა - ბეღელი, ხის ნაგებობა, სადაც სამეურნეო პროდუქტებს ინახავდნენ: ჩემ ბაღნობას **ტურაბეღელი** რასძალა მაღალი იყო და იქ რომ ხილით სავსე დერგი

მეგულვებოდა, ერთს შუუბტებოდი ასული ვიყავ. შდრ.: ნიჟარაძე: ბოძზე შეყენებული პატარა ბეღელი, ამბარი.

უხდური - რძის ნაწარმი: იმფერი მემთევრებიც იყვენ, მეშვამთევრე რომ არ უხაროდენ. **უხდურს** გამოჭამენო და ბარში რანა ჩევტანოო იტყვოდენ. შდრ.: ნიჟარაძე: რძე და რძის პროდუქტები.

ქალაჯო - საჭმელი, რომელიც მჭადისგან და დოსგან მზადდება: შეჭამა ერთი ჩახანაი **ქალაჯო** და გადააშპა წინდა-ქალაზნითაი ჭვანას. შდრ.: შ. ნიჟარაძე: დოს შეჭამანდი.

ქირდათ აღება - დაცინვა, გამასხარავება, აბუჩად აგდება: ნერვები მომეშალა ვინცხაი **ქირდათ მიღებს** მეთქი, სახლ კრუგი დავარტყი, შევგინე და იმ წუთას დიდი მოზდილაი ქვა ჩემ ფეხებთან დიეცა და რასძალა შემეშინდა. შდრ.: ნიჟარაძე: ვისიმე გამასხარავება, აბუჩად აგდება, ქირდვა.

ქამფური -სადურგლო იარაღი, ფიცარზე პირის ამოსაღები ინსტრუმენტი: რანდაი, ქოშტერაი და **ქამფური** თუ არ გქონდა, ისე ვერ შეკერევდი კარ-აკომპას. შდრ.: ნიჟარაძე: სადურგლო იარაღი; ფიცრის კიდების საჭვრეთელი.

შემოცინული - გამთენიო, ალიონი: **შამოცინავდა** თუ არა ახორში წევდოდი, მემრე ყანაში ვისაქმებდი პაწას სანამ ბაღნები გეიღვიძებდენ. შდრ.: შემოცინება-შემოცისკრება, გარიჟრაჟი, განთიადი.

შეშპა -შევარდა, სწრაფად შევიდა: რაფერც იქნა ახალგაზდებმა შეშპენ და გაკოჭეს. გაბორკეს და კანტორაში წეიყვანეს. შდრ.: ნიჟ: შეშპება- შევარდება, შეიჭრება.

ციცაი - გოგო: ამ გოგოს ელჩები მოვდენ და ხატიჯემ უთხრა, რომე მე ის გოგო აღარ მყავს, მოკდაო. იმიტომ მუატყვილა, რომე ლამაზი იყო და მისი **ციცაი** უშნო იყო. შდრ.: აღ. დლონტი: ქალიშვილი, ქალი, გოგონა.

წურუხი - იაღის მორეკვის შემდეგ დარჩენილი წვენი: იმ მემთევრს გუუმარჯოს, რომელცხაი მემთევრიც საშვამთევროთ ამოსულ ბადიშებს **წურუხით** ნაღბიან ჭადს გამუუცხოზს. შდრ.: ნიჟარაძესთან გვხვდება წურუქა-დოს გაწურვის შედეგად მიღებული სითხე.

წყლები - წკეპლა: მეგემ მუხი დიელიენ და ბაბოი მეძებს გამწარებული და ხელში წყლებიც უჭირავს.

წყურება - გაჩუმება: ადრე რომ ბაღვი იტირებდა, საჭმელ აჭმევდენ და გააჩერებდენ. ახლა რავარც იტირებს იმ წუთში ტელეფონს მიცემენ ხელში, ბელქი წაყურდესო. შდრ. ნიჟ: ლაპარაკის შეწყვეტინება ან შეწყვეტა.

წუწუტა - წაწვრილებული ზედაპირი: მერიაყელიდან ერთი საათის სავალი გზა იყო სერა-სერ ფეხით, ეხვიდოდი და წუწუტა სერზე იყო ტბა, შეიდი ტბას უძახიან. შდრ.: შ. ნიჟარაძე: წუწუმეტა- თავწაწვრილებული, თავწამახვილებული რამ.

ხამათ/ხამაი - ისევ, ხელახლა: ისე ემინოდენ, კილდიებში გამოქვაბულების თხრა დეიწყესო, მარა მაინც ამუაწია ზოგან ჭირმა და გაწყდა ხალხი. მემრე ხამათ გაშენებულან. შდრ.: ნიჟარაძე: ხელახლა, ხელმეორედ, კვლავ.

ხუმპალა - გაფუჭებული, ადამიანისთვის საკვებად გამოუსადეგარი სიმინდის ტარო: პაწას ხუმპალას აჭმევ, კობერს მუუხარშავ, ნარცხს მოჭუჭკავ და ასე გაზამთრავ საქონელს. შდრ.: შ. ნიჟარაძე: განუვითარებელი, წვრილმარცვლებიანი ტარო.

ხანჯელ - ზოგჯერ, ხანდახან: ხანჯელ გამახსენდება და მეცინება. შდრ.: ალ. ლლონტი: ზოგჯერ, ხანდახან. შდრ.: ნიჟ: ხან, ხანგზის, ხანდახან, ზოგჯერ.

ჯღურკი - არასასიამოვნო გარეგნობის, პატარა, გამხდარი: ოსმანაი ყოფილა ერთი, პაწაი ჯღურკი კაცი, მისი ცხოვრება უცოლშვილო იყო და მარტვაი ნალიაში ცხოვრობდა.

საანალიზო ტექსტებში გამოიკვეთა ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც არ გვხვდება ალექსანდრე ლლონტის და შუქრი ნიჟარაძის შრომებში:

ავაღმა - აღმართი: ევკიდე ზრუგზე მეშმეშოკი და დევესოქე ავაღმა.

გაწამაწია - არეულობა: რომ გევეთხვე, გაჭირვება იყო, გაწამაწიაი, ბევრი სული იყო სახში. გზითვები რაით მეყიდა, ფარა ჰად იყო.

გაპერდიალებული - გაჩანაგებული, მოუვლელი: ისე გაპერდიალებული არნა იყოს ჩემი სახლი-კარი, მარა უმუცლელობის ბრალია ყველამფერი.

გაფუზულავება - საქმის მიმართ ზედაპირული მიდგომა: წიგნი ჰალად არის და რევილი, მარტო ტელეფონში არიან ჩაციცინებული. სტავლაც იმიტომ **გაფუზულავებულია** სკოლებში.

გაფუცხვა - გახმობა, გამოშრობა: მარტო **გაფუცხვილი** თივა არ ყოფნიან, თივით ვერ გაძლება ძროხა.

გაწუნწკლილი - სველი, გაწუწული: მეორეთ წვედით კიდე საძებნელათ დაღლილი, **გაწუნწკლილი** ხალხი და ბათუმიდან მომავალი მეზობელი გამეიარა და გვეკითხება, მოკტა ვინმეო? ჩვენც ვუთხარით ამბავი.

გაბეგლუგება - გავერანება, მოუვლელობა, დაბინძურება: სოფელი სოფელს აღარ გავდა, **გაბეგლუგებული**, გავერნებული იყო ყველამფერი, ნასოფლარს იყო დამგზავსებული.

გაბექსნვა - კარგად გავსებული : მემმემოკი ზათი მქონდა, **გაბექსნე** იმაში ეს ბილი ხორცი.

გოხცი - მხეცი, მსუნაგი: ამხელა **გოხცობა** რათ უნდა მეთქი გავდედდი, მარა რას მიახტენ, ბაღნები არიან. მეც ვიყავ ბაღვი და ყველგან ვეპოტინებოდი.

დაჭიჭმარიკება - მომარაგება: **დეჭიჭმარიკებ** ღმერთით ერთი თვის სამყოფ პროდუქტს და წევალ.

დაქვიაცება - დაფაცურება: **დაქვიაცდებოდენ** კაცები. წევდოდენ ტყეში, მეიტანდენ პალატისთვინ ხიებს, გადაჭიმევდენ პალატას ლამაზათ.

მოგანვება - ძროხის ძუძუსთან მოწველის წინ ხბოს მიუშვებე, რათა რძე ჩამოიწველოს. ამ პროცესს მოგანვება ჰქვია: მე რომ მომიწევდა მოსაქმება, მარტვანი დავხვეტევდი, დავგვიდი, წყალს ვასმევდი, ხობოსაც **მუაგანვებდი** და მოვწველიდი ძროხას.

მოტლანკვა - საქმლის ბოლომდე ჭამა, თეფშის მოცარიელება: ამ კაცზეც ამბობდენ, დღეში ერთჯელ ჭამდა, მარა ერთ ჩახანა ქალაჯოს **მოტლანკევდა** თლათო.

მახანში - ამასობაში: ერთი გევხედე რომე ამ ცხენს უკანაი ფეხები გუუსლიპინდა და მემედა ემიაი ეკიდება ავშარაზე და ყვირის ღმერთო მიშველეო. **მახანში** ავშარაც გაწყდა და ამ ცხენმაც ბარხლი-ბურხლი წევდა თავდაღმა.

მორანდვა - მსუნაგობა, ყველაფრის გადაჭმა: სუფრაზე რომ დაჟდება, **მორანდავს** ყველამფერს და იმ საჭმელს რომ მოტანა უნდა არ იცის.

მოზიკაჯი - მეგარმონე: მოზიკაჯები დავლი-ზურნით მოდიოდენ. მემრე იქ დეიწყებდენ ხუმრობას, წესი იყო ამფერი.

რაცუნწალა - საკმაოდ: ერთი სიტყვით **რაცუნწალა** კაია. ღმერთმა მშვიდობა ქნას, ავატყოფობა ჩაქრებოდეს და ეს ხალხი შამორჩებოდენ სოფელში, ვინც აქ ვართ, ყველას გვიხარია.

საშვაო - ზვავსაშიში ადგილი, სადაც ხშირად ჩამოდის ზვავი: **საშვაოებში** ცეფი გააკეთეს და ისე ჩამოვდენ. **საშვაოში** ხელი ხელს მოდებდენ და ისე გეიარდენ.

სანამუსო ურბა - საგარეო ტანისამოსი: **სანამუსო ურბა** ცაკლე მაქ შენახული, ბაღნები ასჯერ ურევენ შკაფში ხელებს და დიმიპოქსავენ.

ფუჩეჩი - ჩალის ნარჩენები, სიმინდის ტაროს ფოთლები და ულვაში: ყანაში თუ რამე **ფუჩეჩია** დარჩენილი, ისინი ააკალიბონა, სიმინდის ღერეტები აქრანა მანგალით ძირზე და მოხნანა ყანა.

შეჩივლება - დარდის გაზიარება: ამხელა ავათ ვარ, თქვენთან შვიდობა, **შეჩივლება** არ მიყვარს, თავი არ დამადებია, ძრუგიც მტკივა.

შეხასება - შეხალისება, ძლიერი სურვილის ქონა : დედინაცვალი ჰაცხა იყო, იმ სახში სტუმარი ვერ მიმყავდა და **შეხასებოდა**.

შიშიფაფარაი - შემინებული, აფორიაქებული: რომ წეველ, ბაღნები გამომეკიდენ უჩუმარაი, ახლა ცემს და ვისეიროთო. **შიშიფაფარაი** მიველ სახში და თითი არ წუუკარებია.

ხირთიმურთა - უსარგებლო ნივთების ნაკრები: ათასი **ხირთიმურთაი** ჩამოზიდეს თავანიდან და ექცევინ ვითამ რაცხას.

უცხო ენის გავლენით დამკვიდრებული ლექსიკური ერთეულები

ხეობის მეტყველებაში და ზოგადად, ზემოაჭარულ დიალექტში საკმაოდ დიდი რაოდენობით გვხვდება უცხო ენიდან შემოსული სიტყვები, რაც ისტორიული ფაქტორით არის განპირობებული. დამკვიდრებულმა გარკვეული კვალი დატოვეს აქაურთა ლექსიკაში, გავრცელებულია თურქული, არაბული და სპარსული ლექსიკური ერთეულები. გარდა ამისა, გვხვდება რუსული და სხვა უცხო ენიდან შემოსული სიტყვები.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში თურქული და თურქულის გზით შემოსული არაბულ-სპარსული ლექსიკური ერთეულები ხმარებიდან გადის. ასეთი სიტყვები ძირითადად მოხუცთა მეტყველებაში ისმის.

თურქული ლექსიკური ერთეულები:

ანჯახ - ძლივს: გოგომ იფიქრა, მეგენი დემეწევიან, ახლა ვიტყვი, რომ მე მივალ და მომიყვავით ჩემი ცხენიო, შორი გზიდან მოსული ვარ და **ანჯახ** ჩავაწიო სახშიო. შდრ.: ალ. ლლონტი: (იმერხ., ჯავახ., ინგილ) ძლივს, ძლივსძლივობით.

ანაი - დედა: ჩემი **ანაი** ბოლო ოდაში ყავდენ უპატრონოთ შეგდებული. შდრ.: შ.ნიჟარაძე: დედა.

აბლაი - ბიცოლა: წყაროთას **აბლაი** მყავდა მე, ჩამეყვავი ისა და იმან ლოგინები გიმიკეთა. შდრ.: ბიცოლა; ასაკით უფროსი ქალისადმი მიმართვა.

არჩიხანა - სამზარეულო: იქავენაი, ახლოს **არჩიხანას** გააკეთებდენ. მაშინ ჰა იყო ამდენი სობაები. შდრ.: ნიჟ: სასადილო, სამზარეულო.

ბეთმეზი - ნუგბარის სახეობა, ძირითადად მსხლისგან მზადდება, თუმცა შეიძლება სხვა ხილის გამოყენებაც: ტყემლიდან **ბეთმეზსაც** ვაკეთებდი ადრე, მარა ახლა აღარ ვაკეთებ. შდრ.: შ. ნიჟარაძე: ხილის წვენი, შესანახად მოდულებული ზადაგი.

ბაბოი - მამა: ისე გავხტი ამ ხნის, რომ **ბაბოსთან** სიგარეტი აღარ მომიწევია. შდრ.: შ. ნიჟარაძე: მამა.

ბაბას ვათანი - მშობლიური მხარე: მაგრე არ იქს, **ბაბას ვათანი** არნა გააბეგლუგო ქალაქის გულობაი. რა იცი კიდევ რა დრო მუა.

ბორჯი - სასიძოს და სარძლოს ოჯახების შეთანხმება, ნებართვის აღება ქორწილის დროსთან დაკავშირებით: რაღა დროის ჩემი ქორწილებში სიარულია, მარა ისე რასწალა მომენატრა. **ბორჯს** რომ ეილებდენ და დეიწყობდენ თათარიკს ქორწილისთვინ, ვინმეს მომსახურებაზე ხვეწნა არ უნდოდა. შდრ.: ალ. ღლონტი: დრო. შდრ.: ნიჟარაძე: ვალი, ვალ-ვახში; ნისია.

ბორანო - საჭმელი, რომელიც მზადდება იაღისგან და გრეხილი ყველისგან: ღმა ბორანოს რამე არ ჯობია, ცხელ ჭადთან გემრიელია. შდრ.: ალ. ღლონტი: ერბოში მოხარშული, შემწვარი ყველი. შდრ.: ნიჟ. ყველანაირი ერბო-კვერცხი.

გენჯი - ახალგაზრდა : ჩემი **გენჯი** ომრი აქ მაქ გატარებული და ზოვლი მებრალება დასატევათ. შდრ.: ნიჟ: ახალგაზრდა, ჭაბუკი, ყმაწვილი.

გერჩეკი - მართლა, ნამდვილად: ფალავანსაც ყურადღება არ მუუქცევია ამის ლაპარიკზე, ეგონა ქირდათ მილებენო. რომ **გაგერჩეკდა** საქმე, დეიტაკენ. შდრ.: შ.ნიჟარაძე: მართლა, მართლაც, ნამდვილად.

გუგუმი - სპილენძის ან თუჯის ჭურჭელი, რომელიც გამოიყენება წყლისთვის: **გუგუმით** წყალი მომიტაი მეთქი რომ ვეტყვი, ისიც ეზარება. შდრ.: შ. ნიჟარაძე : წყლის ჭურჭელი სპილენძისა, სურას ჰგავს.

დაჩილიფვა - მონიშნვა, სამასალე ხეზე ხაზების გავლება: ჯერ **დაჩილფევდენ** ტომრულებს რამდენი ძელინა გამოსულიყო და ისე დახევდენ. სდრ.: ნიჟ: დაჩირფვა - ჩირფით სწორი ხაზების გავლება, დალარვა.

დელი - გიჟი, გადარეული: დელი ბაბოი მყადა და მასთან ლაპარიკი გვეშინოდა. შდრ.: შ. ნიჟარაძე: სულელი, გიჟი, ხელი, გადარეული. სულხან-საბა: ესე არს განსაზღვრებისა მომგონებელაი ჟამთანი, რამეთუ ვიტყვით: პირვანდელი, ადრინდელი, გუშინდელი, ხვალინდელი, მაშინდელი და მისთანანი.

დეუზი - მინდორი, ვაკე, არსებობს ამავე სახელწოდების თამაშიც: ზოგან იმფერი **დეუზი** ჭალები გატყევდა; ხან დეუს ვთამაშობდით, ხან იუზუგს. შდრ.: ნიჟ: ერთგვარი თამაშია ჭადრაკის მსგავსი.

დეუნია - ქვეყანა: ახლა ნენევ ვახტი მოვდა, ევლანა ვილოცო და მეძრე თუ გამახსენდა **დეუნის** ხებრებს მოგიყვები. შდრ.: შ. ნიჟარაძე: ქვეყანა, ხმელეთი, მხარე.

ეფეიჯა - საკმაო, საკმაოდ ბევრი: **ეფეიჯა** ხანი დარჩენ მეგრემ და და მემრე თქვეს ხალხმა ახლა დევპანტოთ, წასლის დრო მუაწიაო. შდრ.: ნიჟარამე: საკმაოდ, ბლომად, რიგიანად, გვარიანად.

ზორი - გასაჭირი: ერთი მაგარი **ზორი** მაქ რეჯებო და მეზობლებმანა მომეხმაროთ თქვენი სულის ჭირიმეო. შდრ.: ღლონტი: (გურ., იმერხ., აჭარ.,) გასაჭირი, ძალა, ჯაფა.

ზენგილი - მდიდარი: **ზენგილი** მეშვამთევრე ვინცხაი იყო საკლავსაც დაკლავდა. შდრ.: ალ. ღლონტი: (გურ.) მდიდარი, ყველაფრით სავსე ოჯახი. (აჭრ., მესხ.) ზენგინი. ნიჟ: მდიდარი, შეძლებული.

თორამა - შვილიშვილი, შთამომავლობა: დურსუნას **თორამა** თლათ ქალაქში არიან წაბარგული. შდრ.: ნიჟარამე: შვილიშვილი, ბადიში, მოდგმა-შთამომავლობა, გვარი, ჯილაგი.

თული-თული - ნაირ-ნაირი: შით **თული-თული** ურბა იყო ჩაწყობილი. შდრ.: ნიჟარამე: ნაირ-ნაირი, სხვადასხვაგვარი, მრავალფეროვანი, ნაირსახოვანი.

იაზლოლი - დერეფანი: **იაზლოლში** იმდენი ინახეს ბაღნებმა, რომე ლელევინი გახდენ.

იალი - კარაქი, რომელიც მზადდება კაიმალისგან: **იალს** ზოვლი ბევრი საქმე აქ- ჯერნა მორეკო, მემრე იმდენჯერნა გარეცხო სანამ ნარეცხაი წყალი წყაროს წყალივით სუფთა არ გახდება. შდრ.: ალ ღლონტი: (ფშავ., ხევს.) ცხონებული, საიქიოს განათლებული, სამოთხე.

იასადი - აკრძალული: სახლების აშენება გაადვილებულია, მარა ხის მოჭრაა **იასადი**. ვარიოლა ხიებს ვედარ მოჭრი. შდრ.: ალ. ღლონტი: 1. (გურ., იმერხ) გამოსაჩენად აკრძალული, ძნელსაშოვნელი, იშვიათი. 2. (ლექხ.) შნო.

იმდა/იმტა - ამგვარად: უწინ იტყვოდენ უმფოსები დრო მუა და ყველაი სოფელში გამეიქცევიანო და მართალი ყოფილა **იმდა**. შდრ.: ღლონტი: ამგვარად, ამრიგად, ერთი სიტყვით.

მეზოლოლი - სასაფლაო: **მეზოლოლებზეც** არ გევესულვარ რამდონი ხანია. მილლეთი იმ გზაში დადის და რას იტყვიან გუუტყევეებიან აქავრობაო.

მუსტალი - ახი: ჭადი ქერეჭინა აჭამო ერთი კვირა და **მუსტალი** იქნება, მიხტებიან მერე ბორანის და იალი-ყველის გემოს.

რეემეთლი - აწ გარდაცვლილი, ცხონებული: შევდა **რეემეთლი** ბაბომ ახორში და უუშვა ბერწიშვილები.

სერსემი - სულელი: ბოლოხან რაცხა პარაშოკი მეიგონეს, იმა აჭმევენ და თლათ გაასერსემეს ბაღნები. შდრ: ნიჟ: ცეტი, ჩერჩეტი, თავქარიანი.

სექვი - მიველ და **სექვზე** წამოვწექ მეხსუს, მუატყვილე ვითამ მეძინა. შდრ.: ნიჟარამე: ძელური სახლებში მთელი კედლის გასწვრივ მიშენებული ტახტი, ზშიძლება სექვ ორივე მხარეს იყოს მიშენებული. შდრ.: ლლონტი:(მესხ., აჭარ.) ბუხრის თავი, ბუხრის თავს ზედა ქიმი გამოწეული აქვს თაროსავით, ზედ წვრილმანი ნივთები აწყვია.

სოი - მსგავსი, მაგვარი: დედაჩემი იტყვოდა ქალები სამნაირი არიანო -ინსნი სოი, ვირი სოი და ძალი სოი. შდრ.: ალ. ლლონტი : ნაირი, ფასონი, მოდა. ნიჟ: ჯიში, გვარი, სახე, ხარისხი.

სუჩი - ბრალი: მაგის **სუჩი** იყო, ბაღნებმაც რომ გეიქცენ იმ ყიამეთში. შდრ.: ალ. ლლონტი: სუჩიანი- (მესხ.) ბრალიანი, დამნაშავე, ცოდვიანი. ნიჟ: დანაშაული.

ტაია - ბიძა, დედის ძმა: იმფო მეტათ **ტაიებთან** ვიზდებოდით. შდრ.: ნიჟარამე: ბიძა დედის მხრით. ლლონტი: (აჭარ.) ბიძა, დედის ძმა. (ლეჩხ.) პანლური.

ტომრული - სამასალე მორი, გამზადებული დასახერხად: **ტომრულებს** გაშლეპდი, გაამზადებდი, მემრე ხიზარჯებინა გექირავებია. თლათ ჩამოსაქნევი ხერხითნა დეგებია ძელები. შდრ.:ნიჟარამე: გაუთლელიმსხვილი და მრგვალი მორი.

ფახირი - სპილენძი: შვაში მაწონი იდვა დიდი ბადიაი **ფახირის** საინით. შდრ: ნიჟ: ფახირისჭურჭელი- სპილენძის ჭურჭელი.

ფაჩავრები - ჩვარი, ტილო: პაწაწაი საჭმელებიც ევკიდეთ, ჩემი თოფიც შევახვიე **ფაჩავრებში** და წევედით. შდრ.: შ, ნიჟარამე: ფაჩაური- ჩვარი, „ჭინჭი“.

ფალასკა - ტყვიის სამასრე, რომელიც მხარზე ჰქონდათ გადაკიდებული: იმათ წევდენ და მეც დავაშპი თოფს, **ფალასკას** და გადავაშპი თავდაღმა. შდრ.: ღლონტი: ტყავის სამასრე, წელზე ირტყამდნენ ან მხარზე გადაიკიდებდნენ, სავაზნე სარტყელი.

ფუსკული - ფოჩი, ერთგვარი სამკაული, რომელიც ფერადი ძაფებისგან კეთდებოდა და აფორმებდნენ ტანისამოსს, ხშირად შინაურ ცხოველებსაც აბმევდენ თავზე, მაგალითად ცხვარს, ძროხას ან ცხენს: ჩევდა რომე, დახდა ცხენი მოკაზმული, მორთული, ლამაზი **ფუსკულები** ქონდა შემზული. შდრ.: ალ. ღლონტი: (მესხ.) ფოჩი, ფუნჯი.

ქირიში - სახურავის კოჭა: **ქირიშებიც** თლათ ცულით გათლილია და მემრე გარანდული. სახურავის ქირიში ძველი იყო და და ზამთარში ჩამოტეხა თოვლმა. შდრ.: ნიჟარაძე: სახურავის, იატაკის და კედლის კოჭა, სარტყელი ან სახურავის ბოლოებს შემოვლებული ხეები, რომელზედაც დაყრდნობილია სახურავის კავები.

ქესუმი - მთაში, იალალზე სხვისთვის მიბარებული პირუტყვი, მემთეურისა და მეპატრონის შეთანხმების საფუძველზე. მემთეური სანაცვლოდ პირუტყვის პატრონს აძლევს რძის პროდუქტს: მემთეური თუ ქყავს კაია და თუ არა მაგიც საძებნელია, თუ ვინმემ იგიბარა საქონელი ან ვინცხას **ქესუმათნა** გაატანო. ბარში ჰომ ვერ დატევ. შდრ.: გ. ზედგინიძე: (ჯავახ.) გადასაწყვეტი, ქორწილისას ვაჟის მხრიდან ქალთან მისატანი ქორწილის ხარჯი (საკლავი, სასმელი).

ქოშტერაი - სადურგლო იარაღი, შალაშინის სახეობა: რანდაი, ქოშტერაი და ქამფური თუ არ გქონდა, ისე ვერ შეკერევი კარ-აკომკას. შდრ.: ნიჟარაძე: ქოშტერე, ქვიშტარა-გრძელი შალაშინი, ქუშტარა.

ქუსკი/ქესკი - ძალაყინი: : **ქუსკით** ამემეკიდა და მლანძღა. თივა გავაფუქე ბევრი. შდრ.: ნიჟ: საჭრეთელი, სატეხი.

ქუმა - ჩურჩხელა: იქ სეირობდენ და ახლა რომ ჩურჩხელებს უძახიან წინ წინ **ქუმას** უძახდენ მაგას. ხალხი იმას აკეთებდა. ნიგოზს დატეხევდენ და აასხემდენ ძაფზე. მემრე ფაფას გავაკეთებდით და ამოვფაფევდით. შდრ.: ი. აბულაძე: წებება, აკვრა. სულხან-საბა; ნუშისა და მისთანათა გულსა და ჩირებთა ტყბილის_კვერში ამოავლებენ და გაახმობენ სანუკვარად. შდრ.: ნიჟ: ჩურჩხელა.

ყაიში - თასმა, ქამარი: დანარჩენი ძვლიანი ხორცი შავახვიე ისევ მის ტყავში და იქავენაი **ყაიშით** ჩამოვკიდე წიფელაზე. შდრ.: ალ. ღლონტი: (გურ., იმერ.) ქამარი, სარტყელი, ღვედი. ნიჟარაძე: ტყავის სარტყელი, ღვედი, თასმა, ქამარი.

ყაიმალი - ნაღები: მაგ დროს თაზე, რაცხა **ყაიმალი** ქონდენ მოჭუჭკვილი, იაღს მორეკავდენ. შდრ.: შ.ნიჟარაძე: რძის ნაღები.

ყირმიზი - წითელი: ერთი ლაინის შავი შალი მქონდა, **ყირმიზი** საკერებელით მოკერილი. შდრ.: ნიჟ: წითელი; გადატანითი მნიშვნელობით ოქროს ფული.

ყურალი - გვალვა, ცხელი ამინდი: ზაფხული მუა ჩურუგაში **ყურალები** იცის, უწყლობი მგონე ვეღარ იზდება ხილი დიდვანი, ან რაცხა ასხია,ისიც გაცვინდება. შდრ.: შ. ნიჟარაძე: გვალვა.

ჩათინი/ჩეთინი - რთული: **ჩათინი** მოსავლელია, ზამთარში სიცივეს ვერ უძლებს, შეფუთნონა. გამოსული დადგება, დათბება გამოდის გარეთ და გარბის. შდრ.: ალ. ღლონტი: საეჭვო, საძნელო.

ჩალუმი - მოხერხება: **ჩალუმი** თუ არ იცი ტყეში მუშაობის, ილლა დამარცხდები და რაცხა ყეზას გამეიყვან. შდრ.: შ. ნიჟარაძე: მოხერხება, უნარი, შნო, მარიფათი. შდრ. ნიჟარაძე: 1. მოყვანილობა, გარეგნობა; 2. მოხერხება, უნარი, შნო, მარიფათი.

ჩიფთელი - მავნებელი; ადამიანი, რომელსაც ხშირად მოაქვს ხიფათი: ტყიდან არვინ არ გაზენგილებულა, მარა მაინც ერთ ორ კაპეკს იმით ნახულობს ხალხი. ბევრი ხალხიც შეიწირა, **ჩიფთელია** ტყე. შდრ.: ალ. ღლონტი: ვერაგი, დაუნდობელი, ნავსიანი.

ჩურუგაი - პერიოდი, რომელიც ივლისის მეორე ნახევარს და აგვისტოს პირველ ნახევარს მოიცავს: **ჩურუგაში** რომე ბევრხან ყურალები წევდოდა, მემრე უცბაი რომ ავიდარი მეიშლებოდა და გასორატდებოდა, თიებზე ხომკაკალაი მოვდოდა, მაშინ იცოდა სელგარმა წამოსლა. შდრ.: ნიჟ: ივლისის მეტსახელი.

ხეფენგი - პირველი და მეორე სართულის დამაკავშირებელი კარი, რომელიც კიბის თავზე იყო ჩამოფარებული: ზოვლი უშნო ასასლელია ქონდენ მეორე სართულზე, **ხეფენგში** თავინა შეგეყო და ისენა ესულიყავ. შდრ.: ალ.ღლონტი : თამბაქოს ერთად

აცმული და გასახმობად ჭოკზე მიკრული ფოთლები. შდრ.ნიჟ.: საცხოვრებელი სახლის ნაწილი, მეორე სართულიოდან პირველზე ან ბოსელში ჩასასვლელი.

ჰეგბა - ხურჯინი: ზრუგზე **ჰეგბა** ქონდა გადაკიდული. შდრ.: შ. ნიჟარამე: ხურჯინი, აბგა.

თურქულის გზით შემოსული არაბული ლექსიკური ერთეულები:

ბუირუმი - მოპატიჟებისას მიმართავენ ადამიანს: ერთ საღამოს გევხედე რომ დეიძახა ემინახმედმა. **ბუირუმს** მობძანდი მეთქი ვუთხარ. ვახშამზე შევპაიჯეთ, არ მინდაო.

ევლია - წმინდანი, უცოდველი ადამიანი: მეორე დღეს ეს ამბავი მეზობელს მუუყვა დედიკომ და იმან უთხრა **ევლია** ყოფილა მოსულიო. შდრ.: დიდი ღვთის მოსავი, წმინდანი, მაღლიანი.

ემია - ბიძა მამის მხრიდან: შალბანა **ემია** იჟდა კიბეზე და კტებოდა სიცილში. შდრ.: შ. ნიჟარამე: მამით ბიძა.

ებბედი/ეჰჰედი - არასდროს: **ებბედი** არ წევსულვარ ნადში და არ ვიცი ნადური სიმღერები. შდრ.: შ. ნიჟარამე: მუდამ, ყოველთვის, მარად, მარადჟამ; ხანგრძლივ, არასოდეს, განუსაზღვრელად.

ეზიეთი - გასაჭირი: ჩალუმიანი კაცი ჩათინ საქმესც იოლათ გააკეთებს. ზოგი **ეზიეთში** შევა და რამე არ გამუუდის ხელიდან. შდრ.: ნიჟ: ეზიეთის მიცემა - შეწუხება.

ვახტი - დრო: კილო ლოცვას ვეკიდებ, ერთი **ვახტი** არნა გავარუნო. შდრ.: ნიჟარამე: დრო, ჟამი.

ზათი - რა თქმა უნდა, ნამდვილად: გაჭირვება დღევანდელთან შედარებით **ზათი** იყო, მარა იმ დროს ჩვენ ბედნიერი ვიყავით, მაინც რაცხა გვექონდა, ის გვიხაროდა. შდრ.: ნიჟ: ისედაც, ნამდვილად, მაინც, საერთოდ.

თახათი - ძალა, ბრძოლისუნარიანობა: აღარ მაქ რამის **თახათი**. დავბერდი და სხვისი მოსამლელი გავხტი და ადრე დაღამებამდი არ ავწევდი ბოსტნიდან თავს. შდრ.: ნიჟ; **თახეთი** -ძალი, ძალ-ღონე, ილაჯი, ჯანი.

თემენა - პატივის მიგება, მისალმება, რომელიც ხელის თავთან მიტანით და თავის დახრით სრულდებოდა: მუნჯივითნა ყოფილიყავ, უკან უკან დავდიოდით, **თემნებს** ვაკეთებდით, მამთილთან და უმფოს კაცებთან ვერ დაჟდებოდი და ვერ ჭამდი, იმფო მეტი რიდი იყო. შდრ.: ნიჟარამე: **თემმენა** - ძველ აღმოსავლურ ხალხებში გავრცელებული მისალმება.

იბრეთი - სასწაული, საოცარი, საშინელი: მიველ და მითხრა ჯემალაი გაბეჩებულაო, დედეზე თავი მუუჭრია, ლომი გუუყრია და პალკონზე გადმუუკიდიო. ამფერი რამე სიცოცხლეში არ დიმიწახია, **იბრეთი** ამბავია. შდრ.: შ. ნიჟარამე: ჩვეულო, უცნაური, განსაცვიფრებელი, საკვირველი, საშინელი.

ინსანი - ადამიანი: არ გეწყინოს ნენი, მარა ადრინდელი ბაღნები რომ დედის ძით იზდებოდენ, **ინსნის** ჭკვა ქონდენ, მემრე ძროხის ძეზე გედევდენ, საქონლი ჭკვა მიეცენ. შდრ.: შ. ნიჟარამე: ადამიანი, კაცი.

ინათიანი - ჯიუტი: ინსნი სოი შენ ხარ ნენი, ძაღლისოი საღამომდე რომ ჭყყყაყებენ და საქმის გამკეთებელი არ არიან, ვირი სოი **ინათიანია**, იმა შენ ჭკვაზე ვერ გაანურიებ და ყველაზე ჩათინი მეგ არის. შდრ.: ალ. ლლონტი: ჯიუტი, ჟინიანი. შდრ.: ნიჟ: **ინადი**-სიჯიუტე.

იალუმი - გამთენიო, ალიონი: **იალუმზე** ავდგებით და შუუდგებით საქმიებს, ზოგი სახში მუშაობდა, ზოგი ბახჩაში. შდრ.: ალ. ლლონტი: (გურ.) **იალონი**- ალიონი. სულხან-საბა: **იალომი** - ალიონი.

ილლა - აუცილებლად: **ილლანა** წევდე სახში, თვარა მერე გათოვლდება და ჩაჩები აქ. შდრ.: ნიჟ: აუცილებლად, უთუოდ, უეჭველად.

ლუხუმი -ტკბილიული, რომელიც მზადდება პურის ცომისგან, ცხვება ზეთში და შემდეგ შაქარში ამოავლებენ: ზოგი ქალი **ლუხუმს** აცხობდა, ამდონი ნამცხვრები მაშინ ჰა იყო. ერთი ტექსი ვიცოდით და ლუხუმი. შედ.: ალ. ლლონტი: ერბოში ან

ზეთში გამომცხვარი ქათმის კვერცხისოდენა მრგვალი ნამცხვარი. შდრ.: ნიჟარაძე: ხორბლის თეთრი ფქვილის ნამცხვარი.

მეხსუს - განზრახ, გამიზნულად: მაყარი რაცხა საჭმელს მეითხოვდა **მეხსუს**, იმფერს რაცხა რომ სუფრაზე არ იყო და ის ილლანა მიგეტანა. შდრ.: ნიჟ.: განზრახ, განგებ.

მილეთი - ხალხი: დედინაცვალ ამბობს, ეს ყოფილა თურმე **მილეთმა** რომ ფეხზე ადგა და უყურებდენ. შდრ.: ალ. ლლონტი: (გურ.) ბევრი ხალხი, მთელი ქვეყანა.

მუზევირი - ჩამშვები, ჭორიკანა: ჩემი ბადიშები რომ ამოვლენ, ვეხვეწები ლამაზათ ჩეიცვით, არ უნდა მოკლე კაბა და შოლტიკები მეთქი, თვარა აქ იმფერი **მუზევირი** ხალხი ცხოვრობს, იმათ ყბაში თუ ჩავარდი მტრისას. შდრ.: ნიჟ.: დამსმენი, მახეზლარი, ჯაშუში, ჭორიკანა.

მეიდან ოდა - სტუმრის ოთახი: **მეიდან ოდას** ცალკე კიბე მივადგი, ნებისმიერი სტუმრისთვის ჩემი მეიდან ოდის კარი ღია იყო.

მელაიქი - ანგელოზი: **სები** ბაღვი მელაიქიაო იტყვოდენ. შდრ.: შ. ნიჟარაძე: ანგელოზი.

მერაყი - დარდი: იქავრობის **მერაყი** მკლავს, თვარა სხვა რა მიჭირას. შდრ.: ნიჟ.: დარდი, ჯავრი, მელვარება.

ნუსხა - შავი მაგიის შემადგენელი ნაწილი, შელოცვი სმაგვარი ნაწერი, რომელიც ბოროტი და უარყოფითი შინაარსის მატარებელია: მემრე დედინაცვალმა მანიაკეთში ფათირთან წევდა, ამა რაცხა სხვა ზორი აქო. იქიდან ჩამუტანა რაცხა დასაბანი, დასახჩოლებელი, შესამბელი **ნუსხები**. შდრ.: სულხან-საბა: ჩქარად აღწერილი. ნიჟარაძე: შელოცვის ტექსტი, ამულეტი, ჯადო, თილისმა.

ომრი - სიცოცხლე: ჩემი გენჯი ომრი აქ მაქ გატარებული და ზოვლი მებრალება დასატევათ. შდრ.: შ. ნიჟარაძე: შცოცხლე, ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა, ცხოვრება.

რიშვეთი - ქრთამი: მიწას **რიშვეთი** დაჭირდა. **რიშვეთს** არ მიცემ, მოსავალს არ მოქცემს. შდრ.: შ. ნიჟარაძე: ქრთამი.

სამა - ცეკვა: სმა ბევრი არ იყო, იმფო მეტი **სამა** და სიმღერა იყო. შდრ.: ალ. ლლონტი: 1.(აჭარ.) ცეკვა. 2. (მეხ.) შტერი, უგუნური, ჩერჩეტი. სულხან-საბა: როკვა.

სელგარი - წყალდიდობა, ღვარცოფი: ჩურუგაში რომე ბევრხან ყურალები წევდოდა, მემრე უცბაი რომ ავიდარი მეიშლებოდა და გასორატდებოდა, თიებზე ხოშკაკალაი მოვდოდა, მაშინ იცოდა **სელგარმა** წამოსლა. შდრ.: შ. ნიჟარაძე: სელგაჰი-წყალდიდობა; დელეებისა და მდინარეების ადიდების შედეგად ნათესების და ჭალების წალეკვა.

სიხლეთი - მძიმე შრომა, რთული მდგომარეობა: **სიხლეთში** რომ ჩავარდება, ილლა მუუწევს ხელი გაქანება. შდრ.: ნიჟარაძე: შრომა, გარჯა, ზრუნვა, ჯაფა.

ქიბარი - თავმომწონე: იმფერი უგუტეხელი და **ქიბარი** ნენეი იყო რომე აქეთ გვიყვირა რათ უნდოდა ხალხის შეწუხება, პაწაი ხომარ ვიყავ, გათენდებოდა მოვდოდო. შდრ.: ალ. ლლონტი: თავმომწონე, ამპარტავანი, თავის მაქებარი კაცი.

ყაბული - კმაყოფილი, თანახმა: ამდენი საქმე ჰომ არი, მარა მაინც **ყაბულ** ვარ ჩემი ცხოვრების.

ყეზა - უბედური შემთხვევა: ყველანაირი **ყეზისგან** დიგიფაროს ღმერთმა. შდრ.: ნიჟ: მარცხი, ხიფათი.

ყიამეთი - ორი მნიშვნელობით გამოიყენება: 1. ქვეყნიერების აღსასრული; 2. არეულობა, აურზაური, ხმაური: მექორწილეს მოსლამდე მახარობლები მოვდოდენ ყვირილით, **ყიამეთით**. შ. ნიჟარაძე: 1. ქვეყნის დასასრული, „მეორედ მოსვლა“; 2. უბედურება, ჩხუბი, აყალ-მაყალი.

შიდდეთლი - მოჩვენება, საშიში: ქურთ ბაღს მუაწყობდენ ხანდებან, მეირთვებოდენ კაცები ზოგი ქალის ფორმაში, ზოგი **შიდდეთლს** დიემზ გავსებოდა და ასე ერთობოდენ. შდრ.: ნიჟ: შიდდეთიანი - ძლიერი, ზვიადი; პირქუში, საშინელი.

ხალაი - დეიდა: გევქეცი. ჩასლამდე ვუძახი უმიან **ხალას**. უმიანაი ჰაცხა ბახჩიდან გამუარდა, რა გინდა ციცავ, რას წივი რა დეგემართაო მითხრა. შდრ.: ალ ლლონტი: (ქართლ.) ხალი. (მთიულ.) გრძელი წვრილი ჯოხი, რომელსაც თივის ბულულს ამოაკრავენ ხოლმე. (რაჭ.) მოხარშული მარცვლეულისგან მოხელილი ცომი. (აჭარ.) დეიდა. შდრ.: ნიჟ: დეიდა.

ხებერი - ამბავი: ახალგაზდობა ადრე იმფო კაი იყო. ახლანდელეები რას აკეთებენ **ხებერი** არ აქვან, ჰა მიდიან **ხებერი** არ აქვან. შდრ.: ნიჟ.: ამბავი, ცნობა.

ხისიმი - ნათესავი, ახლობელი: ძალიანში ვიყავ **ხისიმებთან** ასული, ვინახსეთ სადამომდინ, ჯოხი ბილაი ვითამაშეთ, ერწამალაი დადამდა, მემრე გაგვახსენდა, რომ სახში ჩასასლელი ვიყავთ და წამუელთ სახლისკენ. შდრ.: ნიჟ.: ნათესავი.

ხიზმეთქარი - მოსამსახურე: თურქეთში სიარულს და თურქებთან **ხიზმეთქობას** კიდევ აქ მუშაობა ჯობია. შდრ.: ნიჟ.: მოჯამაგირე, მსახური ხელზე მოსამსახურე.

ჰაზირი - მზა, გამზადებული: **ჰაზირი** ვიყავ წასასლელათ. შდრ.: ნიჟ.: მზა მდგომარეობაში, გამზადებული.

ჰურიმელაიქი - მშვენიერი, ლამზი, ანგელოზი წალი: ჩვენ რაცხა **ჰურიმელაიქი** გვეგონაო. შდრ.: ნიჟ.: **ჰური** - სამოთხის ქალი, უმშვენიერესი, ჰაეროვანი, ანგელოზი, ფერია.

თურქულის გზით შემოსული სპარსული ლექსიკური ერთეულები:

ახორი - იგივეა, რაც ბოსელი, პირუტყვის სადგომი: პაწაი ვიყავ და **ახორს** მარტვაი მევსაქმებდი. შდრ.: სულხან-საბა: ბაგას ჰქვიან. ნიჟ.: ბოსელი.

ბელქი - იქნებ, ეგება: **ბელქი** აღარ წევდეს ხალხი ქალაქში და სოფელიც აღარ გამეილევა. შდრ.: ნიჟ.: იქნებ, ეგებ, ვინ იცის, შესაძლებელია.

დედეი - ბაბუა: **დედეი** ცოცხალი იყო და ტიროდა ისიც, ნეტაი მე დავკარგულიყავო. შდრ. შ. ნიჟარაძე: ბაბუა. აღ. ლლონტი: პაპა, ბაბუა.

ერიშტა - საჭმელი, რომელიც პურის ცომისგან მზადდება: ქალები ზოგი ბიშს აცხობდა **ერიშტისთვინ**. შდრ.: შ. ნიჟარაძე: საჭმელი. აღ. ლლონტი: (აჭარ., მესხ.) საჭმელია ერთგვარი.

ზოვლი - ძალან, ძლიერად: **ზოვლი** გულ მავიწყაი გავხდი. შდრ.: ნიჟარაძე: ზორბა, დიდი, კარგი, ყოჩალი, ძალიან, ძლიერ.

მაჰანა - მიზეზი: იმფერი ღორი იყო, სამი თუ ოთხი მილინციელები ცავდენ და ისინიც მუატყვილა, იქაც **მაჰანათ** ტვალეტში გასლა მეიგონა. შევდა და აღარ იქნა გამოსლა. შდრ.: ნიჟარაძე : მიეზი, საბაბი.

მერდევანი - კიბე: ამასობაში **მერდევანიდან** გევხედე რომ ქვეიღნა მოღიან ისინიც ბურდღულით. შედ.: ალ. ღლონტი: (რაჭ., იმერ.) ოღრო-ჩოღრო გზა. (აჭარ.) ქვის კიბე.

მუხი - ლურსმანი: მითხრა **მუხი** დეიღია და საჩქაროთ ბარში ჩაი და ყავრი მუხი ამეიტაიო. შდრ.: ნიჟ: ლურსმანი.

ფეშტემალი - წინსაფარი: ეხსანა ნენემ დიმნახა ახორი კარებიდან, გამეიქცა და მოვდა რა ქჭირსო. ვუთხარ ფეხი მევტეხე მეთქი. მეიხსნა **ფეშტემალი** და დიმიგო ქვეშ არ გაცივდესო. შდრ.: ღლონტი: წინსაფარი. ნიჟ: ქალის წინსაფარი, თავშალი.

ფეშინათველაი - მაშინვე: **ფეშინათველაი** მეორე ფიშეკი ჩავდე და გევექეცი მისკენ, გამევეკიდე. არ იყო ზოვლი შორს, მიველ უკვე სული მიცემული ქონდა, სისხლი გიექიაფებია. შდრ.: ნიჟ: ფეშინ: ხელად, უცბად.

ჩივთი - ლუწი, წყვილი: თოფს ისრიდენ სახლის აშენებას რომ დაამთავრებდენ. მემრე მევლუდს აკითხიებდენ, **ჩივთ** წელწადშინა შებარგულიყავ სახში. შდრ.: ალ. ღლონტი: ერთგვარი სახენელია.

ჯუმბუშლი - მხიარული: საქონლისთვინაც კაი იყო და ისეც **ჯუმბუშლი** თა იყო ბაღნებისთვინ. შდრ.: ღლონტი: მხიარულება, შექცევა. ნიჟარაძე: ჯუმბუში, ჯუმბუშობა: გართობა, ეკვა-თამაში, მხიარულება, ლხენა; სეირი, ღრეობა.

ჰამან - თითქმისი, როგორც კი, მაშინვე: **ჰამან** თოვლი აშრება თუ არა გიეცქვიტონა, ღობიებინა დაღობო, ჭალებინა დაფოცხო, დაგავო, ჩამოჩეჩებული თველის ჟვერინა მუაშორო ჭალას, რომ კაი ბალახი მოვდეს. შდრ.: ნიჟ მაშინვე, იმავე წუთს, იმავე წანს.

ჰემ - კავშირი თან: **ჰემ** მინდა თაზე წასლა, **ჰემ** მეზარება. აღარ მაქ ჯანი. შდრ. ნიჟ: **ჰემ**, ხემ - კავშ. და, თან, კიდევაც, ამასთან ერთად, აგრეთვე, -ც, -ცა (ნაწილაკები).

რუსული ლექსიკური ერთეულები:

კარაოტი - საწოლი: როიცხა მაღაზია ეიმსო, მაშინ ვიყიდე **კარაოტები** და ტუკი ბამბები.

კასტილი - ყავარჯენი: თელი ზაფხული მემრე **კასტილებით** ვიარე.

კასრული - ქვაბი: მეიტაი ღმერთო **კასრულია**, შენი იყოს მაი ყართოფაიც, ხარშე და ჭამეო.

ლიყები - თხილამურები: ზამთრში თავი რაითნა გეგვერთო და დილიდან საღამომდინ თოვლში **ლიყებით** ვცურევდით.

პარახოთი - ორთქლმავალი გემი: ბათუმ რანა ექნეს და თურქეთში მუუწადინებიან წასლა. **პარახოთითნა** წასულიყვენ და 10-15 დღე იმა უცადეს.

სუტკა - ამასობაში ორი **სუტკა** გევდა და რომ ჩიმიყვანეს, ფეხი გასივდა მორივით.

უჩერეთი - ვინცხაი რომ ძროხას დაკლევდა, **უჩერეთი** დადგებოდა. ეყიდენ უნდა ტყავი და ქალაბანი შიეკერეს.

შკაფი - **კარადა**: თურმე მისთვინ მუუციან დასამალათ და **შკაფის** თავზე დუუმალაია.

შლანგი - **მილი**: კარაპანი საჭირო იყო - ზამთრისთვინ შეშასაც იქ დავპაჭკევდით და წყალიც იქ გვყავდა შამოყვანილი ღარით. ახლა **შლანგებით** ბალკონზე ყავან ამოყვანილი, იქაც ეზარებიან გასლა და სარძიეში ყავან შეყვანილი.

სხვა უცხო ენიდან არის შემოსული ლექსიკური ერთეულები:

ისკელე (იტალ.) - ხარაჩოს მაგვარი ნაგებობა, რომელსაც იყენებდნენ ხე-ტყეში მუშაობისას: როიცხა ხე-ტყე სამსე იყო, მაშინ ტეხნიკა არ იყო. ტყეშინა წესულიყავ, იქნა გეგეკეთებია **ისკელე**. შდრ.: ნიჟ: სახელდახელოდ დადგმული დაზგა სამშენებლო ხე-ტყის სახერხი მოწყობილობისათვის ან მშენებლობაზე მომუშავეთა ზედ დასადგომად - ხარაჩო; 2. ნავმისადგომი.

სინორი (ბერძ.თურქ.) - საზღვარი: ყანებს **სინორი** აღარ ეტყობოდა ჰადმე და რამე. შდრ.: აღ. ღლონტი (მესხ., ჯავახ.) მიჯნა, საზღვარი.

სირა-სირ (ბერძ.) - რიგრიგობით: რომც არ მოყინოს, ხეხილმა **სირასირ** იცის მოსხმა. ერთ წელს ბევრს მეისხამს, ერთ წელს ნაკლებს. შდრ.: შ.ნიჟარაძე: რიგ-რიგად, მორიგეობით, ჯერობით.

ურბა (იტალ.) - ტანსაცმელი: მივდა სახში, საჩქაროთ გეიძრო **ურბები**, ჩეიტანა ცხენს უნაგირი გადაკიდა, ჩაყარა **ურბები** და ი ცხენი გაქრა. შდრ.: შ. ნიჟარაძე: ტანსაცმელი, ტანისამოსი. დლონტი (იმერხ.) რემა.

ხატოვანი სიტყვა-თქმები და ანდაზები

საკვლევ მასალაში გამოვლინდა ხატოვანი სიტყვა-თქმები და ანდაზები, რომლებიც ყველაზე უკეთ გამოხატავენ აქაურთა გონებამახვილობას, სისხარტეს, იუმორის დახვეწილ გრძნობას და სიბრძნეს. გვხვდება როგორც საკუთარი, ასევე უცხო ენიდან კალკირებული გამოთქმები.

არ ჩუუვდა კალოში ფეხი - ცუდი განზრახვა ჩაეშალა : ჩემი მოტყვილება უნდოდა, მარა არ ჩუუვდა კალოში ფეხი.

ამჟავებული ხასიათი - ცუდი ხასიათი : ამჟავებული ხასიათის რომ აქ, იმფერ კაცთან ლაპარაკი მეზარება.

ბეგის ბაჯანალივით წამოწოლილი - უსაქმურად წამოწოლილი: ბეგის ბაჯანალივით რომ წამოწოლილხარ, საქმე მონახე და ხელი გაანძრიე.

გული წიმიჟდა - გული ამიჩუყდა, განვიცადე, დავმწუხრდი: სხვის საცოდვაგობას რომ ვუყურებ, გული წიმიჟდება ერწამალაი და მეტირება.

გულში შიშმა მომწია - შემეშინდა: გზაში დიმილამდა და სიბნელეში გულში შიშმა მომწია პაწაი.

გაკრა სუნგალი - გაჩუმდა : რაცხა შევეკითხე და რომ გაკრა სუნგალი, პასუხი აღარ უთქმია.

გულის დაღამება - მომშივება: დილის მერე ვსაქმოვ და ვერ მევცალე, რომ მეჭამა. გულ დაღამა და ვეღარ გუუძელ.

გამოწისქვილება - როცა ყველაფერს შეჭამ ან ფულს გაფლანგავ : ხელფასს რომ ეიღებს, რაცხა სიბლაცვეებში დახარჯავს, გამეწისქვილებს ფულს ბოლომდე და ისე მუა სახში.

თავი გეინაჭა - გაჯიუტდა, თავისი რომ გაეტანა : ციცას ვუთხარ არ წახვიდე, გიგიწვიმდება გაზაში-მეთქი და არ დიმიჯერა, თავი გეინაჭა და მაინც წევდა.

კატამ კუდი დეიმსახურია - როცა ვილაცას სთხოვ დახმარებას, ის კი სხვას სთხოვს, რომ დაგეხმაროს : ერთი ბადიშს რომ ვუთხარ, წყალი მომიტაი-მეთქი, შეეზარა და მეორეს უთხრა, შენ მუუტაიო.

კატი ნალეჭაი - საწყალი, პატარა, სუსტი აღნაგობის : მაგან ვისნა მიერიოს, კატი ნალეჭას გავს, შუუბერო წეიქცევა.

ლემსის ყუნწში გაძრუნება - გონიერება, ცბიერება, მოხერხებულობა : მაი იმფერი ესმაკი კაცია, ლემსის ყუნწში გაგაძრუნებს.

მუფლუზ მუმი დაანთო - ვერაფერს ვერ მიაღწია, უბედურ ადამიანზე იტყვიან : მარტვაი იზდებოდა, ცოლიც ავატყოფაი შეხდა, მერე სახლიც დიენგრა, მაგაზეა ნათქვამი, მუფლუზ მუმი დაანთოვო.

ნამსხმანი მეწვის - განვიცდი : ანას ავამტყოფობას რომ ვუყურებდი, ნამსხმანი მეწვოდა.

პირს არ აძლევს - არ ელაპარაკება, ნაწყენია ან გაბრაზებული : მაგენმა რამდენი წლის წინ იხზუბეს და იმი მემრე პირს არ აძლევენ ერთმანეთს.

საჭმელს თავი ატკივდა - საჭმელი გაფუჭდა, ამჟავდა : ამ ლობიას თავი ატკივდა ისეგავ, ქაფი აქ და უშნო სუნიც.

საქმიდან პირის დაბანა - საქმის, სარგებელის დაკარგვა : კაი მანქანა მყავდა, მარა ავარია მომიხდა და დევბაი იმ მანქანიდან პირი.

სხვის თვალეზში ნაფოტს ხედავენ, მათსაში ქირიშს ვერა - სხვის მცირე შეცდომას ამჩნევენ და თავიანთ შეცდომას, რომელის უფრო მძიმეა, არ იმჩნევენ.

სული მიცა - გარდაიცვალა : თელი სადამო თავთან ვეჯექ, ხრიპინებდა, ძნელათ მიცა სული.

სული შპება - მძაფრი სურვილი, ძალიან უნდა : გიორგას ბაღვს ვაშლი წავაძლიე და არ მინდაო, მითხრა, არა და სული შპებოდა.

ტირილი ცხვირის წვერზე კიდია - უეცრად, მცირე მიზეზის გამო იწყებს ტირილს: ერთ ხმამაღალ სიტყვას ეტყვი და გადმოყრის კურცხლებს. ცხვირის წვერზე კიდია ტირილი.

ფაფის ორთქლი - ნაზი : ფაფის ორთქლივით არის, რაცხას რომ მიერტყას, ერწამალაი ეტკინება და დუულურჯდება.

ქვა შეიქნია და თავი შუუშვირა - გაჯიუტდა, უარზე შედგა : ბერს ვუთხარ გადართე ტელეფზორი, რაცხა კაი ამბავებს ვუყუროთ-მეთქი და ვერ გადავართვევით, ქვა შეიქნია და თავი შუუშვირა. შაკდა ამხნის ბერი ფეხბურთს.

ქვას და კილდეს ეყურებოდეს - უბედურება ჩვენგან შორს იყოს : თურმე გუმინ ავარია მომხტარა და გადავარდნილა მანქანა, ქვას და კილდეს ეყურებოდეს.

ყური არ გააპარტყუნა - ყურადღება არ მიაქცია : ბაღნებს ვუთხარ, წამოით ჭალა ავწიოთ, არ გაწვიმდეს-მეთქი და ყური არ გააპარტყუნეს, ვითომ არ გუუგონიან.

ყუზას თვალი არ უჩანს - გაფრთხილება, საფრთხე დაფარულია და მოფრთხილებაა საჭირო: ნელა იარე შვილო, ლანქერში არ ჩავარდე, ყუზას თვალი არ უჩანს.

ყურის თხვება - ყურადღების მიქცევა: ჩემ კაცს დავაბარე, ფეჩში პური ცხვება და ყური ათხვე-მეთქი და დავიწყებია თურმე.

შენი ეშმაკები ჩემი გამოზდილი არიან - ვერ მომატყუებ. შენ რასაც ფიქრობ, ის უკვე ვიცი : შენ რანა მომატყვილო, შენი ეშმაკები ჩემი გამოზდილი არიან.

შენი ლაპარიკი ღელი ხუხუნია - საუბარი, რომელიც უშედეგო და უმნიშვნელოა მსმენელისთვის : დავჟდები, ჭკვას ვასწავლი და ღელი ხუხუნია მისთვის ჩემი ლაპარიკი.

შიშით გული გიგვისკდა - ძალიან შეგვეშინდა: იმხელაზე დეიყვირა მასწავლებელმა, შიშით გული გიგვისკდა.

ცხვირი ჩამოკიდა - გაიბუტა : რამეს ვერ გიეხუმრები, რაცხას ეტყვი და იმ წუთას ცხვირს ჩამოკიდავს, აღარ გაგცემს ხმას.

ცხვარს რომ დუმა კიდია, არ კადრულობს - უკადრის, პრანჭია ადამიანზე იტყვიან : ერთი მეზობელი მყავს, ცხვარს რომ დუმა კიდოდა, არ კადრულობდა და ახლა რომ გუუჭირდა, რამე საქმეს აღარ თაკილობს.

ჭიმური ჭამა - გამოცდილება მიიღო და შედეგად ჭკუა ისწავლა: თაზე წასლიხან ვუთხარ ციცას თბილათ ჩეიცვი-მეთქი და არ დიმიჯერა, წამოვდა გაშლეპილი, გეიყინა გზაში და ჭამა ჭიმური.

ხალხს ნატისულაი ადის - ხალხს მატერიალურად უჭირს: იმფერი დროები იყო, საქმელი არ გვექონდა და ხალხს ნატისულაი ადიოდა.

ანდაზები:

აღმა ავაფურთხე ცხვირზე მომხტა, დაღმა ნიკაპზეო - გამოუვალი მდგომარეობა, როცა შენს ნებისმიერ სიტყვას უარყოფითი შედეგი მოჰყვება.

დათვი ტყეს ებუტებოდა, ტყეს ხებერი არ ქონდა - უშედეგო ქმედება, საქმის გაფუჭება მასთან, ვისზეც დამოკიდებული ხარ.

ზორი მანახე, გაქცევას განახებ - გასაჭირი, გამოსავალს გვაპოვნინებს.

თევზმა თქვა, ბევრი მაქ სათქმელი, მარა პირი რომ ავალო, წყალი ჩიმივაო - შეიძლება სათქმელი ბევრი გქონდეს, მაგრამ ვერ თქვა, რადგან ამით ზიანი მოგადგება.

კატამ ხორცზე ვერ უუცდა და ფუ რა ყრალიაო - როცა სურვილი ვერ დაიკმაყოფილე და თავს იმშვიდებ: შარშან შვამთობაზე წასლა მინდოდა და არ წიმიყვანეს. ვითამ იხტიბარი არ გვეტეხე და ვთქვი, კიდე კაი არ წვევდი, სიცივე და წვიმა იქნებოდა-მეთქი, იმ კატასავით ვქენ, ხორცს რომ ვერ უუცდა და ფუ რა ყრალიაო, თქვა.

მეზობელს რომ მუცელი ატკივდება, შენ ხელინა მეიკიდო - სხვისი გასაჭირი უნდა გაიზიარო.

რაცხას შეჭამ, ის შეგჩება - ცხოვრებისგან მაქსიმალური სარგებელი უნდა მიიღო: წაი გეიარე-გამეიარე დედი, სანამ ახალგადა ხარ შეირგე ცხოვრება, რაცხას შეჭამ, ის შეგჩება.

ტოლი ნახე, კოჭი გააგორე - შენს ტოლთან გამონახე საერთო და ესაუბრე.

ამდენად, ჭვანის ხეობის სასაუბრო მეტყველებაში გამოვლინდა არქაული ფორმები: **ალაფი**- პირუტყვის საკვები; **ალიგი**- ადგილი; **ბაგა**- ფიცრებით მოქედილი ადგილი ბოსელში, სადაც პირუტყვის საკვები იყრება; **ნაფუზარი**- ნაკრძალი, ნაფუძარი ნაკვეთი და სხვა.

დადასტურდა ზანური ელემენტები: **ბადიში**- შვილიშვილი; **გოროხი**- ძნელად დასამუშავებელი ბელტი, მიწა; **ჯირეკი**- ხის კუნძი და სხვა.

გამოვლინდა საკუთრივ ლექსიკური დიალექტიზმები: **გადაზავება**- გადაცვენა; **პლაკე**- ქვის ლოდი; **მზისაქციელა**- მზესუმზირა; **შემოცინული**- გამთენიო, ალიონი; **ხუმპალა**- უვარგისი სიმინდის ტარო, რომლითაც პირუტყვს კვებავენ და სხვა.

გამოიკვეთა ფორმები, რომლებიც არ გვხვდება მკვლევართა ლექსიკონებში: **ავალმა**, **გაპერღიალება**, **გაფუზულავება**, **გაბეგლუგება** და სხვა.

მრავლად ფიქსირდება თურქული ენიდან შემოსული ლექსიკური ერთეულები: **ანაი**- დედა; **აბლაი**- ბიცოლა; **გენჯი**- ახალგაზრდა; **დელი**- გიჟი, გადარეული; **დუზი**- მინდორი, ვაკე; **ზენგილი**- მდიდარი და სხვა.

არაბულიდან არის შემოსული სიტყვები : **ბურიუმი** -მოპატიჟების დროს ეუბნებიან ადამიანს; **ევლია**- წმინდანი, უცოდველი; **ეზბედი**- არასდროს; **ვახტი**- დრო; **თახათი**- ძალა, ღონე; **იბრეთი**- სასწაული, საოცარი, საშინელი და სხვა.

დასტურდება სპარსული ენიდან შემოსული ლექსიკური ერთეულებიც: **ახორი** - ბოსელი; **ბელქი**- იქნება, ეგება; **დედეი**- ბაბუა; **ზოვლი**- ძალიან და სხვა.

რუსულის ენის გავლენით არის შემოსული სიტყვები: **კარაოტი**- საწოლი; **კასრული**- ქვაბი; **კასტილი**- ყავარჯენი; **პარახოთი**- ორთქლმავალი გემი და სხვა.

გამოვლინდა სხვა უცხო ენიდან შემოსული სიტყვებიც: **ისკელე** (იტალ.)- ხარაჩო; **სინორი** (ბერძ. თურქ.)- საზღვარი; **სირა-სირ** (ბერძ.)- რიგრიგობით; **ურბა** (იტალ.)- ტანისამოსი.

ასევე აქაურთა სასაუბრო მეტყველებაში უხვადაა ხატოვანი სიტყვა-თქმები: **არ ჩუუვდა კალოშში ფეხი**; **ამჟავებული ხასიათი**; **გაკრა სუნგალი**; **გულის დაღ ამება**; **პირს არ აძლევს თევზმა თქვა ბევრი მაქ სათქმელი**, **მარა პირი რომ ავადო წყალი**

ჩიმივაო; კატამხორცზე ვერ უუცდა და ფუ რა ყრალიაო; ხალხს ნატისულაი ადის და სხვა.

დასკვნები

შეგროვებული მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ჰვანის ხეობის მეტყველებისათვის დამახასიათებელია რეგრესული, სრული ასიმილაცია: დუუძახა (დაუძახა); მუუხვია (მოუხვია); შუუშვირა (შეუშვირა); მიუტანა (მიუტანა); გეეცინა (გაეცინა); მეეწონა (მოეწონა).

რიგ ზმნებში „უ“ ხმოვანი სრულად იმსგავსებს პრევერბისეულ „ა, ე, ო“ ხმოვნებს, რა დროსაც სუბიექტური I პირის „ვ“ ნიშანი იკარგება და ორი „უ“ იყრის თავს. მაგ.: ამუუწონე (ამოვუწონე); დუუყრიდით (დავუყრიდით); შუუტანხმდით (შევუტანხმდით).

დასტურდება შემთხვევები, როცა „ა“ ხმოვანი გავლენას ახდენს „ე“-ზე და სრულად იმსგავსებს: შაანათ (შეანათა); შაახტა (შეახტა).

აქაურთა მეტყველებაში დასტურდება ზმნები, სადაც ხდება ზმნისწინისეული (ა,ე) და ზმნის ქცევის ნიშნის (ი) ხმოვნების სრული ასიმილაცია: გიმილიმა (გამილიმა); დიგვილაგა (დაგვილაგა); ჩიგიშვებ (ჩაგიშვებ); წიგვიყვანეს (წაგვიყვანეს).

დასტურდება ხმოვანთა ნაწილობრივი ასიმილაციის შემთხვევებიც: კტებოდა (კვდებოდა); ქყავს (გყავს); ქჭირს (გჭირს); დევპანტეთ (დავიფანტეთ); ფხარი (მხარი).

გამოვლინდა „რ“ თანხმოვნის დისიმილაციის შემთხვევები: ატარტალეზენ (ატარტარეზენ); ხარხალი (ხარხარი); ერთჯელ (ერთჯერ).

ფიქსირდება ხმოვანთა დისიმილაციის შემთხვევები: გიერთო (გაერთო); დიესიენ (დაესიენენ); ჩიეტევა (ჩაეტევა). ხმოვანთა დისიმილაციის შემთხვევებს ვხვდებით სახელებშიც, მრავლობითის „ებ“ ფორმანტის „ე“ ხმოვანსა და ფუძის ბოლოკიდურ „ე“ ხმოვანს შორის: დლიები (დლეები); საქმეები (საქმეები).

თანხმოვანთა მეტათეზისის შემთხვევებია მაგალითებში: შემბული (შებმული); რეელი (რვეული); ბლენეთაში (ბნელეთაში); მანგალით (ნამგალით).

ხეობის მეტყველებაში გავრცელებულია თანხმოვანთა და ხმოვანთა ბგერათმონაცვლეობაც: ვითამ (ვითომ); მოსამლელი (მოსავლეელი); ლემსი (ნემსი); ყურწში (ყუნწში); ყოლტაშს (კოლტაშს).

დასტურდება აფრიკატიზაციის შემთხვევები: აძანძარებს (აზანზარებს); მიეპაიჯა (მოიპატიჟა); ჭვირთი (ტვირთი) და დეზაფრიკატიზაციის შემთხვევებია: თეხო (თემო); გავასტრათ (გავასწროთ); დაჟდა (დაჯდა).

ფიქსირდება ბგერის დაკარგვის შემთხვევები: მგვალი (მრგვალი); ახალგაზდობა (ახალგაზრდობა); ჭადი (მჭადი); შობელი (მშობელი); მოკდაო (მოკვდაო); გამრა (გამერა). დამახასიათებელია „ლ“-ს დაკარგვა „სახლ“ ფორმაში. მაგ.: წევვით სახში (სახლში).

რიგ ზმნებში „ი“ თავსართთან პრევერბისეული ხმოვნის დამსგავსების შემდეგ ხშირია მისი (ი-ს) უკვალოდ გაქრობა პირველი პირის ფორმებში: გევხარეთ (გავიხარეთ); გევეციეთ (გავიქეციეთ); მევხადე (მოვიხადე).

დასტურდება „ი“-ს დაკარგვის შემთხვევებიც „ვიდ“ ფუძიან ზმნებში: ევდოდით (ავიდოდით); გევდა (გავიდა). „ო“ ხმოვანია დაკარგული ფორმაში : გათხვება (გათხოვება).

აქაურთა მეტყველებაში გავრცელებულია ბგერის გაჩენის შემთხვევებიც: ყველამფერი (ყველაფერი); მემრე (მერე); შეფუთხო (შეფუთო); მილინცია (მილიცია); ურცხო (უცხო); ვეხვერწე (ვეხვეწე); იტყვოდენ (იტყოდენ); ენახვება (ენახება); ჭყინტლი (ჭყინტი); დიგვითოვლა (დაგვითოვა).

ჭვანის მეტყველებაში, როგორც საკვლევი მასალიდან ირკვევა, დაცულია სრულხმოვნობა. მაგ.: კილდეს (კლდეს); კიბილები (კბილები).

ანალოგიის მაგალითებია: „უმფოსი“ (უმცროსი); „თუთხმეტი“ (თოთხმეტი).

ჭვანის ხეობის მეტყველება საინტერესოა მორფოლოგიური თვალსაზრისით. ხმოვანფუძიან სახელებთან სახელობით ბრუნვაში დადასტურდა „ი“ ბრუნვის ნიშანი: ხანუმა-ი; შირინა-ი; ანა-ი; ყველა-ი; ლამბა-ი.

პირდაპირ და ირიბ დამატებებს დაკარგული აქვთ მიცემითი ბრუნვის „ს“ ნიშანი: წამალ (წამალ-ს); კარტ (კარტ-ს); მუხლებ (მუხლებ); სახლ (სახლ-ს); ბაჯანად (ბაჯანად-ს).

ნათესაობითი ბრუნვის ფორმებში ხშირად დასტურდება ბრუნვის ნიშნის თანხმონიტი ნაწილის დაკარგვის შემთხვევები : ოდ-ი (ოდ-ის) კარებს; წიფლ-ი (წიფლ-ის) ქერეჭი; ყავრ-ი (ყავრ-ის) მუხი; ღელ-ი (ღელ-ის) პირზე ; ყავრ-ი (ყავრ-ის) თავზე; ყურ-ი (ყურ-ის) ძირში; თოფ-ი (თოფ-ის) სროლაში.

ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც მოქმედებით ბრუნვაში „ა“ ხმოვანფუძიანი სახელები არ იკვეცებიან და „თი“ ბრუნვის ნიშნის ნაცვლად წარმოდგენილი არიან „ით“ ნიშნით: ლაფერა-ით (ლაფერა-თი); რანდა-ით (რანდა-თი).

ად/დ ნიშნის ნაცვლად ვითარებით ბრუნვაში დასტურდება ათ/თ ფორმა: დაჩაგრულ-ათ (დაჩაგრულ-ად); ლამაზ-ათ (ლამაზ-ად); კარგ-ათ (კარგ-ად).

ხშირია შემთხვევა, როდესაც სახელი მოქმედებითი ბრუნვის ნაცვლად წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვის ფორმით: ადვილაი (ადვილად); ტყვილაი (ტყვილად); ძნელაი (ძნელად).

დასტურდება საკუთარ და საზოგადო სახელებთან „ვ/ო“ ბრუნვის ნიშანი წოდებით ბრუნვაში : რეჯებო (რეჯებ); მევლუდავ (მევლუდ); ჯემალავ (ჯემალ) ; დედიკოვ (დედიკო).

გვხვდება სახელები, სადაც ორი „ე“ იყრის ერთად თავს „ე“ ხმოვანფუძიანი სახელების „ებ“-იან მრავლობითში და მათ შორიდს წარიმართება დისიმილაციის პროცესი, შედეგად ვღებულობთ ფორმებს: კილტიები (კილტეები); კიბიები (კიბეები); დარიებში (დარეებში). დასახელებული მაგალითების ანალოგიით მიღებული ფორმებია: სერიებზე (სერებზე); მთიებში (მთებში).

ზედსართავ სახელს რაც შეეხება, „ძალიან“ ფორმას ენაცვლება „ზოვლი“ ფორმა, „ასეთი“ და „ისეთის“ ნაცვლად „ამფერი“ და „იმფერი“, ხოლო „უფროს“ ნაცვლად „უმფო“ და „იმფო“ ფორმები გვხვდება.

თავისებურებებს ვხვდებით ნაცვალსახელებშიც. „ეს“ და „ის“ ნაცვალსახელების ნაცვლად გვხვდება „ე“ და „ი“ ფორმები, „მაგი“ ნაცვალსახელს ენაცვლება „მაი“:

შენხელა ჭადს ჭამს მაი (მაგი) ფალავანი. ხშირად „ამას“ და „იმას“ ენაცვლება „ამა“ და „იმა“ ფორმები.

„ვინცხა“ და „რაცხა“ გვხვდება „ვილაცა“, „რალაცა“ ფორმების და „ვინ“ და „რა“ მიმართებით ნაცვალსახელების ნაცვლად.

„ამდენის“ და „იმდენის“ ნაცვლად ხშირად გვხვდება „ამდონი“, „იმდონი“.

თავისებურებები გვაქვს ზმნებშიც: „ჰ-“ პრეფიქსის გარეშე გვხვდება III ირიბ ობიექტური პირის ფორმები : **ქონდა** (ჰქონდა); **კითხო** (ჰკითხო); **გონია** (ჰგონია).

„-ენ“ სუფიქსია გავრცელებული „-ნენ“ სუფიქსის ნაცვლად III სუბიექტური პირის ფორმებთან: **დაკიდევდენ** (დაკიდავდნენ); **გაახმოზდენ** (გაახმოზდნენ); **შეინახავდენ** (შეინახავდნენ)

გარდაუვალ ზმნაში მესამე პირის სიმრავლე „ენ-ნ“ სუფიქსებით არის გამოხატული: **მოუნდენ** (მოუნდათ); **ეყოლენ** (ეყოლათ); **გუუტყევებიან** (გაუტყევებიათ); **გამყოფონ** (გამყოფოთ).

„ავ“ და „ამ“ თემისნიშნის ნაცვლად ზმნებში გავრცელებული „ევ“ და „ემ“ თემისნიშნის ფორმები: **დავხაზევდი** (დავხაზავდი); **მოკონევდი** (მოკონავდი); **დიგვისხემდა** (დაგვისხამდა); **ასახემდენ** (ასახამდენ).

„ებ“ თემისნიშნის ნაცვლად „ევ“ დასტურდება მაგალითებში: **დაკიდევდა** (დაკიდავდა); **დაკიდევდენ** (დაკიდავდნენ).

პირველ თურმეობითში „ავ“ და „ამ“ თემისნიშნიანი ზმნები წარმოდგენილია „ია“ დაბოლოებით: **დაურტყია** (დაურტყამს); **დაუმალია** (დაუმალავს).

თემისნიშნიანი ფორმით დასტურდება უთემისნიშნო ზმნები შემდეგ მაგალითებში: **შევატეხევი** (შევატეხდი); **ავჩეხავდით** (ავჩეხდით); **ჩაკბეჩავდა** (ჩაკბეჩდა).

„შე“ და „შემო“ ენაცვლება „შა“ და „შამო“ ფორმები: **შაატანიებდენ** (შეატანიებდნენ); **შამოვდა** (შემოვიდა).

ზმნიზედას რაც შეეხება, ხშირად მიცემითი ბრუნვის თანდებულისანი ფორმები უთანდებულოდ გვხვდება: **ბათუმ** (ბათუმში); **ნაღვარევ** (ნაღვარევში).

„აგზე“, „იგზე“, „აქში“ და „იქში“ ფორმები დასტურდება „აქ“ და „იქ“ ზმნიზედების ნაცვლად.

„მერეს“ ნაცვლად არის გავრცელებული „მემრე“ : მემრე (მერე) ვათვარიელე და ველარ დევნახე. სპეციფიკურია ფორმები: მაშინათველაი; ფეშინათველაი; ხანჯელ; და სხვა.

აქაურთა მეტყველებაში „გამო“ თანდებულის ნაცვლად გავრცელებულია „მგონე“ და „გულობაი“ ფორმები, „თვინ“ ენაცვლება „თვის“ თანდებულს, ხოლო „მდე“ თანდებულს ენაცვლება „მდი“.

გავრცელებულია „დან“ თანდებულიანი მოქმედებითის გამოყენება „გან“ თანდებულიანი ნათესაობითის ნაცვლად; ხიდან (ხისგან), წურუხიდან (წურუხისგან).

კავშირს რაც შეეხება, „მაგრამს“ ენაცვლება „მარა“ და „ამა“ ფორმები, „რომ“ ფორმას ენაცვლება „რომე“, ხოლო „თვარამ/თვარა“ ენაცვლება „თორემ“ ფორმას.

„თურმეს“ ნაცვლად გავრცელებულია „მეგემ/მეგრემ“ ფორმა, სისტემურად არის გავრცელებული „უნდა“ ნაწილაკის შერწყმა სახელებთან და ზმნებთან: ფოთლებინა (ფოთლები უნდა); შეფუთნონა (შეფუთო უნდა); აჭრანა (აჭრა უნდა), ხოლო „კილამ“, „კილამის“ ენაცვლება „თითქმის“, „ლამის“ ნაწილაკს.

ჭკანის ხეობისთვის დამახასიათებელია არაერთი სინტაქსური თავისებურება. გავრცელებულია მსაზღვრელ-საზღვრულთა პრეპოზიციური წყობა: სიხლეთი საქმე; ლამაზი ფუსკულები ; ნადური სიმღერები. იშვიათად ვხვდებით პოსტპოზიციური წყობის მაგალითებსაც: ცხენი მოკაზმული; ხორცი ჩაყავრუმებული.

I და II პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელით გამოხატულ მსაზღვრელს ჩამოშორებული აქვს მიცემითი ბრუნვის „ს“ ნიშანი: ჩემ სიცოცხლეში (ჩემს სიცოცხლეში); შენ თავში (შენს თავში).

სისტემურად არის გავრცელებული შემთხვევები, როდესაც სუბსტანტიურ მსაზღვრელს მოკვეცილი აქვს ნათესაობითი ბრუნვისნიშნისეული „ს“ : გაზაფხული პირი; პური ფქვილს; ღელი პირში.

წინადადებებში, სადაც მსაზღვრელად რიცხვითი სახელია გამოყენებული, მსაზღვრელის საზღვრულთან და შემასმენელთან შეწყობის სამი სახე გვაქვს: მსაზღვრელი რიცხვითი სახელია, საზღვრული მხოლოდით რიცხვშია, შემასმენელი კი მრავლობით რიცხვში დგას; მსაზღვრელი რიცხვითი სახელია, საზღვრულიც და შემასმენელიც მრავლობით რიცხვშია; მსაზღვრელი რიცხვითი სახელია, საზღვრული მრავლობით რიცხვში დგას, შემასმენელი კი მხოლოდით რიცხვის ფორმით არის წარმოდგენილი.

კრებითი სახელით წარმოდგენილ ქვემდებარესთან შემასმენელი მრავლობით რიცხვში დგას : **თქვეს** (თქვა) **ხალხმა**; **ყველა გამეიქცევინო** (გამოიქცევაო); **ყველაი უყურებდენ** (უყურებდა).

გამოვლინდა მაგალითი, სადაც შემასმენელი მრავალცნებიანი კომპოზიტით წარმოდგენილ ქვემდებარესთან მრავლობით რიცხვში დგას: **ცოლ-ქმარი ცხოვრობდენ** (ცხოვრობდა).

დასტურდება შემთხვევები, როდესაც სუბიექტი გარდაუვალი ზმნის II სერიის ფორმებთან დგას მოთხრობით ბრუნვაში: შევდა რეემეთლი **ბაბომ** (ბაბო) ახორში; ალაპარაკდა **ხალხმა** (ხალხი); პაწახანში **ერთმა გუდიანმა ნენემ** (ერთი გუდიანი ნენე) მოვდა ვაშლი ძირში.

რაც შეეხება ლექსიკას, აქაურთა სასაუბრო მეტყველებაში გამოვლინდა არქაული ფორმები: **ალაფი**, **ალიგი**, **ბაგა**, **ნაფუზარი** და სხვა.

დადასტურდა რამდენიმე ზანური ელემენტი: **ბადიში**- შვილიშვილი; **გოროხი**- ძნელად დასამუშავებელი ბელტი, მიწა; **ჯირეკი**- ხის კუნძი და სხვა.

საანალიზო ტექსტებში გამოვლინდა საკუთრივ ლექსიკური დიალექტიზმები: **ავაღმა**; **გადაზავება**; **მზისაქციელ**; **შემოცინული**; **ხუმპალა** და ფორმები , რომლებიც არ ფიქსირდება სხვათა შრომებში: **ავაღმა**, **მორანდვა**, **რაცუნწალა**, **ხირთიმურთა** და **სხვას**.

დასტურდება თურქული ენიდან შემოსული ლექსიკური ერთეულები: **ანაი**; **აბლაი**; **გენჯი**; **დელი**; **დუზი**; **ზენგილი** და სხვა.

არაბულის გავლენით არის შემოსული სიტყვები : ბურიუმი; ევლია; ებბედ; ვახტი; თახათი; იბრეთი და სხვა.

გამოვლინდა სპარსული ენიდან შემოსული ლექსიკური ერთეულები: ახორი; ბელქი; დედე; ზოვლი; ჰამან; ჰემ და სხვა.

რუსულის ენიდან არის შემოსული სიტყვები: კარაოტი; კასრული; კასტილ; პარახოთი და სხვა.

დასტურდება სხვა უცხო ენიდან შემოსული რამდენიმე სიტყვა: ისკელე (იტალ.) - ხარაჩო; სინორი (ბერძ. თურქ.) - საზღვარი; სირა-სირ (ბერძ.) - რიგრიგობით; ურბა (იტალ.)- ტანისამოსი.

გამოვლინდა ხატოვანი სიტყვა-თქმები: არ ჩუუვდა კალოშში ფეხი; გაკრა სუნგალი; დათვი ტყეს ებუტებოდა, ტყეს ხებერი არ ქონდა; თევზმა თქვა ბევრი მაქ სათქმელი, მარა პირი რომ ავალო წყალი ჩიმივაო; კატამხორცზე ვერ უუცდა და ფუ რა ყრალიაო; ცხვირი ჩამოკიდა და სხვა.

ამრიგად, ჭვანის ხეობაში შეკრებილმა საკვლევმა მასალამ გვიჩვენა მრავალმხრივ საინტერესო სურათი, სადაც უამრავი ენობრივი თავისებურება გამოიხატა ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის და ლექსიკის კუთხით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბულაძე ი., ძველი ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1973.
2. ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ, 1949.
3. თოფურია ვ., რედუქციისათვის ქართველურ ენებში, იკე, 1946.
4. მარტიროსოვი ა., ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბილისი, 1984.
5. ნიჟარაძე შ., ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, ბათუმი, 1961.
6. ნიჟარაძე შ., ქართული ენის აჭარული დიალექტი ლექსიკა, ბათუმი, 1971.
7. ნოღაიდელი ნ., ლექსიკური ძიებანი, ბათუმი, 2013.
8. სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბილისი, 1949.
9. ფალავა მ., ცინარიძე მ., ბარამიძე მ., ჩოხარაძე მ., შიოშვილი თ., მამულაძე შ., ხალვაში დ., გელაძე ნ., შიშიკაძე ზ., კარაოძე დ., კლარჯეთი, ბათუმი, 2016.
10. ფოჩხუა ბ., ქართული ლექსიკოლოგია, თბილისი, 1939.
11. ქავთარაძე ივ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისთვის (XII-XVIII სს), I, თბ, 1969.
12. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, თბილისი, 1950-1964.
13. დლონტი ალ., ქართული კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი, 1984.

14. ჩიქობავა არნ., სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942.
15. ჩუბინასვილი ნ., ქართული ლექსიკონი, გამომცემლობა თბილისი, 1961.
16. ძიძიშვილი მ., ფონეტიკური პროცესები ძვ.ქართულში, თბ, 1960.
17. ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, თბილისი, 1989.
18. ჯორბენაძე ბ., ქართველურ ენათა დიალექტები, თბილისი, 1995.

დანართი

მთქმელი: ნუგზარი კილაძე,

სოფ. ნალვარევის მკვიდრი, 52 წლის.

მე ნალვარეველი ვარ, იქ დევბადე და გევზარდე. ბაბუაჩემიც იქ გეიზარდა, დედამისი ინწკირვეთიდან გეთხვა და ერთი წლის იქნებოდა ან იმფო ნაკლების, რომ გამეიყვანა ნალვარევი. იქ გავშენდით ჩვენც.

გაჭირვება დღევანდელთან შედარებით ზათი იყო, მარა იმ დროს ჩვენ ბედნიერი ვიყავით. მაინც რაცხა გვექონდა, ის გვიხაროდა. კოლექტივი იყო, თუთუნის, კარტოფილის ნორმა. მე რომ პაწაი ვიყავ, იმდენი მუშაობა არ მიწევდა. დიდვანები მუშაობდენ და მე ზრუგში მოკუჭუჭანებული მზიდევდენ.

ხიდან გაკეთებული მგვალი სუფრა გვექონდა, ჯორკვები გვექონდა, იმას შამევესევიდით კრუგში, შვაში მაწონი იდვა დიდი ბადიაი ფახირის საინით, მეორე საინში ბეთმეზი გვექონდა და ერთი საინიდან ვჭამდით. ბოლოს სუფრაზე ფუნჩხს მოხვეტავდა დედაჩემი, გაწმინდავდა და დაკიდევდა მის ალიგზე.

ზამთრში ხან იუზს თამაშობდნ ხან იუზუგს. დღით ბაღნები კლასობანას დავხაზევდით, ბილაიჯოხს ვთამაშობდით, კოლტაშის გაქნევა იყო- ქვეიდან გეიქნევდი, ზეიდან გაქნევა არ იქმოდა. ვინცხაი შორს გეიქნევდა, ის იყო გამარჯვებული. ანაი წინდებს ქსოვდა, ტანსაცმელს შიგვიკერევდა და იმა ექცევოდა.

მიწა ცოტაი გვექონდა. ერთი პაწაი საყანე მიწა გვექონდა და ყველამფერ იქ ვრგევდით. ნეკერინა მოგეტება, მოკონევდი და ზამთარში იმას აჭმევდი საქონელს. ზაფხულში ტყეში წევდოდით, ნარცხს, ლეშხს, რაცხა ამფერს მოვჭრიდით და მევტანდით. ღობეზე დაკიდევდენ თელახარშილას, გაახმობდენ და შეინახავდენ საქონლი საჭმელათ. ზამთრში ზათი თოვლი იყო. ტყეში ასულიყავნა, თხილამურინა გქონოდა ილლა. ნიჩაბი, ციგაი და თხილამური თუ ნაღვარევ არ გქონდა, ისე ზამთარს ვერ გედეიტანდი. ზოგჯელ ალაფი არ გვითავდებოდა, წევდოდით ფიჩხს მევტანდით, თოვლში ჩავფლევდით, რომ არ გახმეს ფიჩხმაო. გლახა ამინდში დუუყრიდით, კაი ამინდში ახალ სოჭი ტანებს დავკაფევდით, დავთაკრევდით ახორი კარს და ღამე, დაწოლიხან დუუყრიდით საქონელს.

მემრე მემრე ფერმაში დევწყეთ მუშაობა, 42 სული ბოხრიკების ფერმა იყო. მე რომ მომიწევდა მოსაქმება, მარტვაი დავხვეტევდი, დავგვიდი, წყალს ვასმევდი. ხობოსაც მუაგანვებდი და მოვწველიდი ძროხას. ვიქნებოდი მეხუთე კლასში. მარტვაი გაკვალევდი თოვლს, წყალს დუურუნებდი, ვასმევდი, ძირში გაჩეჩებული თუ რაცხა ქონდენ, იმას უუკრეფდი, ჩუუყრიდი ბაგაში და წამოვდოდი სახში.

გაზაფხული პირი რომ გამოვდოდა, იმდენი ხნის ნაბამ საქონელს გამუშვებდენ და ვერ გეიარდენ. საქონელინა გამუახამო, პაწაი გაანურიო-გამოანურიო, თორემ ვეღარ გეიარებენ ან ზოგი გაკუნტავს და ჰაცხა გადავარდება.

ერთ დღეს ბაბომ გვითხრა საქონელი გამუახამოთო და წიგვიყვანა. დარეა შაღბანა ემიას სახლ იქიიდან და არ გადაზავდნ ბოხრიკებმაო. დავხტით ზოგმა ზეიდან ზოგმა დარიდან. შევდა რეემეთლი ბაბომ ახორში და უუშვა ბერწიშვილები. ახორს კიბიები ქონდა და გამუა ბერწიშვილი ჩეიხლიბვის იგერიქ, გამუა მეორე, წამეიკრავს ფეხს წეიქცევა. თაკარა გაკეთდა ერთმანეთზე. შაღბანა ემიამ იჟდა კიბეზე და კტებოდა სიცილში. მეც დევწყე სიცილი. ფეხს ვერ აბიჯებდენ და კუდით ვაყენეთ მერე და შევბარგეთ უკან.

პური ფქვილს ვერ ვყიდულობდით, სულ ენჩული ჭადს ვჭამდით ჩვენ. არ იყო იმდენი შამოსავალი. ბაბოი ქარხანაში მუშაობდა, სახლი გვექონდა საშენებელი, ვალები. 8 კლასი ნაღვარევში დავამთავრე, იქიდან მერე ჭვანას წვეელ ზათი. ჯარი მევხადე, ჩამუედი და ერთ წელიწადში მევეყავი ქალი.

მაშინ ავატყოფობაც არ იყო განა. მეზობელი გახდა მოსარჩენი და ნამეტარი ჩეიკეტა გზა. ბუქდა, ციგით არ წეიყვანებოდა და თელმა სოფელმა წამოვდა თხილამურით, ნიჩბით. წყლისსაყარში 8 კილომეტრი ჩამუამკლიეს ფეხით, საშვაოებში ცეფი გააკეთეს და ისე ჩამოვდენ. საშვაოში ხელი ხელს მოდებდენ და ისე გეიარდენ. ამფრათ ჩამოვდენ წყლისსაყარ, იქიდან დარეკეს ქალია ცუდათო, მოვდა ვერტალიოტი და წეიყვანეს. მუარჩინეს ქალი. დეიბადა ნუგზარ პავლოვიჩი. პილოტის სახელი დაარქვეს ბაღს.

მწარე მოგონება

ზამთრში თავი რაითნა გეგვერთო და დილიდან საღამომდინ თოვლში ლიჟებით ვცურევდით. ცურვა ვიცოდი, მარა ლიჟები არ მივარგოდა და და ყველაი მასტრობდა. ჩემი გამოთლილი იყო, ჯორხოლაი. მემრე ჩემმა ქირვიშვილმა მაჩუქა კაი ლეკის ლიჟები, გახარებული ამევეტაი სახში, ცოტა წვერები არ ქონდა კარგად ამოლუნვილი, ანაი სობაზე ნარცხ ხარშევდა, ჩავაყობიე წვერები კარგათ და რომ გამეიხარშა, ამეველე და კარგად ამოვკაკვე, გავამზადე მეორე დლისთვინ, კარგათ ქონითაც გავსიპე, რომ თოვლი არ ეიკროს მეთქი. გათენდა და ლიჟები ველარ ვნახე. მეგრემ დიემალეს. კაკალი ორი საათი ვეძებე, ვიტირე, ვინმემ არ გამომიჩინა. მემრე უჩუმარაი ჩემმა უფროსი ძმის ქალმა დიმიძახა, ძიავ მოი აქაო და ყურში მითხრა, აქ არი დამალული და არ გამამჟღავნო, მე რომ გითხარო. თურმე მისთვინ მუუციან დასამალათ და შკაფის თავზე დუუმალაია. დავაშპი და გევექეცი საცურველათ. მააღლა, შერიფასანის გვერდში ცურევდენ ბაღნები და ეველ მეც. ჯიბრობდენ ვინ შორს გევდოდა რაზგონით. მეც შევდექე ჩემ ლიჟებს და დუუმახე, ბაღნებო მიყურეთ-მეთქი. დევეშვი და პირველ გაცურებაზე ტრამპლინზე გუდუუხტი და თან ჩემი ლიჟებიც ჩიესო ცხვირით და ფეხიც მევემტრიე. ადგომა რომ დავაპირე, ფეხი ცალკე ეგდო. ბაღნებს დუუმახე, ჩამოით ფეხი მევეტეხე-მეთქი. არ დეიჯერეს, ქირდათ ვის

ღებულობ ადე ზეზეო. რომ ვერ დავაჯერე, ეხსანა ნენემ დიმნახა ახორი კარებიდან, გამეიქცა და მოვდა, რა ქჭირსო. ვუთხარ ფეხი მევტეხე-მეთქი. მეიხსნა ფეშტემალი და დიმიგო ქვეშ არ გაცივდესო. ბაღნებს უთხრა, ჩაით მამამის დუჟმახეთ ამოვდესო და ციგაი წამეილოს, ისე ვერ წეიყვანსო. ბაბოი წამოდგა და რომ დევნახე, ტირილი დევწყე, შემეშინდა არ მცემოს-მეთქი, მარა აფერი არ უთქმია. სახში ციგით ჩიმიყვანეს. საშინელი ტკივილი მქონდა, ამა ბაბოს შიში მგონე ხმას არ ვიღებდი. მეიყვანეს ერთი ბაშუსტა, მარა იმფერი მოტეხილობა მქონდა, ხელი ვერ წააკარა. მეორე დღეს წიმიყვანეს ციგით და შვიდი კმ მახოხვეს. სამანქანე გზაზე რომ ჩევედით, იქ მასკვიჩში დამაწვინეს და იაღლა ხუცუბანში ხაბაზთანო. ამასობაში ორი სუტკა გევდა და რომ ჩიმიყვანეს, ფეხი გასივდა მორივით. ხაბაზმა რომ დეინახა, პაწაი შიმიხვია ფეხი და ამა ხელს ვერ მოვკიდებ სანამ რენტგენის სურათს არ მომიტანთო. მიმიყვანეს რენტგენზე, ჰექიმებმა რომ დეინახეს, ამას ფეხი მოსაჭარი აქო. მამიდაჩემმა არ ქნა, ჯერ მოვსინჯოთ გირა და თუ მოსაჭარია მერე მოვჭრათო. კილამ მომჭრეს ფეხი, მარა ღმერთს მაღლობა გადავრჩი. მეშვიდე დღეს რომ ხამაი გიდიმიღეს რენტგენი, ექიმებმა თქვეს, კარგად არის საქმეო. იმის მემრე 49 დღე გირა მქონდა, 1 თვე თაბაშირი და მერე სახში იმიყვანეს. თელი ზაფხული მემრე კასტილები. კლასში რომ არ ჩევეტიე მასწავლებლებს, შინ მოდიოდენ და გაკვეთილებ მიტარებდენ. ერთს წიმიკითხავდენ და ვზეპირობდი. რაცხაფერ ჩიმითვალეს ის წელი. ფეხი შემჩა, მარა უზრი დღესაც მაქ დარჩენილი.

ადრე მანქანი გზა რომ არ იყო ჩვენთან, ენჩული ყველას ცხენები გვყავდა. უცხენოთ ცხოვრება გიგიჭირდებოდა. ყანი მოხნიდან დაწყებული ყველამფერ საქმეს ვაკეთებდით ცხენს. ჭვირთიც რაითნა მეეტანა კაცს, თუ არა ცხენით. შეში მოტანა, თაზე აბარგვა, შორე სოფლებში წასასლეღათ. შორე გზა რომ არ იყო, ხულო იყო რაიონი და ზეიდნ ვიარებოდით ცხენებით. თუ დრო დავგჩებოდა პასაჟირსაც ვზიდევდით გურიიდან, ერ ორ კაპეკს ვაკეთებდით იქიდანაც. ჯიბრი იცოდენ მაშინ. ახლა რომ მაშინებზე ეჯიბრებიან მე მყავდეს კაიო, მაშინ ცხენზე იყო მაგფრათ. ერთ სასაცილო ამბავსაც მოგიყვები, მე და მემეღა ემიას დეგვემართა. პაწაი ვიყავ, ბაბომ

ყართოფაი მომიკოჭა გასაყიდათ და გამაყოლა მემედა ემიას. მაშინ გიდელაში გზა არ იყო და კილდიები იყო. პაწაი გაწარბული გზა იყო, კაცი კაცს ძლივს შუუცილდებოდა. წინ მემედა ემიაი მიდიოდა, უკან მე მივდევდი ცხენით. გიდელაში რომ ჩვედით, მემედამ მითხრა, ჭო აქ ზოვლი უშნო კაპანია, აგზე მეიცაი, ჩემ ცხენს გეყვან დავაბამ და მემრე შენსასაც გაგაყვანიებო. მეც გავჩერდი მოსახვევთან და ვუყურებ. ნელ-ნელა ჩაკიბა და წევდა. ერთი გევხედე რომე ამ ცხენს უკანაი ფეხები გუუსლიპინდა და მემედა ემიაი ეკიდება ავშარაზე და ყვირის ღმერთო მიშველეო. მახანში ავშარაც გაწყდა და ამ ცხენმაც ბარხლი-ბურხლი წევდა თავდაღმა, კილამის მანაც გადაყვა. რალას დეეწევოდი, ცალკე ცხენი მიგორავს, აქეთ ყართოფები მიბრიგინებს. ახლა მემედა ემიაი გააჩინა ყვირილი -ღმერთო გეიწი არ დეგეტაკოსო. ცხენიც და ყართოფაიც რომ ჩააწია ლელეში, იგირის უყურებდა დამყდარი. გადილხორებული ჩააგინა შით, აღარც თექალთზე ჩასულა და აღარც ცხენზე. მეიტაი ღმერთო კასრულაი, შენი იყოს მაი ყართოფაიც, ხარშე და ჭამეო. მე სიცილი მგონე წრიმალეები და მუცლი ქერეჭები მეწვოდა. მოვდა და მითხრა, რემზო წევით სახში, თვარა ამ ნაწვიმარზე შენ ცხენსაც გადავაგდებთ თავდაღმაო და წევით სახში. მე დემემუქრა, ბირემედენი არსად გამამყდავნო ამფერი რომ დემემართა, თვარა დაგარჩობო. ჩემ გამყდავნებამდი მან გაამყდავნა ამფერი სიბლაყვე დემემართაო. ხანჯელ გამახსენდება და მეცინება. ახლა რა უნდა. იმფერი ხიდი ააშენეს, რომ ორი მანქანა გეიარს ერპირაი.

მთქმელი: ასია გოგრაჭაძე,

სოფ. ახალდაბის მკვიდრი, 94 წლის.

ხატიჯე ხანუმის ზღაპარი

ხატიჯეი ბოროტი იყო, ყავდა ერთი საკუთარი შვილი და ერთი ოგოიოლლი. მისი ოგოიოლლი იყო ზისუნახავი, კაი გოგო. ამ გოგოს ელჩები მოვდენ და ხატიჯემ უთხრა, რომე მე ის გოგო აღარ მყავს, მოკდაო. იმიტომ მუატყვილა, რომე ლამაზი იყო და მისი ციცაი უშნო იყო. ი გოგო მოკდა, აღარ მყავს და მიორე მყავსო, თუ გინდებან გამოგიყვანთ და დაგანახვებთო. დუუშალა ხელი ოგოიოლლს, არნა გეეთხვებია,

მისინა გეეთხვებია. ამასობაში ერთი დედაბერი გამოვდა მეგრემ გარეთ და ყველამფერი გეიგონა.

სასახლეში მიერე დღეს ზეიმი ყოფილა და დედინაცვალს არ უნდოდა ზის უნახავის წაყვანა. გეიტანა ეზოში მეგემ და ქერი დააპნია დედინაცვალმა, პური კაკალი დააპნია და ესენი ყველაი მოკრიფე, მუალ არცეთი არ დამხდეს აგზე, თორემ ოდი კარებს ჩიგიკლიტავ და ველარ გახვალ ვერსადო. ფეხ თუ გაადგამ გარეთ, ქცემ და იცოდეო. ახლა დაჟდა ციცაი და დეიწყო ტირილი, რაფერნა მოვკრიფო მე ახლა ესაო. ამასობაში იმათ ზათი წევდენ და დედაბერმა მივდა თურმის და კითხა- რა გინდა შვილო, რატომ ტირიო? -დედინაცვალმა მითხრა, რომე ქერინა მოკრიფო, პური კაკალიცნა მოკრიფოო და რანა ვუქნა აგერამასო. წადი იგზე საცერია და მომიტაი ახლაო, დედაბერმა უთხრა მეგემ. წევდა, საცერი მუუტანა, მოხვეტა, გუუცრა, ტომარაში ჩაყარა და ე აპაო, არ თქვაო, ახლა ჩედიო სახლ ქვეშაო დიდი ბურაყიაო, იმ ბურაყში ურბაა ჩაწყობილი, ჩეიცვი და წადი ზეიმზეო. პირზე გადმეიხურე, რომ არ გიცნანო.

ეიდა ამ გოგომ პური კაკალი, იგინი მიაკალიბა ვითამ მოკრიფა. ჩევდა რომე დახდა ცხენი მოკაზმული, მორთული, ლამაზი ფუსკულები ქონდა შემბული, ჰეგბა გადაკიდული და შით თული-თული ურბა ჩაწყობილი. ირჩია, ირჩია და რომელცხაი რომ მოწონდა, ის ჩეიცვა, თმებიც დეიბარცხნა და მიემზადა. მაშინ ლაპარიკი ყოფილა ძველათ და ცხენმა უთხრა - ჰაიდე წევდეთ ახლა, რომე მალე დეიშლება სეირობაო. ამათ წევდენ თურმე და რომ მუუახლოვდენ, გამოვდენ ხალხი გარეთ და იძახეს, ხანუმაი მოდის, ზის უნახავი მოდისო. რა იციან ხალხმა ვინ არი. ამ ციცამ მიაჭენა ცხენი და მივდა. დიესიენ ხალხი, ჩამეიყვანეს ცხენიდან და ყველაი ამას უყურებენ. ვინმე აღარ უყურებს დედაბრის ციცას.

ახლა რა ქნას? ეფეიჯა ხანი დარჩენ მეგრემ და მემრე თქვეს ხალხმა, ახლა დევპანტოთ, წასლის დრო მუაწიაო. გოგომ იფიქრა, მეგენი დემეწევიან, ახლა ვიტყვი, რომ მე მივალ და მომიყვავით ჩემი ცხენიო, შორი გზიდან მოსული ვარ და ანჯახ ჩავაწიო სახშიო. მივდა სახში, საჩქაროთ გეიძრო ურბები, ჩეიტანა ცხენს უნაგირი გადაკიდა, ჩაყარა ურბები და ი ცხენი გაქრა. მარტო იმ ციცას ენახვება, სხვას არვის

არა. პაწაი ხანი გევდა, მივდენ მეგრემ დედინაცვალი და მისი ციცი და ეს ვითამ კრიფავს პური კაკალს.

ზისუნახავი ცხენს რომ მუაჭენებდა, მეგრემ ტუფლი გაძრა, მარა არ ჩამოვდა, დემეწევიან და იყოს ეს აქა გზაშიო. ამასობაში მივდა ზათი სახში და ბიჭმა ნახა მეგემ ეს ტუფლი. დეიკავა ეს ტუფლი ხელში ბიჭმა და თქვა, ამ ტუფლს მე ახლა წევლებ და ვინცხას ჩიეტევა, იმას ვითხოვ ცოლათო. მოვდა ზის უნახავის სახში და დედინაცვალმა მაშინათველად დამალა ეს გოგო და მისი გამეიყვანა.

-ზეზიავ მაი არ არის, სხვა ციცი გყავს კიდევ.

-მე სხვა ციცი არ მყავს, ეს მყავს მარტვაი.

-რაფერ არა? სხვა ციცი გყავს. მაშინ ჩააცვი ეს ტუფლი და წევყვან.

-ეს ციცი იშდა.

ჩააცვამს ტუფლს და ჩამოთლის ქუსლს თურმე. ეიდა შეხედა ბაღვმა, რომე სისხლი მოდის ციცას ფეხებზე.

-რა არის ეს? სისხლი მოდის.

-იტკინა, იტკინა.

-არ უტკენია, ფეხი ჩამოგითლია. არ ეტევა აქში მაგის ფეხი. არ მინდა მე ესა, სხვა გოგო გამომიყვავი, სხვა გყავს შენა.

იქითკენო, აქეთკენო. რაცხა წაკინტლულან და ზისუნახავს რომ ელანდებოდა, იმ დედაბერმა მოვდა მეგრემ და დუუძახა ზისუნახავს, გამოი და დეენახვე ამასო. დედინაცვალი ამბობს- ეს ყოფილა თუმე მილლეეთმა რომ ფეხზე ადგა და ჩვენ რაცხა პური მელაიქი გვეგონაო. ამასობაში შეჟდენ ცხენზე ეს გოგო და ბიჭი და გაფრინდენ.

ვინმეც არ გაბეჭტეს, ჰაიდან დეისტავლა ამ ნენემ ეს ამბავიო.

შუამთობა

შუამთობა იწყობოდა აგვისტოს პირველიდან. ყველას, ვინცხას საშვალეობა ქონდა, წევდოდა თაზე. იქ მემთევრები სულისიმწრით ელოდენ მეშვამთევრებს. ბარიდან

რომ წებვიდოდი, ხილს, ტკბილეულობას ჩიგიყრიდენ და გაგატანდენ თაში. ხელცარიელი ვერ ახვიდოდი. მაგ დროს თაზე, რაცხა ყაიმალი ქონდენ მოჭუჭკვილი, იაღს მორეკავდენ. იმფო მეტად საშვამთევროდ ასული ახალგაზდა ქალები ეხმარებოდენ მემთევრებს იაღის მორეკვაში, იმიტომ რომ იაღს ზოვლი ბევრი საქმე აქ- ჯერნა მორეკო, მემრე იმდენჯერნა გარეცხო სანამ ნარეცხაი წყალი წყაროს წყალივით სუფთა არ გახდება. ხანჯელ გუუფუჭდებოდენ მორეკილი იაღი, კაი გარეცხილი რომ არ იქნებოდა.

იმა გარდაი საქმიეზი კიდე ბევრი იყო ზათი, მარა სეირობაც ბევრი იყო. ცეკვები, სიმღერები, დანიშნულებს ამეიყვანდენ. იქ ჭამა-სმაც მიდიოდა, გედეიპაიჯებდენ ერთმანეთთან ხალხს. ბაისახანია აღარ ყოფილა ძველებური მხიარულობა, რა დამავიწყებს იმ დღებს. რომელცხა მემთევრთან რომ მეშვამთევრე არ ამოსულიყო ბერემედენი, ის მემთევრი დაჩაგრულათ ითლებოდა. სწუმარი უყვარს მემთევრს, მარა იმფერი მემთევრებიც იყვენ, მეშვამთევრე რომ არ უხაროდენ. უხდურს გამოჭამენო და ბარში რანა ჩეცტანოო, იტყვოდენ. მაქვერ მემთევრზე პივით სადღეგბელოს იტყვოდენ :„იმ მემთევრს გუუმარჯოს, რომელცხაი მემთევრიც საშვამთევროთ ამოსულ ბადიშებს წურუხით ნაღბიან ჭადს გამუუცხოზს“. წურუხიდან გაკეთბული ჭადი არ იყო გემრიელი. კოცონებს დაანთობდენ, ბაღნებს დაჭედევდენ, ერთმანეთს შაირებს ეტყვოდენ. ამწახანებაი გაზარმაცდა ხალხი და აღარ არის იმფერი მხიარულობა. ზენგილი მეშვამთევრე ვინცხაი იყო, საკლავსაც დაკლავდა. სერიებზე წევდოდენ და სურათებს გედეიღებდენ. ენჩული კონცერტებიც ტარდებოდა. ენჯამი მეიშვამთევრებდენ და ჩამოვდოდენ ბარში სამსე გვარდაებით.

მემრე იწყობოდა სიხლეთი საქმე, ჭალობა. იმ პაწა ზაფხულში იმდენი ალაფინა მოგეჭუჭკვა, 7-8 თვეს ზამთარში ყოფნოდენ საქონელ. ცალკე კოლექტივისთვინნა დეგემზადებია ცალკე კიდევ შენტვინ. სოინი მუუსტრა დრომ და დეინგრა კოლექტივი. თლათ საიეთები და ჭალები გაკერძოვდა და ზოვლი კაია.

მთქმელი: იზმიანი ტაკიძე,

სოფ. ჭვანის მკვიდრი, 90 წლის.

უწინ დეიჭუჭკოდენ ხალხი ვახშობიხან, ავიდარში, ბუქში, ამოვდოდენ. იქ სეირობდენ და ახლა რომ ჩურჩხელებს უმახიან, წინ წინ ქუმას უმახდენ მაგას. ხალხი იმას აკეთებდა. ნიგოზს დატეხევდენ და აასხემდენ ძაფზე. მემრე ფაფას გავაკეთებდით და ამოვფაფევდით. თამაშობდენ კუტი ლამბაზე და ვინცხაი წააგებდა, ის იყიდდა და ჭამდენ. ამფერი დრო იყო უწინ, გაჭირვება იყო, აფერი არ იყო ქვეყანაზე. კალოშიც არ იყო, რომ გეყიდა და ჩეგეცვა. ვინცხაი რომ ძროხას დაკლევდა, უჩერეთი დადგებოდა. ეყიდენ უნდა ტყავი და ქალაბანი შიეკერეს, ჰა ნახავდი აბა. მაღაზიებში აფერი არ მოდიოდა. ი ხომ ყველას არ მუუწევდა, ერწამალაი დეილევოდა. ზოგი პაკრიშკებ ყიდულობდა და რიზინა ქალაბნებ შეკერევდენ და ჩეიცვამდენ. საჭმელიც უჭირდენ. საქონელი ყავდენ ბევრი და ამით პაწაი ცხოვრობდა ხალხი. პურს ჰა ნახავდი, არ იყო. რაცხა ვინცხაი თუ რაცხას იყიდდა შავ ფქვილს, იმას აართმევდი და ხმიადს დააკრევდი. ყართოფაიც არ იყო, რომ გეგეკეთებია და გეჭამა. ფქვილიც არ ყოფნიდენ და ნახევარზე შიერი იყო ხალხი. წიფლი ქერეჭ ჭამდა ხალხი. გაამრობდენ წიფელას ტყავს, დანაყევდენ და იმა ჭამდენ. საცოდვავათ ცხოვრობდა ხალხი. ჭყინტლი რომ მოვდოდა, იმა დავფშნიდით, მაშინაში გამოვხტიდით და ჭადს დავაკრევდით, ყართოფაი თუ გვქონდა ჩუურევდა ანაი. უწინდელ დროს არც სინათლე იყო. ამფრათ გადიოდა ხალხი. ებბედი არ დამავიწყდება ის წვალეზა.

ზამთარში სახში დამჟდარი და საქონელ ვუარებოდი. აფერი არ იყო გასართობი. მატყლ ართევდი და ქსოვდი. მასი დადგება წებვალ თაზე და ეხვალ, საქონელ წეიყვან, იაღს გააკეთებ, ყველს, ნადულს მუადულებ, ბოსტან დავეთესავთ, ყართოფას ვრგავთ.

შვა მთობა ახლა იმფო იციან, მოდის ხალხი. იმდონი მაშინაი ბათუმ არ იქნება, იქ რომ მაშინაი ამუა. სეირობენ, ღამე კოცონ ანთობენ, სამობენ და არიან.

რომ გევეთხვე, გაჭირვება იყო, გაწამაწიაი, ბევრი სული იყო სახში. გზითვები რაით მეყიდა, ფარა ჰად იყო. როიცხა მაღაზია ეიმსო, მაშინ ვიყიდე კარაოტები და ტუკი ბამბები. მევტაი და წყაროთას აბლაი მყავდა მე, ჩამევეყვი ისა და იმან ლოგინები გიმიკეთა. ერთპირაი ეიმსო ყველამფერი. მაშინ რომე მანათი მიეტყვილებია ნოქარს,

საღამომდე ეშინოდენ, რომე ბირემედენი არ გამასაჩივროს და არვისთან თქვასო, ახლა ხელებში გართმევენ.

ახალგაზდობა ადრე იმფო კაი იყო. ახლანდელეები რას აკეთებენ ხებერი არ აქვან, ჰა მიდიან ხებერი არ აქვან. მაშინ შიში მგონე კოლექტივი თუ ნებას არ მოქცემდა, ბათუმ ვერ წეხვიდოდი. ამდენი კლელობა ჰა იყო მაშინ, რაფერ მოკლევდი კაცს. მანათათ ბათუმ ჩეხვიდოდი, ამოხვიდოდი, სასუქ ეზოში მოგიტანდენ, დიგიყრიდენ. ჰაზირი კაი იყო. ფერმაშიც სამსე იყო ყველამფერი.

ახლანდელ ძლობას რა უნდა. ახორში არ შეხვალ, მარიფეთი აღარ არი. უწინ სახში უფროსებს ვერ დეველაპარიკებოდი, მუნჯივითნა ყოფილიყავ, უკან უკან დავდიოდით, თემნებს ვაკეთებდით. მაამთილთან და უმფოს კაცებთან ვერ დაჟდებოდი და ვერ ჭამდი, იმფო მეტი რიდი იყო. ზარეველობა ჩემზე არ იყო. მაზლის ქალი მყავდა და ის აკეთებდა. ის დგემდა, ის წევდა, ის იყო უმფოსი. გოდორს ვზიდევდი, საღამომდე ჭვირთში ვიყავ შებმული. ათ გოდორ თუთუნ შევატეხევდი და იმა დაცხუნებამდი ამოვზიდევდი. მემრე საღამომდე ვასხემდი ჟვერს.

ფუტკარი

ფუტკრი ძნელაი მოსამლელია, თვარა მე რასძალა მინდოდა გემეშენებია, მარა ვისდა მიევლო, იმა მოვლა და ყური თხვება უნდა, ჩათინი მოსავლელია. ზამთარში სიცივეს ვერ უძლებს, შეფუთნონა. გამოსული დადგება, დათბება გამოდის გარეთ და გარბის. იმასნა მიმოდო, ყური ათხვო, ცო. ბევრი ამბავი აქ ფუტკარს, თვარა აქამომდი ასჯერ გავაშენებდი. და ამი გულობაი არ მყავს. ვისდა ეთხვებია ყური. აგერ ძროხას რომ გამუშუვებ და დააბამ იმფერი არ არი ფუტკარი. მე თიდან ჩამუედი, გევედი აქ ლელეში რომე ჯირეკზე დახვევლია ფუტკარი. ვინცხადან გამეიქცა, ვერ დააბრუნა და ჯირეკზე დახვევლიყო. ჩემ კაც ვებნევი, მუხამედავ რაცხაში ჩავყაროთ ე ფუტკარი, ბოილე შოილე, ყური არ მიცა აფერი არა და ორ-სამ დღეს იყო იქა. მემრე ვათვარიელე და ველარ დევნახე. იმა მისი დედო ახლავს, რაფერც უმფოსი კაცი წიგიძღვება და წიგიყვანს, იმფერია მაი. ბელქიდა მემრე მოვდა და წეილო ვინცხამ, არ ვიცი.

ბარსამ ტყეშიც აქვან შემოდგმული სკები. ეიდა ესომ, გარბის ჰაცხა ნახულობს ადგილს, იქში შედის. იმა მემრე პატრონობს ვინცხაი, იქ ჰომ არ ტევს. აგერ რომ

შენიდან ფუტკარი გამეიქცა, ერთათ შეკრული იარება ფუტკარი, გევდა იგერ რომ ნახა სკა, მარა იმ სკაში რას იქმენ იცი? იმაში შერბეთ წყალ ჩაასხამენ, რომე ი ფუტკარი მივდეს და დაჟდესო. ეამება და მემრე შავა სკაში. მანამდე არ შავა იქში. ყვავილი რომ გამუა ყველამფრის, ფუტკარმა მაშინ იცის გამოსლა. ყველამფერ ეტანებიან: იელის ყვავილი, შკერის ყვავილი, ისე ყვავილი. იელი ყვავილს რომ ჭამენ, იქიდანა თაფლი მაწყენარი. იელის ყვავილს რომ წრუწნის, იმის თაფლი მაწყენარია.

მთქმელი: შოთა კილაძე,

სოფ. ნაღვარევის მკვიდრი, 58 წლის.

ცხოვრებისეული მოგონებები

ჩემი ბაღნობა სულ თაზე ვიყავ. ჩვენ ჩვენი ქობი არ გვქონდა და სხვის ქობში ვიარებოდით, რამიზა ემიას ქობში. ტყის ველას ძველი ქობი გვქონდა და მემრე ის გევტაით და გადავდგით მერიაყელში. საქონლისთვისაც კაი იყო და ისეც ჯუმბუშლი თა იყო ბაღნებისთვის. პაწაი ვიყავ და საქმე მეზარებოდა, დილიდან საღამომდე ვნახსობდი. კილდიებზე დავძრებოდი, ხან იალუმზე გევქცევოდი სათამაშოთ. პაპიროსს ვუფლაკუნებდი ბაღნობიდან. ერთჯელ უსტიები გვყავდა, ქობს რომ ვაკეთებდით და მე წასული და კარტ ვთამაშობდი. მეგემ მუხი დიელიენ და ბაბოი მეძებს გამწარებული და ხელში წყლუპიც უჭირავს. სოინი მიმაგნო მაჭახლელ ბაღნებთან, კარტს ისე ზოვლი აზარტით ვთამაშობდი, რომ მეგემ ბაბოი მოვდა, პაპიროსი პირში გამოჩრილი მქონდა და ვერ ვხედავდი. იმ რეემეთლიმ მიცადა, მიცადა მეგემ ბელქი გადააგდოსო და რომ აღარ იქნა მითხრა: მაი ჩემი ნაგაზი აღარნა გადააგდოვო? რომ შევხედე და ბაბოი იყო, ერთი დაბნედა დევბნიდე კილამ, გული ნასკებში ჩიმივარდა, მეგონა გიმინათებს ახლა სახეში-მეთქი. მითხრა, ჰაიდე წამოი სახში, საქმე მაქო. რომ წეველ, ბაღნები გამომეკიდენ უჩუმარაი, ახლა ცემს და ვისეიროთო. შიშიფაფარაი მიველ სახში და თითი არ წუუკარებია. მითხრა, მუხი დიელია და საჩქაროთ ბარში ჩაი და ყავრი მუხი ამეიტაიო. ქირაში წაღან რომ პირში რაცხა გქონდა არ ჩიგიშვებ ჰადმეო. გუნებაში ვთქვი, შენზე ზოვლი ვისიდანნა შემცხვეს-მეთქი. რომ გუუყარე ვალინკი ნაჭრებში ფეხი და მოვწიწინდი, ნახევარ

საათში ბარში ვიყავ. ვიყიდე მუხი და ერთ საათში ისევ თავზე ეველ. რომ გამახსენდება ის ამბავი, დღესაც მაკანკალებს. მაშინ რიდი იყო ჭო.

მაღიანში ვიყავ ხისიმებთან ასული, ვინახსეთ საღამომდინ, ჯოხი ბილი ვითამაშეთ, ერწამალაი დაღამდა. მემრე გაგვახსენდა, რომ სახში ჩასასლელი ვიყავთ და წამუელთ სახლისკენ. ჭოლოს სერზე რომ გამუედით, ჰამან დღე და ღამე იყრებოდა. იქ ბევრი მეზოლოლებია და რომ მუაწიეთ, ჯერ თლათ დაღამებული არ იყო. ერთი დიდი მეზოლოლი იყო ჩამოსხმული გზის გვერდზე და იმ მეზოლოლზე ერთი თეთრ წვერაი, ყაბალახიანი დედეი იჟდა და თუთუნ ეწეოდა. დიგვიძახა, მოით ბაღნებო აქაო, ვისი ხართ ბაღნებოო. ჩვენც ვუთხარით ვინცხაი ვიყავით. მაგათ ვერცეთ ვერ ვიცნობ, ძველი დედეების სახელები თუ იცით მითხარითო. ჩვენც ვუთხარით და მემრე მიხტა. აა მაგათ ვიცნობდიო თქვა, კაი ბიჭები ხართ, წაით ახლა არ დიგიღამდენო. წამუედთ და ცოტა შიშმა მოგვწია გულში. 10 მეტრო რომ გამუედით, მივხედეთ უკან და რაღამ მოქცა დედეი. ვინმე აღარ იწვა იმ მეზოლოლზე, გაქრა. მემრე თლათ გული გიგვისკდა შიშით, მივხტით, რომ მოგვეჩვენა რაცხა. იმდენათ ბაღნები ვიყავით, რომ ვითამ პალტოები გამუაბრუნეთ და ისე ჩეცვით, კიდე რომ შეგვხტეს ვერ გვიცნობსო. სირბილით გამევექეცით საში. სახში რომ შევცვინდით, ოფლში ვიწურებოდით, კიღამის გული ამოგვასკდა. ნახევარი საათის გზა ათ წუთში გევიარეთ. დედემ გვითხრა, რა ქჭირან, გელები ხომ არ გამოგეკიდენო. მუუყევით ჭოლოს რაცხა დევნახეთ. დედემ გვითხრა, ზუსტათ მითხარით რაფერი დედეი იყო და რომელი მეზოლოლი იყოო. ჩვენც ზუსტათ მუუყევით გარეგნობა იმ დედესი და მეზოლოლის ალიგიც. იმ წუთში იცნა დედემ და თქვა მაი ცხონებული წილოსანი ბერსელა მუხამედაი ყოფილაო, ოცდაათი წელია კტარიაო. გინდებან დეიჯერეთ, გინდეან არა. მართლა დევნახეთ.

მერიაყელიდან ერთი საათის სავალი გზა იყო სერა-სერ ფეხით, ეხვიდოდი და წუწუტა სერზე იყო ტბა, შეიდი ტბას უძახიან. ადიოღია ხალხი ზოგი სანახავათ, ზოგი სალოცავათ. ამბობდენ, იქ ლოცვა მაღლიაო. ტბასთან ახლოს სამი მეზოლოლი

იყო, იტყვოდენ რამდენ ქვას ეიტან და იმ მეზოლოლზე დაამატებ, იმდენი მადლი დეგეწერებო. ყველა ამსლელს აქონდა სამი-ოთხი ქვა, შემღებისდაგვართ.

ერთ გაზაფხულზე, თოვლი რომ აშრა და ხალხი თაზე ეიბარგა, ევდენ შეიდი ტბაზე სალოცავათ და მეზოლოლები ამოთხრილი დახტენ. ერთი ისევ წიეფარებიეს და ორი ღია იყო. შით თიხის დერგის ნატეხაები იყო. მეგემ მეზელოლი კი არა, ოქრო დუუმარხია ვინცხას. ვინ იცის რამდენი წლის იყო. მემრე ალაპარიკდა ხალხმა შარშან რომ თიდან გადმევბარგეთ, იმ ხანებში ვინცხაი ურცხო კაცი იარებოდა ცხენითო. იქ ყველა თიებიდან იარებოდენ სალოცავათ, მარა მაი კაცი ვინმეს დანახული არ ყავდა. ჰალბათ იმ კაცმა იცოდა, მოთხარა და წეილო ი ოქრო. ერთჯელ თხილვანას ტირილში ვიყავ წესული და ღამე ერთ ისტორიკოს კაცთან დავჩით, კაი მოლაპარიკე კაცი იყო. იმან გვკითხა ჰაიდან ხართო და ნაღვარევი რომ ვუთხართ, მაშინ მოგვიყვა იმან ამფერი ამბავი - ჩემი აზრით, თქვენ კუთხეს ბევრი ოქრონა იყოს დამარხულიო. რომ შევეკითხეთ ოქროს იქ რა უნდა, ხალხს ნატისულაი ადისო, იმან გვითხრა, ძველ დროში თავადები რომ იყვენ, ისინი ზოვლი ზენგილები ყოფილან. დრო რომ შეიცვალა და სხვა თავრობა მოვდა, ამათ უუკიდიან ცხენებზე და ჯორებზე ეს მათი სიმდიდრე და გაქცევლან გურიისკენ სერა-სერ. გზა და გზა შიმშილით და დაღლილობით და არ ვიცი კიდევ რა მიზეზის გამო უკდებოდენ თურმე სახედრები, იმდენ ჭვირთს ზრუგით ჰომ ვერ წეილებდენ, ამიტომ ადვილად დასამახსოვრებელ ალიგებზე, მთიებში მარხავდენ ოქროს და ერთი ამფერი ადგილი შეიდი ტბა იყო, ამას ახლა ვფიქრობ მე. იქ წყალი როისმე არ აკლდება და არც ემატება, ზუსტად იმ მარშრუტს ედრება, რომელიც იმ ბერმა მოგვიყვა. ამბობენ, ჰაცხა პერანგას სერზეცნა იყოს დამარხულიო, მარა არ ვიცი ვინმემ ნახა, არ ვიცი წაშლილია. იმი მემრე ჰაცხა უპატრონო მეზელოლს დეინახავდენ, იმახდენ ნეტაი ამაშიც ოქრო ხომ არ არისო.

მუხამედ ტარიელაძის ამბავი

ტელეფზორი კიარა, რადიოც არ გვექონდა, იმფერი დრო იყო. ხან რა გასართობს მეიგონებდენ და ხან რას, ერთი ამფერი იყო ყოლტაშის სროლა. ნიზლავზე თამაშობდენ. ვინცხაი შორს ისრიდა ყოლტაშს, ის იქნებოდა მაგარი ბიჭი. ყველაზე ძლიერი ამ თამაშში დურსუნ ტაკიძე იყო, მარა სხვებიც იყვენ ძლიერები, მუხამედ

ტარიელაძე. ერთ დღეს მუხამედაი კაცების ერთად ქობმახთან იყო ჩამომყდარი და ლაპარაკობდენ, სამმა თუ ოთხმა კაცმა ქობი წამოწიეს და მუხამედას მოსასხამის ერთი ყური ქობ ქვეშ მუშუმწერიეს. ან ქობინა წამიეწია ან მოსასხამის გამრობა მუშუმწვიდა და ამით მისი მაგარი კაცობა წასული იყო. ამათ ყველამ წევდენ და ვითამ შორიდან ცავდენ, რას იზამსო. მუხამედას თავიდან გუჟჭირდა, მარა მაინც წამოწია ქობი და ნიშნათ ხის პაწაი ნაფოტი შამუუდვა ქობს ქვეშედან. ამა გარდაი კიდე გაგონილი მაქ, დეკემბრი თვეში ინწკირვეთიდან ათი-თორმეტი კაცი მგელს გამოკიდებია და თოვლიც რასწალა დიდი ყოფილა. წყალსაყრის ღელეში რომ ჩამუაწიეს, მგელმა ღელეში გადახტა. კაცები ყვიროდენ, გვიშველეთო. ცენტრში ხალხი იყო და მუხამედაიც იქ ყოფილა. რამეს არ შუშუმინდებოდა, გადამხტარა ღელეში, მუუხჩია მგელი და შამუუგდია გზაზე. ამ ყველამფერს რაიონიდან თავრობის მომაგრებული კაცი შიესწრო და და მეეწონა მუხამედას გამბედაობა, უთქვამს, ამ კაცს წრევანდელი გადასახადებიდან ვათავისუფლებო. ამფერებიც ხტებოდა ჩვენ თიებში.

ერთმა ბაბუამ 1800-იანი წლების ამბავი მომიყვა. სოფელ კოროჭში ერთ გლეხს ორი ბაღვი ყოლია, გოგო და ბიჭი. ხულოს რაიონში, სოფელ რაგვთაშიც ერთ გლეხს გოგო-ბიჭი ყოლია. ჰოდა ეს რაგვთელი ბიჭი წასულა კოროჭში გოგოს მოსატაცნათ. ეს გოგო ზოვლი ლამაზი ყოფილა. ეს ბიჭი კოროჭში რომ ესულა, გოგოს ძმას ეს რაგვთელი ბიჭი მუუკლია და დანარჩენები გაქცევლან. ამის გამო ამ ორ სოფელს შორის მტრობა ჩამუარდნილა. ბოლოს მოხუცები ჩამდგარან საქმეში, მორიგება უნდოდენ. ჰოდა ერთ საღამოს ამ კოროჭელმა გლეხმა მის ბიჭს თოკი მუაბა კისერზე და რაგვთაში ვინცხას რომ ბიჭი მუუკლა, იმ კაცთან მიიყვანა. ღამე დუუძახია და უთქვამია, ჩამოი და შენ მტერს გუუსწორდიო, თუ გინდა მოკალ და თუ გინდა დაწვიო, ორი სოფლის ცოდვაში ვერ ჩავდგებიო და წამოსულა. რაგვთელმა კაცმა რომ დეინახა მისი შვილის კლელი, ერთხან მიეკლანა, მარა ცოლს უთქვამს ჩვენ რა სიმწარეში ვართ და ამის დედ-მამასაც ნუღარ გავამწარებთ, გუუშვი წევდესო. კაცი პაწახანს დაფიქრდა და ცოლს უთხრა, სახში ამეიყვაიო და მამისიც დეიბარეს.

სოფლის მოხუცები მოკრიბა და ამფერი რამე თქვა - ამ ბიჭს ჩემ გოგოს მივათხვებ, ჩემთან დარჩება, მარა მისი შობლები თუთხმეტ წელწად ვედარ ნახავენო. ნახვას თუ მეიწადინებს, მაშინათვენაი მოვკლავო. მართლაც, თუთხმეტი წელწადი არ უნახია ამ ბიჭს მისი შობლები და თუთხმეტი წლის მერე რომ ჩესულა, მამამისი აღარ იყო ცოცხალი, შუუწუხდა გული, მარა რადანა ექნა, ორი წლის კტარი იყო. ამფერი მპატიებელი ხალხი ცხოვრობდა მთებშიო, ბაბუამ მითხრა.

მთქმელი: ზინეთა ბერიძე

სოფ. ხაბელაშვილების მკვიდრი, 92 წლის.

დაბერდა ქვეყანა, დაბერდა. მე რომ მახსოვს, ყველაფერი ლამაზათ სულ მოდიოდა, იმფერი ლამაზი, იმფერი კაი. გინდა ხილი, გინდა ისე მოსავალი- სიმინდი, ყართოფაი, ფხალი. ჰად იყო ხოჭო ან ყართოფას პრახი რაფერ დიემართებოდა. მაშინ სასუქები აფერი არ იყო. ახლა იმდონი რაცხა გამეიგონეს. მიწას რიშვეთი დაჭირდა. რიშვეთს არ მიცემ, მოსავალს არ მოქცემს. იმ მოწამლულს, იმა იმდენჯერ რომ შეწამლავ და ბაღნები ჭამენ, ი ბაღვი ხეირიანი და ჯამთელი აღარ გეიზდება. ვერ ხედავ? ბაღნებს დაათხვებ, დაასახლებ და ჰექიმთან თუ არ იწამლეს, ისე ბაღნები არ ეყოლებიან. ათასნაირი დაავადებაა გაჩენილი. ბაღვი სამი წლის გახტება და ტელეფონი ხელში აქ. ადრე რომ ბაღვი იტირებდა, საჭმელ აჭმევდენ და გააჩერებდენ და ახლა რავარც იტირებს, იმ წუთში ტელეფონს მიცემენ ხელში, ბელქი წაყურდესო. ყველაი ამბობს მავნებელიაო, მარა მაინც აძლევენ. წიგნი ჰადად არის და რეველი, მარტო ტელეფონში არიან ჩაციცინებული. სტავლაც იმიტომ გაფუზულავებულია სკოლებში.

თივას რომ ევკიდევი, ჰვირთი არ მომცილვებია. ჟვერს წამეველებდი, რაცხა გაჩიჩტებოდა ძირში ავწევდი, არ გავაიოლებდი და მუუყრიდი თავს საბძელში. ისეც ცოტაი იყო ალაფი. პაწას ხუმპალას აჭმევ, კობერს მუუხარშავ, ნარცხს მოჭუჭკავ და ასე გაზამთრავ საქონელს, თვარა მარტო გაფუცხვილი თივა არ ყოფნიან. შამოცინავდა თუ არა ახორში წევდოდი, მემრე ყანაში ვისაქმებდი პაწას, სანამ ბაღნები გეიღვიძებდენ, დიდ ჩახანაში ფხალლობიას გავაკეთებდი, სახლს მივაკალიბებდი და კიდე საქმე არ ილევოდა, ჰაითკენ წავსულიყავ აღარ ვიცოდი,

მარა ახლა დავბერდი. აღარ მაქ რამის თახათი. დავბერდი და სხვისი მოსამლელი გავხტი და ადრე დაღამებამდი არ ავწევდი ბოსტნიდან თავს.

ნამუშევი, ნაწვალეხი ამდონზე მივხახანდი, კილო რალა გინდა. ამდონი გაძლება თუ მქონდა, შენი ჭირი მე შვილო, არ ვიცოდი. ამდენი ხნის ვარ და ვითამ კილო ზროხა ავით გამხტარა და იმა ვქაქანებ და იმა ვდერდობ. აგერ ჩემი სული არ მებრალება.

ამდონი კტარები მოკტენ და მეზოლოლებზე ვერ ჩევედი. ემინეს მოზოლოლზე არ ჩევესულვარ. ღმერთმა გამჩენელმა შვილებით, ოჯალით გამოყოფონ და გახარონ. ამხელა ავით ვარ, თქვენთან შვიდობა, შეჩივლება არ მიყვარს, თავი არ დამადებია, ძრუგიც მტკივა, მარა კილო ლოცვას ვეკიდები. ერთი ვახტი არნა გავარუნო. ფეხი ვერ გევთბე, მარა არვის არ ვებნევი მომემსახურეთ მეთქი, ჩემთვინაი მევეფერებ. დევეფარებ, ჩევთბილებ ლამაზათ.

მთქმელი: თინა კილაძე

სოფ. ახალდაბის მკვიდრი, 62 წლის.

გუდა ნენეს ზღაპარი

ერთ სოფელში გაჭირვებული ცოლ-ქმარი ცხოვრობდენ. ერთი ბიჭი ყავდენ. თავს მიწაზე მუშაობით ირჩენდენ, სხვა აფერი არ ქონდენ. ერთ დღესაც ცოტა მოშორებით ქონდენ ყანა და იქ დააპირეს წასლა სამუშაოთ. ბაღანას უთხრეს, რომე ზოვლი სიცხეა და არ წამოხვიდეო, ქვა შეიქნია და თავი შუუშვირა, მეც წიმიყვაითო, დეიწყო ტირილი. ბევრი ეხვეწენ, მარა გეინაჭა თავი და მაინც წაყვა. იქავენაი ყანი ნაპირში დააჟღუნვეს ჩოხაზე და უთხრეს, აქედან არ გიექანოო და თვითან დეიწყეს ნელ-ნელა მუშაობა. შვა დღე რომ გადაცილდა, ზოვლი წყალი მოწყურდა ამ ბაღეს, მარა ვერ გუუმჟღავნა, რახან ნათქვამი ქონდა წიმიყვაით და არ ვიწუწუნებო. სოინი ვედარ გუუმლო და დედამისს დუუმახა, დეეევ წყალი მინდაო. დედამისმა გუუდეღდა რამითჯელ გითხარ სახში ეგდეო, ახლა გუუძელო. პაწახანში კიდევ დუუმახა, დევხჩონა წყალი მინდაო. ჩადი მაგერ ყანი ბოლოს, ვაშლის ძირში წყალი გამოდის, დიეყუდე და სვი, მარა აღმა არ შეიხედოო. გადააშპა ჩევდა და დალია წყალი. რომ გაძღა და იფიქრა, ერთი დედიკომ რომ მითხრა აღმა არ შეიხედოო ნეტაი რა არისო.

შეიხედა რომ რას ხედავს, დაკონწლილია დიდვანი ვაშლები. იფიქრა, რომე სანამ ანაი დომინახავს, ევალ და მოვწყვეტ ამ ვაშლსაცო. ევდა ხეზე, დეიწყო ჭამა, ჩაკბიჩავდა ერთს, მერე გეიქნევდა და მეორეს ჭამას დეიწყობდა. პაწახანში ერთმა გუდიანმა ნენემ მოვდა ვაშლი ძირში. ანი ნენი ერთი ვაშლი გადმომიგდეო, დუუძახა ბაღვს. ამანაც გადმუუგდო ვაშლი. ნენი ვერ დევკავე, ცხენის კვალში ჩავარდაო, ამა ვერ შევჭამო. მიორე გადმუუგდო და ოი ამან ძროხის კვალში ჩავარდაო. მაქფრათ არ მინდა, ტანი დიმიწიე და მე მოვწყვიტავო. ჩევდა, ბოლო ტანი დუუწია ფეხით და ამასობაში დედაბერმა შაახტა ფეხზე, ჩააგდო გუდაში, წუუკრა თავი და წეიყვანა. გზაში მეილალა დედაბერი, გააგდო ძირში გუდა და ჩევდა ლელი პირზე წყლის დასალევათ. ამ ბაღვმაც იხელთა დრო, ჯიფეში ჩაქი დანა ქონდა და რაცხაფერ წუუხსნა თავი გუდას, გამოძრა, შით ეკლები ჩაყარა, წუუკრა თავი გუდას და გეიქცა. დედაბერმა რომ მოვდა, მეიკიდა გუდა და გუუდგა გზას. ზრუგში ევალი წიესო. ეგონა ბაღვი მფწკნისო და ემუქრებოდა ბაღვო ნუ მფწკნი, თვარა სახში რომ მიგიყვან შექჭამო. პაწაი ხანი გევდოდა კიდევ ისე დიემუქრებოდა.

ამ ბაღვმა გუდიდან რომ გამოძრა და გეიქცა, რაცხა სახლი შეხტა გზაში და იმ სახში შევდა დასამალათ. ფენჯერასთან მოღალული დაჟდა და თან შეშინებული გარეთ იყურებოდა, ნეტაი ვის სახში ვარო. გეიხედა, რომ გუდიანი ნენეი მოდის. მეგემ ამ დედაბრის ყოფილა ეს სახლი და გეიქცა ჭერში დასამალათ. მასობაში დედაბერი შამოვდა, გუდა მეიხსნა და საჩქაროთ ცეცხლის დანთობა დეიწყო, შემცივნებული იყო. ბაღვმა ველარ მეითმინა და დაახველა ჭერში. დაფეთებულმა დედაბერმა საჩქაროთ შეიხედა აღმა ჭერისკენ რომ ის ბაღვი, გუდაში რომნა ყოლოდა. ნენი მაქ შენ ჰაიდან ადიო, კითხა. დიდი საჩეჩელი დავჯექ ნენევ და იმან ამომახტუნვაო. დედაბერმაც საჩქაროთ შუუხტა საჩეჩელზე, დაჟდა და წიესო საჩეჩელი, დეიწყო ტირილი. რა ქჭირს ნენევო, დაცინა ბაღვმა. ნუ მატყვილებ ნენი, შიმიბრალე და მითხარ რაფერ ადიო. დიდ ქვაბში ავადუღე წყალი, ავაჩახჩახე, გადავახურე დოლბენდი, ჩავხტი შიან და იმის ორთქლმა ამომიქნიაო. გეიხარა დედაბერმა და რაფერც ბაღვმა უთხრა, იმფრათ გააკეთა. ჩუუხტა დუღარე წყალში და ჩეითუთქა. ბაღანამ რომ დარწმუნდა კტარია დედაბერიო, ჩამოძრა ჭერიდან, დედაბერს ყიაში კილტიები ქონდა შებმული, გამოხსნა იგირის და მოსინჯა ოდიების გახსნა. გახსნა ერთი რომე ბევრი ფარა დახტა, მიორე ოთახში ბევრი ნამცხვრები იყო, მესამეში

ლამაზი გოგო, მიოთხეში ლამაზი ეტლი და თეთრი რაში. ამ ეტლზე დაჭკირთა ყველამფერი, ეს ზეთუნახავი გოგოც დეისვა გვერდით და გასწია შინისკენ. მას მერე სულ ბედნიერათ ცხოვრობდენ.

ქორწილი

რალა დროის ჩემი ქორწილებში სიარულია, მარა ისე რასწალა მომენატრა. ბორჯს რომ ეილებდენ და დეიწყობდენ თათარიკს ქორწილისთვინ, ვინმეს მომსახურებაზე ხვეწნა არ უნდოდა. დაქვიაცდებოდენ კაცები, წევდოდენ ტყეში, მეიტანდენ პალატისთვინ ხიებს, გადაჭიმევდენ პალატას ლამაზათ. იქავენაი, ახლოს არჩიხანას გააკეთებდენ, მაშინ ჰა იყო ამდენი სობაები. ამ არჩიხანაში გასაპევდენ ორ ხომორ, ნედლ სოქს და გაამწკაპებდენ ქვაბებს. აგერ საქონელ წამუაქევდენ, დაკლევდენ, იმ ღამე დაჩეხევდენ. ქალები ზოგი ბიშს აცხობდა ერიშტისთვინ, ზოგი ლუხუმს აცხობდა, ამდონი ნამცხვრები მაშინ ჰა იყო. ერთი ტექსი ვიცოდით და ლუხუმი. სამ დღიანი ქორწილი მიდიოდა. თუ წაყვანითი ქორწილი იყო, დადიანები წაყვებოდენ დედოფალს და იმ ღამე იქ დარჩებოდენ. მექორწილეს მოსლამდე მახარობლები მოვდოდენ ყვირილით, ყიამეთით. მოზიკაჯები დავლი-ზურნით. მემრე იქ დეიწყებდენ ხუმრობას, წესი იყო ამფერი. სმა ბევრი არ იყო, იმფო მეტი სამა და სიმღერა იყო. ქურთ ბალს მუაწყობდენ ხანდებან, მეირთვებოდენ კაცები ზოგი ქალის ფორმაში, ზოგი შიდდეთლს დიემზგავსებოდა და ასე ერთობოდენ. მაყარი რაცხა საჭმელს მეითხოვდა მეხსუს, იმფერს რაცხა რომ სუფრაზე არ იყო და ის ილლანა მიგეტანა. დელობა და წაკინტლება არ იცოდენ. ახლა ყველაი ბათუმ გარბის, იქ იხდიან ქორწილებს. ჰემ თუღლი-თუღლი მაშინებინა ყავდენ, ვარიოლასაც არ კადრულობენ.

მთქმელი: ელმასი მიქელაძე,

სოფ. ცხემლისის მკვიდრი, 70 წლის.

სოფელში ნენევ საქმიებს რა გამოლევს, მარა ჯამთელობაც არი. რაცხა შიგვიძლია, ყველამფერს ვაკეთებთ. ყველთვინ შრომაში ვართ. ჰამან თოვლი აშრება თუ არა

გიეცქვიტონა, ღობიებინა დაღობო, ჭალებინა დაფოცხო, დაგავო, ჩამოჩეჩებული თველის ჟვერინა მუაშორო ჭალას, რომ კაი ბალახი მოვდეს. თუ წყალი უდგება, წყალინა დუუშვა, ყანაში თუ რამე ფუჩეჩია დარჩენილი, ისინი ააკალიბონა, სიმინდის ღერეტები აჭრანა მანგალით ძირზე და მოხნანა ყანა. ჩვენთან თუ პაწაი ადრე არ დათესე ყანა თველზე თოვლი მუუსტრობს. რამდენჯელ მახსოვს დიგვითოვლა მოსატეხ ყანაზე, ჩამხლია თლათ სიმინდი. თოვლში ვჩიკნიდით, თითო ღერ ჩალას ვაძრობდით და ისე ვტეხდით სიმინდს, მერე ჩალას ავჩეხავდით. ხელებზე წიგვიჟდებოდა, ამოვდოდით ყანიდან შემცივნებული, წევთობდით ხელებს და ჩევდოდით ისევ, მარა ერთი სურდო, რამე არ დევგემართებოდა, ჯამთელობა იყო. ახლა გამოსული მოვდა ბაღნებ ჰაზირი აქვან ღობისთვინ ლარტყები, დირეგები, სარები. კვენდლით ღობვენ, მუხს არ ხმარობენ. ამ საქმიებს დაამთავრებ თაზენა გეიბარგო. მემთვერი თუ ქყავს კაია და თუ არა მაგიც საძებნელია, თუ ვინმემ იგიბარა საქონელი ან ვინცხას ქესუმათნა გაატანო, ბარში ჰომ ვერ დატევ. ამდენი საქმე ჰომ არი, მარა მაინც ყაბულ ვარ. ჩემი გენჯი ომრი აქ მაქ გატარებული და ზოვლი მებრალეზა დასატევათ. ჩემ სიცოცხლეში არ მოვშლი აქავრობას და რომ მოვკტები, ბაღნებს რაც უნდებან, ის უქნიან.

თველზე იმდენ ტყლაპს, ჩირს და ქუმას ვაკეთებ ორ წელწად ეყოფა კაცს, მარა ამ ბაღნების ხელში ზამთრამდე ძლივს მიგაწევს. ახლაც შუუჭამიან ყველამფერი. ამფერი ხეცები ვის დიემზგავსენ არ ვიცი. ერწამალაი გამეიწისქვილებენ და მემრე მეზობლის ბაღნები რომ ჭამენ, უყურებენ, ისინიც მისხალს არ წამუამლევენ და აქუციებენ მეხსუს. ვიტყვი, დუუმალო-მეთქი, მარა მაგათი მუუგნებელი ადგილი არ არი ზათი, თან რანა დუუმალო, მათთვინ ვაკეთებ სხვისთვინ ხომარა. იმიტომ რამეს აღარ უგავან კიბილები. ისე ზოვლი უყვარან ტკბილეველობა და ხილი, წინაებზე წვიმდა, სორატი იყო და ხიებზე აგერ-იგერ ვაშლი იყო შერჩენილი და ატყდენ, ბეზიავ მოვკრიფოთნაო. გიგვიშვი ბეზიავო მეხვერწენ. ვუყვირე, ამ წვიმაში არ გეისლება-მეთქი, თან სველ ხეზე დარიც რომ იყოს, ვერ ახვალ, დიგისლიპინდება ფეხი და ჩამუარდება. მაგათი ნამსხმანი და ძვალი ვერ გუუძლებს, მეიტეხავენ რაცხას. არ დიმიჯერეს, პაწაი გამეიღანილა თუ არა გეიქცენ უჩუმარაი და მეგემ ე თლა პაწაი ბადიშიც გამიესხრიკა დიდვანებს, 5 წლის არის. ერთი ბადიში ზოვლი მაწანკალია და იმი სუჩი იყო ყველამფერი. გეიქცენ ამათ, შიესიენ ხიებს და ამ პაწას უთხრეს, შენ არ

ამოხვიდეო, მარა არ დუუჯერა ამანაც, ეპოტინა ვითამ და ჩამუარდა, გორვი-გორვი ჩამოვდა ყანი ბოლოს. მუუსწრო ბოლოს ირმამ და დეიკავა. ბედავრაი რამე არ ეტკინა, პაწაი ნაფხაჭნი ქონდა. მუსტალია-მეთქი ვიძახე, მარა იმი მაგივრაი მე დემეწვა ნამსხმანი. დანარჩენი ბაღნებიც ლურთხი გახტენ. ამხელა გოხცობა რათ უნდა-მეთქი გავდეღდი, მარა რას მიახტენ, ბაღნები არიან. მეც ვიყავ ბაღვი და ყველგან ვეპოტინებოდი.

მთქმელი: შალბან მურვანიძე,

სოფ. ნაღვარევის მკვიდრი, 92 წლის.

ნაღვარეუს ნაღვარევი იმიტომ დეერქვა, რომე სამჯერა დაღვარული და გაშენებული, ასე მუაწია ამბავმა ჩვენამდე ძველებიდან. სულ ადრე იმფერი ახლო-ახლო დასახლება ყოფლილა, ახლა რომ გორიკულს უძახიან, ზუსტად იმ ადგილზე ერთი სახლის ყავრი თავზე რომ თხა შუუხტებოდა და ევდოდა, იქიდან ყველა სახლის ყავრი თავს მეთარდა მეგემ. მაშინ თოვლიც არ მოდიოდა დიდი, ვინ იცის რამდონი ხნის ამბავია, მონაყოლიდან გიყვები. ახლაც უძახიან სოფლის თავში ნაკალვებს, კალოს თესავდენ მეგემ. სოფლის ბოლოს სიციხველას ქვია, იქ ჩამოქონდენ ჭვავის პური და იქ ცეხვედენ. წასულა ის დრო და დაქცევლა მაშინდელი ნაღვარევი. მეორე გაშენება-დაქცევის ამბავი არ მაქ გაგონილი, მარა ამ ბოლოხანდელზე მაქ გაგონილი. კიდევ გაშენებულა სოფელი და ახლა რომ ილიასოღლები ცხოვრობენ, იქ ყოფილა ერთი საწყალი, ბლაცვი კაცი, ღამე ამ კაცს სიზმარი უნახავს -დილას რომ ადგები, სოფელი მეთარე და ხალხი სათითაოთ გააფთხილე, სოფელინა დეიქცესო. გათენდა, ამა ყურადღება არ მუუქცევია, სიზმარი სიბლაცვეაო იფიქრა. საღამოს კიდევ უნახავს სიზმარი, რომ გაგაფთხილე, ხალხს რატომ არ შეატყობიეო და შეშინებულს გეეღვიძა. ამდგარა და სოფლის ბოლოშო ჩასლამდი ყველასთვინ უთქმია, ამფერი სიზმარი ვნახე და გავასტრათო, მარა ვინმემ არ მუუსმინა, ეს ბლაცვი ებადუნებო, სიზმრი გულობაი ხომარ მოვშლით სოფელსო, უქმურები აბლაცუნებენ რაცხასო. კიდევ ნახა სიზმარი და უთხრა გავაფთხილე ხალხი, მარა ვინმემ არ დიმიჯერაო. მაშინ ხვალიდან ადექი შენ, რაცხაის წაღებას შეძლებ წეილე, ვინცხაი დიგიჯერებს წეიყვაი და დანარჩენებმა მათ თავს

დააბრალონო. შამოცინულზე წამოვდა სოფლიდან და 5-6 მოსახლე წამოყოლიან გერჩეე. მაშინ გზები არ ყოფილა, ვინ იცის რამდენი დღე იარეს ბათუმ ჩამოსლამდე. ბათუმ რანა ექნეს და თურქეთში მუუწადინებიან წასლა, პარახოთითნა წასულიყვენ და 10-15 დღე იმა უცადეს. მახანში მართლა დაქცევლა ნაღვარევი, ჩამოსულა დიდი სელგარი და თლათ იერექსანი გუუხტია იქავრობა. ხე ხეზე აღარ დარჩენილა. ეს ღამე მომხტარა. ეს ამბავი ამ წამოსულებს შუუტყიან. იმის მემრე ვინ იცის რამდენი ხანი გევდა და მემრე გაშენებულა ახლანდელი ნაღვარევი. ღვარი და სელგარი იმის მერე ბაისამჯელ ჩამეიარა, მარა იმფერი ღმერთმა ნუ ქნას. ისე ღვარი რომ წამუა, ამანძარებს ყველაფერს. თლათ მოკრეფილი ხალხი ცხოვრობს ახლა. 75 წელში მე ბრიგადირი ვიყავ და მაშინ 120 კომლი ცხოვრობდა, 19 გვარი იყო. ამფერი ბევრი გვარის ხალხი არცეთ სოფელში არ არის.

გაბრაზებული ჭინკა

ბევრს არ ჯერავს ამფერი რაცხაების, მარა მე რაცხა ჩემი თვალით მაქ დანახული და გადამხტა, იმას მოგიყვები. ის დროებია რომ სინათლიები არ იყო, დიდი ხანიც არ გესულა. ერთი საღამოა, სახში ლამბაი ავანთენტ და ყავრი თავზე ვინცხამ ქვა გამეიქნია, რაკარუკით ჩამოგორდა, გავსუსულდი და დუუყურე. გევხედე ფენჯერაზე მოხტა კიდე კენჭი. ერთხან მეგონა ვინცხაი მახსრობს-მეთქი. გევხედე ყველგან და არვინ არ ჩანდა, არადა მთვარიანი ღამე იყო. შამუელ სახში, კიდე მოხტა ფენჯერას კენჭი. ნერვები მომეშალა, ვინცხაი ქირდათ მიღებს-,მეთქი, სახლ კრუგი დავარტყი, შევგინე და იმ წუთას დიდი მოზდილაი ქვა ჩემ ფეხებთან დიეცა და რასძალა შემეშინდა. სანამ ლამბაი არ ჩავაქრეთ და არ დავწექით, მანამ იქნევდა და იქნევდა ქვებს. მეორე დღეს მეზობლებში ვთქვი, ვინცხაი ისეგავ ქირდათ მღებულობს და პირდაპირ ტყვიას დავაჭედებ-მეთქი. დაღამდა, კიდევ იმფერი. შეწუხდენ მეზობლები, მოზავდენ, სახლს შამუარეს და ჰაცხაიდან მაინც გამეიქნევდა რეკვებდა ფენჯერას ქვას. მეგემ ახლოს იქავენაი ჩემ ძმის სახლი იყო და იმის ფენჯერაზეც იქნევდა ამ ქვებს. ყველთვინ შუქს რომ ავანთობდით, მაშინ ხდებოდა ეს ამბავი და ჩავაქრობდით გაჩერდებოდა. შეწუხდენ ყველაი და დაინტერესდენ. დავამტკიცეთ, რომ ეს ადამიანი არ იყო. ერთმა ასაშენებელმა მეზობლის ნენემ

მითხრა, რომე ამ დღეებში ტყეში ხე ხომარ მოგიჭრიან და მოგიტანიანო. ჩემმა ძმამ თქვა, რომე ტყეში ერთი საფანდურე ხე მოვჭარი და აგერ სახლები შვაზე მაქ დადებული და ვახმოზო. მოი ნენევ მაი ხე წეილეთ და შორს, წყალში გადააგდეთო და კიდევ თუ გამეიქნია რამემ ქვაო, კარი გააღე და სამჯერ თქვი „რომც რომელი ხარ როგ-როგ წადი“. ი ხე წეილო ჩემმა ძმამ და გადააგდო წყალში. იმა მემრე აღარც ჩემ სახლისკენ გამუუქნევია რამეს ქვა და არც მისი სახლისკენ. თურმე ბატონიანი ხე მოგვიჭრია და ჭინკაები ყოფილან, ისინი იქნევდენ ქვას. მანამდე არ მქონდა ამფერი ამბავი გაგონილი.

მთქმელი: ელენე ტაკიძე,

სოფ. ახალდაბის მკვიდრი, 72 წლის.

საღამოზე კაკუნი გევგონეთ, დედიკომ გაალო კარი და გევდა. ერთი თეთრ წვერია დედეი იყო, ძრუგში ჭვირთი ქონდა მოკიდული და ერთი ნატეხი პური მომეცითო, დედიკომ მეიპაიჯა სახში და არაო, აქ დიგიცტოო. დედიკომ პოდნოსით გუუტანა თიბილი საჭმელი და დედეი ჰადმე აღარ იყო. დედიკომ დატია საჭმელი და შამოვდა. პაწახანს უკან დედიკოს გარეთ გასლა მუუნდა, მარა შეშინებული იყო და ვერ გადიოდა. მემრე კიდე მეისმა კაკუნი და დედიკომ ველარ გევდა და მამიკოი გააგზანა. გევდა რომე ის პური ნახევარი შეიჭამა და სხვა დანაჩენზე ხელი არ წიეკარებია. მეორე დღეს ეს ამბავი მეზობელს მუუყვა დედიკომ და იმან უთხრა, ევლია ყოფილა მოსულიო. მეორე დღე ღამდება და კიდე გამიეცხადა ის დედეი დედიკოს და არ შეგეშინდესო, კიდე პაწაი პურის ნატეხი მეითხვა, მეტ რამეს არ ჭამდა. დედიკომ კიდე მეზობელს მუუყვა ეს ამბავი და იმან უთხრა, რომე ერთ რამეს გეტყვიო, კტრების სულისთვინ რაცხა გააკეთე საჭმელი და ხალხს აჭამეო. დედიკომ იმ წუთიდან გააკეთა რაცხაები და დაპაიჯა მეზობლები, იმათაც დეილოცენ, ღმერთმა თქვენი კიდრების სულს მირგოს, რაცხა ვჭამეთო და იმა მემრე აღარ გამოჩენილა ის დედეი.

ჭვანას ვსწავლობდი და გაკვეთილების მერე რო გამუედი, სახში მუელ და პირველ რიგში ნენეი მევეკითხე - დედიკოვ ჰადაა ნენეი-მეთქი. დედიკომაც მითხრა, რავიცი ციცავ, მაგზე იჟდა ეზოშიო. არც მიჭამია, გევქეცი მოსადებნათ, ფეხი კილამ წამევეკარ დარესთან. ჭადი დევეკავე ხელში, შიერი ვიყავ და ქვეით უმიანასთან ჩევიბინე, იქ ხომ არ არის-მეთქი. თან ნაწვიმარი იყო და ლასტებით გევქეცი. ჩასლამდე ვუძახი უმიან ხალას. უმიანაი ჰაცხა ბახჩიდან გამუარდა, რა გინდა ციცავ, რას წივი რა დეგემართაო. ნენეი მაქაა-მეთქი ვკითხე და არა, აქ რა უნდაო. დეიკარგა ისეგავ და რამე ხომარ იცი მეთქი. აქ ჩეიარა ციცავ თავდალმა ეზოშიო. იმფო ავნერვიულდი, ვერ დააბრუნე-მეთქი ვუთხარი, პაწაიც გავდელდი. ვუთხარ ციცავო, მარა მომატყვილაო აგერ მივალ ბალახინა მოვეკრიფოო, მითხრაო. მენჯები ტკივნებია და წამლის ფოთლებინა მიეკრიფაო. ლამდებოდა და ნენეი არსად არ ჩანდა. თელი სოფელი მეიკრიფა, დევეწყეთ ყველამ ძებნა. ფაკლებით ვეძებდით. ვყვიროდით, მარა არსაიდან არ ისმოდა მისი ხმა. შიშისგან ნამსხმანი მეწვოდა. ჩვენ ყვირილში გვერდზე სოფლებმაც შეიტყეს ნენეს ამბავი და სამი სოფლის ხალხი ყველაი გვიძახდენ გაღმაებიდან, რა დეგემართენო. იქიდანაც წამოვდენ საძებნათ. დარიებში ვუყურებდით ჰადმე ხომარ გადავარდაო. მეიღრუბლა და დუუშვა წვიმა. ბაღნებს უფროსებმა გვითხრეს, წაით სახშიო და იმათ გააგძელეს ძებნა. ღამის ორი იყო, მაგარი ჭექა-ქუხილია, არ გეისლება და ყველაი ვტირით, ნენეი აღარ არისო. დედეი ცოცხალი იყო და ტიროდა ისიც, ნეტაი მე დავკარგულიყავო. მეორეთ წევედით კიდე საძებნელათ დაღლილი, გაწუნწკლილი ხალხი და ბათუმიდან მომავალი მეზობელი გამეიარა და გვეკითხება მოკტა ვინმეო? ჩვენც ვუთხარით ამბავი. ჩევალ გამევეცლიო და ამუალო და იბრაიმაიც მოგვემატა საძებარში. მეორეთ ბაღნები აღარ წიგვიყვანეს. ერთი პარტია ხალხი კელეტი მერეში ჩევედენ და კაცები დიდვანს ღრიალებენ. მეგემ ამ ნენეს ესმის, მარა იმდენი ჰალი არ აქ, რომ ხმა გაცეს. მეგემ ჩუუვლიან გვერდზე, უუვლიან და ვერ ხედვენ. დიდი ნაძვის ძირში, ქუნცხებში შემძრალიყო და ეკლებში ჩავარდნილიყო და ველარ გამოსულა. ნაჯადი ქონდა იბრაიმს წაღებული და კაიხან ეკლები კაფეს, რომ ნენეი გამიეყვანეს. იმფერი დასაწყლებული იყო, რამის ჰალი აღარ ქონდა. მეიკიდა იბრაიმამ და წამეიყვანა. სახში შამეიყვანეს და ისე გიგვიხარდა, რომე გეგონებოდა ნენეი ახალათ დეიბადა ამ ქვეანაზეო. დედემაც სიხარულისგან დიდვანი იტირა, მანამდე ვინმეს არ ენახა დედეს თვალებზე კურცხალი. იმფერი უგუტეხელი

და ქიბარი ნენეი იყო, რომე აქეთ გვიყვირა, რათ უნდოდა ხალხის შეწუხება, პაწაი ხომარ ვიყავ, გათენდებოდა და მოვდოდიო.

მოქმელი: ნათელა მგელაძე,

სოფ. ცხემლისის მკვიდრი, 66 წლის.

ხილის მეტი რა მაქ, მარა გამოსული მუა, უდროთ გათოვლდება, დაათოვლებს მოყინავს ყვავილს, ზაფხული მუა ჩურუგაში ყურადები იცის, უწყლობი მგონე ვედარ იზდება ხილი დიდვანი, ან რაცხა ასხია, ისიც გაცვინდება. სხალი მაქ ბოქშვაი, სასელაი, ხეჭეჭურაი, თავრაჯულაი. კიდო ვაშლი დემირალაი, გონივრაი და რაცხა აქ მოდის ყველამფერი ხილი მაქ, მარა შარშან კარქათ ესხა, დაჭორტვილი იყო ტანები, ძირში ეთრევოდა და წელს იმდონს აღარ ველი. რომც არ მოყინოს, ხეხილმა სირასირ იცის მოსხმა. ერთ წელს ბევრს მესხამს, ერთ წელს ნაკლებს. მიერეზე კარქათ მესხამს და სხლიდან ხარდალს გავაკეთებ და გამოგიგზანი შენც. გაინტერესებდა ზათი რაფერიაო. ბულკა რომ არ აქ, იგირის ხუმრაც მაქ, ყურძენიც მოდის, ხაფათურაი, ადესაი და კიდო მოდის სხვა ჯიშებიც. ვინცხას ბევრი აქ, დაწურვენ სარნაში ღვინოს. ყურძნიდანაც ვაკეთებთ ხარდალს. საზამთროთ ხილს ვინახავთ. ზოვლი ყინვა რომ იცის, ტურაბელელაში მორჩვში ჩავაწყობთ, ჰემ არ ლპება და ყინვასაც უძლებს. ფურუნ ჩირი ზამთარში ყველაზე გემრიელია, მარმალატივით არის, რომ ჩადნება ყიაში. ქუმასაც ვაკეთებდით, თხილიდან, ხაპი კაკალადან, და ნიგვზიდან. რამე არ გეიოლება, ყველამფერს რაცხათ ვაქცევთ. მეფიჭმარიკებთ და ზამთარში ვჭამთ.

ახლა რაცხა ავატყოფობა და ჭირი მოვდა რასძალა კაი ქნა. გლახაა და მეერიდონა, მარა კაიც არის. სოფელი სოფელს აღარ გავდა. გაბეგლუგებული, გავერნებული იყო ყველამფერი. ნასოფლარს იყო დამგზავსებული. ღამეი გეიხედევდი იგერ-აგერ პამპალებდა სინათლიები. სინორი აღარ ეტყობოდა ჰადმე და რამე. ზოგან იმფერი დუზი ჭალები გატყევდა. ჭკვა შუუბრუნდა ხალხს, ვინმეს სოფლის მიწნეთი აღარ

ქონდა. ზოგი ხანდახან ზაფხულში ამოვდოდენ ათი-თუთხმეტი დღით, მემრე ისევ გადააშვებოდენ წევდოდენ, დუყურიდენ სახლი კარებ. მაგრე არ იქს, ბაბას ვათანი არნა გააბეგლუგო ქალაქის გულობაი. რა იცი კიდევ რა დრო მუა. ძველი ხალხიდან გაგონილი მაქ დრო მუა ხალხი ზღვი პირისკენ დააწვებაო და მემრე კიდევ დრო მუა ისევ თის პირს მიაწვებაო. აჰა და ისეგავ ახლაა მეგ დრო მოსული. დედოგოჭიანა ამეიბარგა ხალხი, გაშელიგდა სოფელი. ღამეში გეიხედავ გაყაყაჩვებულია სოფელი. ეზო-კარი ყველამ მუაკალიბეს, მოჰაჭინკეს. სინორებს ახლა იქეთ-აქეთ წეწვენ, დახელული არიან. კილდიებსაც გადათხრიან მგონი. ღობიები გადაქათქათებულია თეთრი სარებით, დეიწყეს დაღობვა. იმფერი ქალები ამოვდენ და ღობე-ყორეზე არიან მოდებული რომე ადრე ცხვარს რომ დუმა კიდიოდა, იმას არ კადრულობდენ. დურსუნას ქალს დუუბარია ეზო-კარი. წვიმა, დარი აღარ ეყურებიან, ამას ქვია ქვეყანა იქცევოდა და შეითნს ქორწილი ქონდაო. ერთი სიტყვით რაცუნწალა კაია. ღმერთმა მშვიდობა ქნას, ავატყოფობა ჩაქრებოდეს და ეს ხალხი შამორჩებოდენ სოფელში, ვინც აქ ვართ, ყველას გვიხარია. ზოგი გუუტანელებიც არიან, იმახიან ახლა მუუნდენ სოფელიო, მარა არაუშავს. ჩვენ ჰამან მოვჭამეთ ჩვენი, მარა მომავალი თაობა ჯამთელი გეიზდებიან სოფელში. ახლა იმასაც გეტყვი, არ გეწყინოს ნენი მარა ადრინდელი ბაღნები რომ დედის ძით იზდებოდენ, ინსნის ჭკვა ქონდენ, მემრე ძროხის ძეზე გედევდენ საქონლი ჭკვა მიეცენ, ბოლოხან რაცხა პარაშოკი მეიგონეს და თლათ გაასერსემეს ბაღნები. ჰამპერსი ჰად იყო, დალოცვილი შკერი ჟვერი. შენ არ გეწყინოს ნენი, გეტყობა ინსნის სოი ხარ, დედის ძეზე იქნები გაზდილი და იმიტომ. დედაჩემი იტყვოდა ქალები სამნაირი არიანო -ინსნი სოი, ვირი სოი და ძალლი სოი. ინსნი სოი შენ ხარ ნენი, ძაღლისოი საღამომდე რომ ჭაყყაყებენ და საქმის გამკეთებელი არ არიან, ვირი სოი ინათიანია, იმა შენ ჭკვაზე ვერ გაანურიებ და ყველაზე ჩათინი მეგ არის. ყველამფერი მათ იციან, რომ კითხო. ახლა ნენევ ვახტი მოვდა, ევლანა ვილოცო და მემრე თუ გამახსენდა დუნის ხებრებს მოგიყვები. ზოვლი გულ მავიწყაი გავხდი.

მთქმელი: ისმაილ ბერსელამე,

სოფ. ნაღვარევის მკვიდრი, 75 წლის.

შამოსავალი რომ არ არის, ხალხი ხე-ტყეს მიადგა. ტყიდან არვინ არ გაზენგილებულა, მარა მაინც ერთ ორ კაპეკს იმით ნახულობს ხალხი. ბევრი ხალხიც შეიწირა, ჩიფთელია ტყე. ჩალუმი თუ არ იცი ტყეში მუშაობის, ილლა დამარცხდები და რაცხა ყეზას გამეიყვან. მარა რანა ქნა, თურქეთში სიარულს და თურქებთან ხიზმეთქრობას კიდევ ის ჯობია. თლათ ტყეზე მიჩემებაც არ იზამს, რამდენს ხე დიეცა, რამდენი ავარიამი მოხვა. ტყე დაწყევლილიაო ნათქვამია, მარა რას იქ. აგერ ჩვენი ბაღნები რომ გადმოზავდენ მანქანით, ყეზა ერწამალაია. დაჭვირთეს მორი ტყისველას, ილლა მეიპარონა, დღეით არ იზამს მოპარვა. წამოვდენ ღამეში, მეგემ მაგრათ დანისლა, გზა არ ჩანდა და ერთმა წინ ჩამოჟდა მანქანის კაპოტზე და ისე სტავლებ-სტავლებით მოდიოდენ. ჰამან ნაკალვები ბოლოში რომ ჩამოვდენ, იგზე ერთი უმნო მოსახვევია და ველარ მუუხვია. ეიდა პირდაპირ გადააშპა ხრამში. ჰეფეიჯაზე უგორვია მანქანას, რავარცხა ჩასულა ბოლოში და გაჩერებულა, ი შოფერი ზათი ჩაყოლია ბოლომდინ, მიორე ბაღვი მიორე კოტრიალაზე ჩამუარდნილა, კიდევ კაი ჰკვა არ დუუკარქავს ამას, ჩასულა ბოლოში რომ რას ხედავს, ე შოფერი ბაღვი მომწყრევლა მოჭეჭყილა მანქანაში, ამასაც ბევრი ჰალი არ ქონდა, ბევრი უწვალაია გამოსაყვანათ, მარა ვეფერი ვერ უქნია და იმ კუნაპეტ სიბნელეში იმდენი უვაჟკაცია, რომე ორი კმ წვალეზ-წვალეზ, ღლიბარც-ღლიბარცით ჩამოვდა სოფელში და ხალხს შაატყობია, ასე ასე მოხდაო. ჰამან მისი ფეხით მივდა მის ჰიშკართან და ამანაც გეითიშა. კიდევ კაი ძალლი ყავდენ და ძალღმა ყიამეთი მოსვარა. ჯერ ყური არ გააპარტყუნეს სახში მეგემ, ზოვლი რომ ეიჩემა და ეიჩემა, ადარ წაყურდა, მემრე გამუუხედნიან ბედავრაი და დუუნახნიან ბაღვი გასაპული ჰიშკართან.

ძველ დროში მეგემ ჯიბრობა იცოდენ. სხვა და სხვა სოფლიდან ერთმანეთ ეჯიბრებოდენ ძალოსნობაში, ჰიდაობაში. ერთი ვინცხაი ურცხო კაცი ყოფილა მოსული და ვინმე ვერ ერევოდა ნიძლაგზე ჰიდაობაში. ვინცხას მიერევოდა, იმის სოფლელებს ხარჯის გაწევა უწევდენ. ყველა სოფლიდან მიიყვანეს კაცი და ვინმემ ვერ მიერია. სოინი ნაღვარევაკ ააწია ამ ამბავმა. ოსმანაი ყოფილა ერთი, ჰაწაი ჯღურკი კაცი, მისი ცხოვრება უცოლშვილო იყო და მარტვაი ნალიაში ცხოვრობდა. ამ კაცზეც ამბობდენ, დღეში ერთჯელ ჰამდა, მარა ერთ ჩახანა ქალაჯოს მოტლანკევდა თლათო. ამა უთქვამს, ერთი მენა ჩევდე და დევეჰედონა, ვინ არი მაქფერიო.

მეზობელს გეეცინა, შენხელა ჭადს ჭამს მაი ფალავანი, შენ რას უზამო, ტყვილაი თავი არ გააცვეთიოო. დაადვა ერთი ჩახანაი ქალაჯო და გადააშპა წინდა-ქალაზნითაი ჭვანას. აქ რომ ჩამოსულა, ჭვანის ცენტრში, ჰამან ხალხიც მოგროვილი ყოფილან და ის ფალავანიც შვა მეჯლისში ხელები დოინჯში შამოწყობილი ქონდა და ხარჯს ითხოვდა. ამასობაში ოსმანაიც მისულა და უთქვამს, მე დევექედები მაგ კამახს და თუ ვერ მევერიე რაცხას ითხოვს, იმასაც მე გედევხტო. თუ მივერიე, რაც აქამდის იშოვა, ისიც დატიოს და თვალმა აქ არ ნახოსო, ვინ გიმიხდა იმფერი, რომ იბრიქვის აქ, ჭვანი დელეში მოსულიო. ხალხს სიცილი უუტეხია, ამ კატი ნალექამ რაფერნა მიერიოსო. ფალავანსაც ყურადღება არ მუუქცევია ამის ლაპარიკზე, ეგონა ქირდათ მიღებნო. რომ გაგერჩექდა საქმე, დეიტაკენ. ნახევარი წუთის განმავლობაში უბურგალიან. შაატანა ხელი და ერწამალაი დააჟღვერთა ძირში ფალავანი ოსმანამ. იმხელაზე დუურტყია, ათი წუთი ფალავანი ზეზე აღარ ამდგარაო, ასე ამბობდენ.

ცუდი ბაღნობა მქონდა, ძნელი დღიები გამევიარე. წვიტი ვიყავთ მე და ჩემი და, ანაი რომ ლოგინათ ჩავარდა. თან ზოვლი გაჭირვებული დრო იყო. ბაბომ ვედარ შეძლო ჩვენი მოვლა, გარეცხვა გვინდოდა, ჭამა გვინდოდა და ანას სიცოცხლეში მეორე ქალი მიეყვანა. არც გიგვირეცხა და არც დიგვილაგა. ნეტაი არ მიეყვანა. შუუბრალებელი იყო, ზოვლი ფინთი დარჩა ჩვენთვინ. გარეცხვა არ გვინდა, რაცხა საქმელი გვქონდა, ისიც დიგვიკლიტა სარძიეში. შიერს დაგვტევდა, ბაბოს ჩვენზე იმფერებს მუატყვილებდა, რომ წყლეპით ცემაში გვკლევდა. რამეს რაფერ ვიტყვოდით, იმფო მეტათ ტაიებთან ვიზდებოდით. ცოტა რომ წამეზზარდეთ, იმდენი გავხტით, რომ ჩვენ თავს ვუვლიდით, სარძიეში შევძრებოდით უჩუმარაი და მევპარევდით საქმელს, დავმალევდით და ღამე ვჭამდით. ჩემი ანაი ბოლო ოდაში ყავდენ უპატრონოთ შეგდებული, რაით მივხმარებოდი არ ვიცოდი, ხანდახან შუუძრებოდი ლოგინში და გიმიტბობდა ხელ-ფეხს. რომ დაახველებდა, ესენი აქეიდან ჩორი ხახაშიო დუუძახებდენ. ასე წვალეებით მოკტა ანაი. მემრე ბაბოი გახტა მოსამლელი, დაკუტდა, ვერ დადიოდა. იმხელა გავხტი უკვე რომ, ზრუგში წამეკვიდევი და ერთ კილომეტრში ხილაძიები აბანოზე ჩევეყვანდი, მუხლებ ვბანდი და ამევეყვანდი.

ბევრხან იწვალა ასე ბაბომაც, აფერი წამალი არ მუუხტა. მემრე დედინაცვალმა მანიაკეთში ფათირთან წევდა, ამა რაცხა სხვა ზორი აქო. იქიდან ჩამუუტანა რაცხა დასაბანი, დასახჩოლებელი, შესამბელი ნუსხები. იმ ფათირს უთქვამს დაკოჭილიაო. ამ ფათირის წამლებმა მუუხტა და შედგა ფეხზე. ჩვენც ვიზდებოდით. სკოლაში ფეხშველავი ვიარებოდი, ბედავრავი სკოლა ახლოს იყო. გაზაფხული მეხასებოდა, რომ ქენერები გამრება და თოვლზე სიარული აღარ მომიწევს მეთქი. ერთი ლაინის შავი შალი მქონდა, ყირმიზი საკერებელით მოკერილი, იმის გამო სკოლაში ბაღნები ფერდელას მიძახდენ. წიგნი არ მქონდა და რევლი. რაცხაფერ დავამთვრე სკოლა და ქალიც მევეყავი. ჩემი და ზათი მანამდე გიეთხვა, ჩემზე უმფოსი იყო ორი წლით.

ქალი სხვისი ურბებით მევეყავი, ჩემი არ მქონდა. პაწაი ქორწილიც გიდინიხადა ბაბომ. ბაღნები მალე გიგვიჩტა. დედინაცვალი ძეს რომ გამოხტიდა, იმა დიგვისხემდა ჩინკოში, ბაღნებ აჭამეთო, ყაიმალ მისთვინ შეინახევდა. ასე წვალებით დავზარდეთ ბაღნები. ბაღნებმა რომ წამომესწრენ, ერთი ბიჭი კი ვიყავ, მარა გადავწყვიტე გავნაწილებულიყავ და სახლი ემეშენებია ცალკე. დევწყე ნელ-ნელა მასალების ჭუჭკვა, წელ ქვეში სახლის ბიტონის ქვა მარტვაი მოვჭარ, დავჭვირთე და მევტაი, იმის სილა ნაღვარევის ლელიდან მარტვაი მაქ ამოყრილი ლაფატკით. ნაღვარევი ხის სახერხი ქარხანა იყო და იქაც დევწყე მუშაობა. ხის მასალაც დავაგროვე და მეორე სართული ვზეპე ხე. წილოსანი ღურსუნ დედემ იმიშენა სახლი და სული ამევთქვი. დედინაცვალი ჰაცხა იყო, იმ სახში სტუმარი ვერ მიმყავდა და მეხასებოდა. აგერაქ მეიდან ოდას ცალკე კიბე მივადგი, ნებისმიერი სტუმრისთვინ ჩემი მეიდან ოდის კარი ღია იყო. ბაღნებიც რომ დეიზარდენ, მემრე კარქათ ვიყავთ, საქმეშიც შემეფარენ. ხუთი შვილი მყავს, ხუთნიე დავათხვე, დავასახლე.

ერთი დღეა და რამიზაი მიძახის მევლუდავ გამეიქე ჩქარაო. დევხელე რა იქნა-მეთქი, წამევეცი კალოში და გევექეცი. მიველ და მითხრა ჯემალავი გაბეჩებულო, დედეზე თავი მუუჭრია, ლომი გუუყრია და პალკონზე გადმუუკიდიო. ამფერი რამე სიცოცხლეში არ დიმიხაია. იბრეთი ამბავია, ქვას და კილდეს ეყურებოდეს. გევექეცი, ევედით ეზოში, თუთხმეტი კაცი შეგროვილიყვენ, მარა სახში შესლას ვერცეთი ვერ ბედევდენ. ზოვლი უმნო ასასლელავი ქონდენ მეორე სართულზე,

ხეფენგში თავინა შეგეყო და ისენა ესულიყავ. დედამისი პალკონიდან გადმეგდო, წყალნადენ თოვლის ღრუში ჩიეგდო და ზეიდან შემის ბოლკვები დიეყარა, მისი და ოდაში შიეგდო და დიეკლიტა. რაფერც იქნა ახალგაზდებმა შეშპენ და გაკოჭეს, გაბორკეს და კანტორაში წეიყვანეს. მე ის თავი ლომიდან ჩამოვხსენ, კტარს ტანზე მივარგე, დავდეთ ციგაზე და ახალგაზდებმა წეიყვანეს სახში. რომ ეკითხებოდენ რატომ დაკალი დედეიო, ამბობდა რას ებლყაუნებით, ღმერთმა ცხვარი გამომიგზავნა და ყურბანი დავკალიო. ეს რომ არ დემეკლა, სოფელში იმფერი რამე მოხდებოდა სისხლის ღვარი სამ წლიან კვიცს წეიღებდაო. ბეჩი იყო, მარა იმფერი ეშმაკობა ქონდა, ლემსის ყურწში გაგაძრუნვებდა, იმ საღამ მაინც მუატყვილა იმდენი ხალხი და გეიქცა. მუატყვილა ტვალეტში მივალ და ხელები გიმისხენითო, გუდუუხტა ბლენეთაში პალკონიდან, გეიქცა და გამიეკიდენ, რამიზას სახლი ქვეშ, თივებში დეიმალა. დაარტყეს ხალხმა სახლს კრუგი, უმახდენ, ჯემალავ გამოიო და არ გამოდიოდა. რაცხაფერ იქნა ტყვილებ-ტყვილებით ფანარი შანათეს და გამეიყვანეს და გაატანეს მილინციას შვახევიში. იმფერი ღორი იყო, სამი თუ ოთხი მილინციელები ცავდენ და ისინიც მუატყვილა, იქაც მაჰანათ ტვალეტში გასლა მეიგონა, შევდა და აღარ იქნა გამოსლა. ერთმა მილინციელმა კარი გააღო, შეიხედა და მეორე გარეთ უცტიდა. კარი რომ გააღო მილიციელმა, მეგემ შით ხოშორი ჭიქის ბოთლი იდვა, ის გიდიეტება, შაახტა ზრუგში და ჩაარტყა მილიციელს თავში და გეიქცა, მარა მეორე მილიციელმა იმარჯვა და პირდაპირ ფეხებში დააჭედა ტყვია. დეიჭირეს და ფოთის ფსიქიატრიულ სავამტყოფოში შააგდეს. 7 წელი მოხრისა იქ. მემრე ამეიყვანეს სახში, მარა მაინც არ არის სრულ ჭკვაზე. ხანდახან მუუარს მისი ავამტყოფობა, ჩეიყვანებენ სავამტყოფოში, პაწას მოკეთდება ამეიყვანებენ ისევ და ასე წვალობენ ქალ-ბაღვი.

მთქმელი: ილია ბერიძე,

სოფ. ხაბელაშვილების მკვიდრი, 80 წლის.

სახლების აშენება გაადვილებულია, მარა ხის მოჭრაა იასადი, ვარიოდა ხიებს ვეღარ მოჭრი. სახლი კისერ ზათი ყურულია, საშვაოა და ვერ მოჭრი, თვარამ ახლა იმფერი სტანოკებია, სულ ადვილაი ააშენებ სახლ. როიცხა ხე-ტყე სამსე იყო, მაშინ ტეხნიკა არ იყო, ტყეშინა წესულიყავ, იქნა გეგეკეთებია ისკელე, ტომრულებს

გაშლემდის, გაამზადებდის, მემრე ხიზარჯებინა გექირავებია. თლათ ჩამოსაქნევი ხერხითნა დეგეხია ძელეები. ხიზარჯები კაი ჭამას და გასამჯელოს ითხოვდენ. ყველას არ შეიძლო ჩამოსაქნევ ხერხზე მუშაობა, ჰალი უნდოდა მაგას. სხვადასხვა სოფლებიდანნა მოგეყვანა. ჯერ დაჩილფევდენ ტომრულებს რამდენი ძელინა გამოსულიყო და ისე დახევდენ, მემრე ნადინა გექნა, რომ ის ძელეები ხარის გზაზე ფხრით ჩამოგეტანა. მემრე მიზიდევდი ეზოში. ამ სახლს ჰომ ხედავ, ამ სახლის ძელეები სულ ხელის რანდაით არის გარანდული, შესევლი ვიყავით სახლიდან ყველაი. დაწყვეტილი ვიყავთ ამის რანდვაში, ყველ დღე ხომ არვინ მოგეხმარებოდა. კარ-აკომკები ხელით არი შეკერილი. რანდაი, ქომტერაი და ქამფური თუ არ გქონდა, ისე ვერ შეკერევდი. ქირიშებიც თლათ ცულით გათლილია და მემრე გარანდული. აქ წინ კარაპანი მქონდა მიდგმული და მანქანის გზა რომ გამუარუნის, მუშაალა და დავანგრიე. კარაპანი საჭირო იყო, ზამთრისთვინ შემასაც იქ დავპაჭკევდით და წყალიც იქ გვყავდა შამოყვანილი ღარით. ახლა შლანგებით ბალკონზე ყავან ამოყვანილი, იქაც ეზარებიან გასლა და სარძიეში ყავან შეყვანილი. ყველა კერეკუჩხეში წყალია მიყვანილი. სახლს რომ ავამენებდით, დახურვაზე ბაირაღს დაკიდევდენ და საჩუქრებსაც ჩამოკიდევდენ თითო ცალს უსტიებისთვინ. თოფს ისრიდენ სახლის ამენებას რომ დაამთავრებდენ. მემრე მევლუდს აკითხიებდენ, ჩივთ წელწადშინა შებარგულიყავ სახში. ისიც მახსოვს პირველაი ბოხჩას სებ ბაღვს შაატანიებდენ სახში. სები ბაღვი მელაიქიაო იტყვოდენ. მემრე და მემრე გამოწყვა ყველამფერი.

მთქმელი: იასონ ცეცხლაძე,

სოფ. ნაღვარევის მკვიდრი, 73 წლის.

ერთჯელ თავჯდომარემ დიგვიძახა კანტორაში. მივეით მე, შირინაი და რამიზაი. თაზე ფერმის სახლზე სახურავი გუდუღმრია ქარს და საჩქაროთნა ეხვიდეთ და დახუროთო, ხვალიდან ეიკიდეთ თქვენი თასიტარადი და წედითო. რა გზა გვქონდა, მისი სიტყვა კანონი იყო. იმ ღამეს ჩემთან მევჭუჭკეთ და დილა იალუმზე გამეიდარა თუ არა წევდით ერთათ. პაწაწაი საჭმელებიც ევკიდეთ, ჩემი თოფიც შევახვიე ფაჩავრებში და წევდით. ცხრა ან ათი იქნებოდა საათი, თაზე რომ ევედით. პაწაი

ჩამოვჯექით, მევსვენეთ, ევადიაი ცივი-ცუვაი წავცუცნეთ და იმათ ვუთხარ თქვენ ჩაით მეიარეთ, ნახეთ რა ჭირს ფერმის ქოხს და მე აგერ გადავძრები იეთიმოღლების სათიბში, ბელქი რაცხას წავაწყდე-მეთქი. იმათ წევდენ და მეც დავაშპი თოფს, ფალასკას და გადავაშპი თავდაღმა. ჰამან მუუახლოვდი თუ არა იეთიმოღლების ჭალას უსულით სერ სახედზე გადავძვერ, ჩავჯექ იაქავენაი და ვათვარიელებ იქავრობას. გევხედე რომ ქვეიდან რაცხა მოლოღავს, მევმარჯვე თოფი და წავყურდი, ვატყობ ჩემკენ მოდის. იმდენზე მოაწია, რომ მივხტი თოფი გუუწევს-მეთქი. ლამაზათ დევნახე კაი მოზდილი დათვის ბოკვერი იყო, ამუუწონე თოფი და ვზეპე. ერთი დეიბლორინა და გაგორდა. ფეშინათველაი მეორე ფიშეკი ჩავდე და გევქეცი მისკენ, გამევეკიდე, არ იყო ზოვლი შორს, მიველ უკვე სული მიცემული ქონდა, სისხლი გიექიაფებია. პაწახან დავჯექი, მევსვენე და მემრე გავქუმტე კარგათ, რაცხა ბილი ხორცები ქონდა ავაჭარ, მეშმეშოკი ზათი მქონდა, გავბექსნე იმაში და დანარჩენი ძვლიანი ხორცი შავახვიე ისევ მის ტყავში და იქავენაი ყაიშით ჩამოვკიდე წიფელაზე. ევკიდე ზრუგზე მეშმეშოკი და დევესოჭე ავადმა. მიველ საჩქაროთ სობაი დავაგუზგუზე, დავადგი და მოვხარშე ხორცი, თართქალი ხორცი იყო და მალე მიეხარშა. თუჯაშიც იალი დავწვი და კარგათ ჩავაყავრუმე. ამასობაში მერდევანიდან გევხედე რომ ქვეიდანა მოდიან ისინიც ბურდღულით, მივხტი ჩემზე იყვენ გაბღეზებულები, ე ხორციანი თუჯაი ავწი და სარძიეში კუჩხეში დავმალე. კარებიც გავაფიათე, რომ ხორცის სუნი არ ცემოდენ. მიველ და სექვზე წამოვწექ მეხსუს. მუატყვილე ვითამ მეძინა. შამოვდენ შემცივნებული ხალხი ყიამეთით- რა არი ჭო ნახევარი გავაკეთეთ და შენ რაზე არ ჩამოიო. დიმიწყეს ლანძღვა-გინება. ხმა არ გიმიცემია. კარგათ რომ მეიყაჟირეს ჩემი გინება, ავდექ ნელა და შამევეტაი ზოზინით ჩემი თიბილ-თიბილი ხორციანი თუჯაი. აჰა ბიჭემო ჩემი ნასაქმი-მეთქი და დავანახე ხორცი ჩაყავრუმებული. ეს რომ დეინახეს, იმფერი გახარებული იყვენ, გედემეკოჭენ, შენ თექ ხორცი გვაჭამე ამფრათ ყველ დღე და თუ გინდა სულ ნუ ჩამოხვალ სამუშაოზეო. ბაღნობიდან მიყვარდა ნადირობა, ბევრ ყეზა-ბელას ვარ გადარჩენილი. ახლა ხომ ბერი ვარ, მარა ბევრ ახალგაზდას კიდე ვაჯობებ თოფი სროლაში. ვერც მუხლში მაჯობებენ.

ერთ საღამოს გევხედე რომ დეიძახა ემინახმედმა. ბურიუმს მობძანდი-მეთქი ვუთხარ, ვახშამზე შევპაიჯეთ, არ მინდაო. ერთი მაგარი ზორი მაქ რეჯებო და მეზობლებმანა მომეხმაროთ თქვენი სულის ჭირიმეო. გისმენტო, ვუთხარით. ჩემი ბაღნების ამბავი ყველამფერი იცით. მუედინი არ დეისახლება, მაი ცხოვრებას ვერ იქს, ბლყვია, ან ვინ გუუჩერდება მაგას. მიორეს, რეჯებას პაწაი არ უშავს, პაწაი მოხეირიანო ქალი რომ მუაყვანიო, ბელქიდა ცხოვრებას მუაფერებს. ერთი ციციი მყავს ამორჩევლი, ნაღვარევ თოფანასი, ნებით მაი მაგაზე წამყოლელი არ არი, რაცხაფერნა მომეხმაროთ და მომატაცნიოთო. ჰემ ბერსელოღლები ფინთი ხალხი არიან, მაგათ ციცას მოტაცნაც იოლი საქმე არ არი. ახლა ყართოფის ფხეკის დროა მოსული, მაგათ საყართოფე სოფლიდან მოშორებით აქვან, ვარიოლა იქიდან ყვირილის ხმა არ ჩევა სოფელში. ეგენი რომ ყართოფის ფხეკას დეიწყებენ, იქნა ჩუუსაფრდეთო. ხელს რომ ციცას მოვდებთ, ისნა წამეყვავოთ ილლა. რეჯებასაც წამეყვან, პირველი ის მოკიდებს ხელს, მემრე ჩვენც დევეტაკებით და წამეყვანთო. ბევრი ვიფიქრეთ და შუუთანხმდით.

საყართოფეში როისნა წესულიყვენ, შიკრიკი გყავდა და იმან გაგვაფთხილა. მოვდა ამბავი, რომე გოგო ადგილზეა, ყანას ფხიკავსო და ჩვენც ჰაზირი ვართ, საყართოფეში ჩასაფრებული. კაი ხან ვუყურეთ შორიახლოდან, ხიებს ამევეფარეთ. მაშინ იმფერი ჩაცმულები იყვენ, სამი ოთხი იყვენ და სარძლო რომელი იყო ვერ მივხტით. როიცხა დავრწმუნდით, მივაგზანეთ რეჯებაი. ხელი მოკიდა თუ არა, ატყდა ყვირილი, წივილი ქალების, შენი რეჯებაი მიაწყვეტეს მიიღმა. არიქა შევესიეთ ყველამ ერთათ და ხახან-ხახან, ყიამეთით, წივილით წევით ფოთაროსკებ. დანარჩენმა ქალებმა გამეგვეკიდენ, ვერ მევცილვეთ, არ დატიეს ფატყუმაი, მარა მუხამედამ ეშმაკობა იხმარა და უთხრა ამ ქალებს, წამოით, წამოით მუედინიც დასასახლებელი გყავს და ერთს კიდე დიგიტევთო. ე რომ გეიგონეს, გეიქვენ უკან. მოქყყავს ფატყუმაი და თმებს იგლიჯავს, ყიამეთობს. ახლა რეჯებაი გახტა საკავებელი, გუუშვით ცოდვაა, ნუ ატირებთო. ამა წყვიტეს ყური ძრში და წინ წააბანცალეს. რაფერც იქნა ვაი ვაგლახით ავაწიეთ ფოთაროს, ესენი შევყარეთ ოდაში, ადემთან და დუუბიქსეთ კარები.

ახლა დერდი გვაქ. ბერსელოღლები რომ ამოვლენ, იმათ დახვედრ უნდა. იარაღებით მევემზადეთ, მარა არ დარჩა საჭირო, ადვილათ მოვრიგდით, შუურიგდენ ახალ

მოყვარეებს და გიგვიხარდა ჩვენც. მაშინ ქალს რომ ხელს მოკიდევდი, იმის უკან დაბრუნება და გათხვება ჩათინი საქმე იყო და პაწაი ამანაც მეგვეხმარა შერიგებაში. ოჯახმაც გაამართლა. ცხოვრობდენ ლამაზათ და ბაღნებიც ეყოლენ.

დიალოგებიდან

- ეპკდი არ წევსულვარ ნადში და არ ვიცი ნადური სიმღერები.
- გასუსულდით ბაღნებო, რაცხას ლაპარაკობენ და გევგონო.
- ისე ახლანდელი ბაღნები სხვანაირი არიან. ჩემ ბაღნობას ტურაბელელი რასძალა მაღალი იყო და იქ რომ ხილით სავსე დერგი მეგულვებოდა, ერთს შუუხტებოდი, ასული ვიყავ. ამათ რამის ჰალი არ აქვან, სკოლაში მისლა-მოსლაში იღლებიან. არადა ხავიწს და ბორანს რომ გუუკეთებ, არ კადრულობენ. გაჭირვება არ იციან და მაგის ბრალია. ჭადი ქერეჭინა აჭამო ერთი კვირა და მუსტალი იქნება, მიხტებიან მერე ბორანის და იალი-ყველის გემოს. ახლა შიგვიძლია და ვზიდავთ უხტურს გვარდაებით და რომ აღარ შეგვეძლება და ვეღარ ჩამევტანთ, მემრე მიხტებიან.
- წამალ ჭამს ჩემი ძალი ექვსი წელია.
- კოცონ დავანთობდით ბაღნები და სანამ არ ჩეიპარებოდა იგზე ვიყავით. თუ გაწვიმდებოდა, აქეხოებს წამევხურავდით და დევპანტოდით სახლებში. სურსუტი ბაღვი ვიყავ, სული არ მიძლებდა. საყეზე რომ ჩალის ასხმას დეიწყობდენ, სული არ მიძლებდა, ავძრებოდი ზვინზე და ეშინოდენ, ემედენი არ გადმუარდესო. იმდონი ყეზა მაქ გადახდენილი, ვინ მოთლის, ფიწალი ჩემესო ფეხში, ფწკალადან გადმუარდი, მაშინაც თივაზე მივძრებოდი. ერთი იყო წაკატაი მოვპარე მამიკოს და ჭალას მივადექ, ვთხრიდი, ოქრონა მენახა ვითამ, ქუსკით გამემეკიდა და მლანძდა. თივა გავაფუჭე ბევრი.
- იმ შენი შობლის,ჭირიმე, ვინაც გიმღერა ნანაო.
- სახში ბაისახანია არ ევსულვარ და მენატრება. რამდენი ხანია არ გიმიღია სახლი კარები. ისე გაპერღიალებული არნა იყოს ჩემი სახლი-კარი, მარა უმუცლელობის ბრალია ყველამფერი. ანა-ბაბოი მიდღემში ბახჩაში ტრიალებდენ და მაინც არ ილევოდა საქმე და ამდენი ხნის უუსლელობა ზათი

- დიეტობოდა სახლსაც, ბახჩასაც. მეზოლოდებზეც არ გევესულვარ რამდონი ხანია. მილლეთი იმ გზაში დადის და რას იტყვიან, გუუტყევებიან აქავრობაო. ღმერთით ამ გამოსულზე ევალ და მივაკალიბებ, მივამწყნარებ ყველამფერს. იქავრობის მერაყი მკლავს, თვარა სხვა რა მიჭირას. ხანდახან წიმიჟდება გული და ტირილი მინდა. დევიჭიჭმარიკებ ღმერთით ერთი თვის სამყოფ პროდუქტს და წევალ. იმიხდება ოცნება, ბადიშებსაც წევყვან, მუუხტებიან იქავრი ჰაერი.
- იალუმზე ავდგებით და შუუდგებით საქმიებს, ზოგი სახში მუშაობს, ზოგი ბახჩაში.
 - ყაბალახს მოცეკვავე ხალხი ენჩული იხურვენ ახლაც.
 - ჰეჟიმი რომ არ იყო და წამლობა, კაცი ავით გახტებოდა მოკტებოდა.
 - ეეჰ, რომ მომაგონდება რამდენს ვნახსობდით ჩემ ეზოში ბაღნები, კურცხლები მომდის. თელი დღე ეზოში სილაში ნაგორვები შევჩიჩტებოდით სახში და ანაი გამეგვეკიდებოდა ლაფერაით, მარა ეჰპედი არ დაგვარტყემდა. იმფერი კაი რომ იყო, იმიტომ უყვარდენ ბაღნებსაც ჩვენთან მოსლა და ვხოხორიკობდით თელი დღე.
 - თაზე, ჩემთან მეგრელები მოვდენ და სახლი ახალ მოწმენდილი მაქ, ფეხ ჩაცმული ეჯლახუნებიან და მოდიან. გავკუჭდებოდი, მარა ვეფერს ვერ ვებნევოდ, რასძალა გავკუჭდებოდი. ფეხზე გეიდრეო, ჰომ ვერ ეტყვოდი, მანნა მიხტეს. ჰალბათ რომ არ იძრობენ მათთან იმფერია, რა ვიცი. ბარსამი ამოდინ და არ იძრობენ.
 - სანამუსო ურბა ცაკლე მაქ შენახული, ბაღნები ასჯერ ურევენ შკაფში ხელებს და დიმიპოქსავენ.
 - იაზლოღში იმდენი ინახეს ბაღნებმა, რომე ლელევინი გახდენ. ათასი ხირთიმურთაი ჩამოზიდეს თავანიდან და ექცევიან ვითამ რაცხას. არიეთთან მივაკალიბებ ისევ მიმუაჩეჩებენ. მუუხდენელი ბაღნები მყავს, რამეს არ ერიდებიან.
 - ზისაქციელაი დავთესე და ვერ იხეირა, ჩიტებმა შიმიჭამეს. ნეტაი რაცხა გედემეფარებია ზეიდან.
 - თელი დღე სათამაშოთ იყო წათრევილი ჩემი ბაღვი, წიგნი მაგას არ ახსოვს და რევილი, თლათ ეილო სტავლაზე ხელი. ვინცხასთან ეჩხუბა და ფრულები

თლათ დაწყვეტილი ქონდა საროჩკაზე, ბილაზუგებიც გადაფრეწილი ქონდა, თეზო გალურჯებული ქონდა, წყლეპით მუათრიე სახში და შევაგდე ოდაში. იბლორინა, მარა ყურადღება არ მიმიქცევია.

- ბაბოი რომ ლოცვას დეიწყობდა, უსულით გევიარდით და არ დევლაპარიკებდით, რომ ხელი არ შიემალოსო.
- ჩალუმინი კაცი ჩათინ საქმესც იოლათ გააკეთებს, ზოგი ეზიეთში შევა და რამე არ გამუუდის ხელიდან.
- დემეთხვე, მე რამე არ ვიცი. იგერ იმას დუუყურე, კაი ამბებს მოგიყვება. ფხუკიანია, მარა ლამაზათ დეელაპარიკე და მოგიყვება რაცხა გინდა.
- ძლებს ვუთხარ, დღეს საქონელში ვერ წევალ, ჩემი ნახველები მოდიან-მეთქი. ამ ძლებმა გადელდენ, ეგონენ ვიტყვილებოდი, ბაბოსთან დამაბეზლეს და ბაბომ ჩამოვდა, დიერტყანა ჩემზე.
- ჩემი ბადიშები რომ ამოვლენ, ვეხვეწები ლამაზათ ჩეიცვით, არ უნდა მოკლე კაბა და შოლტიკები მეთქი, თვარა აქ იმფერი მუზევირი ხალხი ცხოვრობს, იმათ ყბაში თუ ჩავარდი მტრისას. სხვის თვალეში ნაფოტს ხედვენ და მათსაში ქირიშს ვერ ხედვენ. ისე მეც არ მომწონს რასძალა, დაშლექილი რომ დადიან ციციები. მარა თქმას აზრი არ აქ.
- დურსუნას თორამა თლათ ქალაქში არიან წაბარგული, ამა ახლა რომ ვირუსებია დაჭორტეს პროდუქტი და ყველამ გამეიქცენ აქით. უწინ იტყვოდენ უმფოსები, დრო მუა და ყველაი სოფელში გამეიქცევინო და მართალი ყოფილა იშდა. ზოვლი გვეშინია, ბაღნები არ დავამტყოფდენ, თვარა ჩვენ ჩვენი დრო მოვჭამეთ რასძალა. ამათ რამე არ დუუნახიან ჯერ, წვიტი არიან. შავი ჭირი რომ იყო, მაშინაც ამფრათ გამეიქცენ ხალხი სოფლებშიო და ტყიებს აფარებდენ თავს. ისე ეშინოდენ კილდიებში გამოქვაბულების თხრა დეიწყესო, მარა მაინც ამუაწია ზოგან ჭირმა და გაწყდა ხალხი. მემრე ხამათ გაშენებულან. ჰადამდე იქნება ასე ვინ იცის.
- ზოვლი ჭკვიანი და დაგნებული კაცია. მეცოდვება, ისე საცოდვავათ რომ დარჩა. შვავმა წუულო სახლი და იმი მემრე რამეს ვეღარ ეწია. მაგაზეა ნათქვამი მუფლუზ მუმი დაანთოვო.

- ჩურჩუაში რომე ბევრხან ყურალები წევდოდა, მემრე უცბაი რომ ავიდარი მეიშლებოდა და გასორატდებოდა, თიებზე ხოშკაკალი მოვდოდა, მაშინ იცოდა სელგარმა წამოსლა. მოსკდებოდა დარიები შვა იეილას და წამოვდოდა ხრიგინით. ჩამოვდოდა ქვეი არდმი ლელის ღარდიებში, გიეპეჭებოდა და დაბუგდებოდა. მემრე დაგლეჯდა, ათი კაცი ხელ ვერ შამუყდენდა. წისქვილის შენობის ხელა პლაკიებს აგორვებდა. რამითჯელ ლელი პირზე საბძლები, სკლატები, წისქვილები წეილო სელგარმა. ბევრი ნაფუზარიც წეილო და წალეკა. ღმერთს მადლობა ხალხი არ მოყოლია როისმე.
- უმცროსი ბაღანა მოწადინებულია, კარგათ სწავლობს და დამჯერიც არის. დიდი გავარდნილია, სალახნობს და არის, რამის გაგონება არ უნდა. გუგუმით წყალი მომიტაი-მეთქი რომ ვეტყვი, ისიც ეზარება. ხანდახან დავაჟდუნვებ და ვეტყვი, ნეტაი ჩამახედა შენ თავში და მიმახტინა რა ჰულიები გაქ-მეთქი, მარა არც მისმენს. სუფრაზე რომ დაჟდება, მორანდავს ყველამფერს და იმ საჭმელს რომ მოტანა უნდა, არ იცის. ეჰ, არ იცის რა დღიები ელის და იმიტომა მასე. მისი თავი კიდევ პაწაი გონია. ჰა წევდეს და რაფერ გიერთოს, იმის დერდშია მარტვაი. შობლების ბრალია, შეაფერებებს და დეიჟდუნვეს თავზე. მკაცრათნა მიექცე და ჭიმურს რომ ჭამს, მერე მიხდება ცხოვრების ყადრს. ახლა გონია მაგას რამეს არ გავაკეთებ და ვიქნები თელი ცხოვრება ბეგის ბაჯანადივით წამოწოლილიო, მარა სიხლეთში რომ ჩავარდება, ილლა მუუწევს ხელი გაქანება და მინდა, რომ რამე იანღლიში არ ქონდეს და ისე იცხოვროს.